გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

3 ოქტომბერი ორშაბათი 2011
№ 232 (13529) ფასი 80 თეთრი


ბესიკ ჯანგავაძე პალმერსტონიდან

lariwin.com
the better way to play
მეტი, ვიდრე თამაში
რეპორტაჟების სპონსორია ონლაინ კაზინო „ლარივინი“

როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

# ვისთვის როგორ, ჩვენთვის ასეა: ჩვენი ჭიქა ნახევრად სავსეა

საქართველოს ნაკრები მსოფლიოს თასს ალალად, უსაყვედუროდ და იმედით დაემშვიდობა



8-9

# შენგელია ევროლიგაში ბარსას დაეჭიდება



11

თორნიკე შენგელია ნიმბრუკთან მატჩის შემდეგ

# ც, რომელიც კარგია

## ქეცბაიამ გელაშვილსაც უხმო



დღეს საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული გუნდი ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე“ შეკრებას იწყებს, 11 ოქტომბერს საბერძნეთის ნაკრებთან ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ბოლო შეხვედრისთვის მოსამზადებლად. უკვე გამოძახებულ ფეხბურთელებს ნაკრების თავკაცმა **თემურ ქეცბაიამ** ერთიც დაამატა - „ზესტაფონის“ თავდამსხმელი **ნიკოლოზ გელაშვილი.**

„მიხეილ მესხზე“ მომხდარი გუშინდელი ელექტროინციდენტის შემდეგ ისიც უნდა ვისურვოთ, რომ ევრორანგის ეს მატჩი ამ სტადიონზე ბნელ დროში არ დაგვაბრუნებს და სალაპარაკოს არ გახდის ჩვენს არენებზე სანაკრებო შეხვედრების მასპინძლობის ხარისხს.

**მაგდა კლდიაშვილი**

# ჩვენს სტადიონებზე შუქი და ფეხბურთელები ერთნაირად თამაშობენ




2-4




# იუვემ მილანი გახვრიტა

6

## საქართველოს ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა. VIII ტური

02.10. ბოლნისი. თ. სტეფანია. 500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სიონი | 0 |
| დინამო | 3 |

0:1 ჩისკო (18), 0:2 კოშკაძე (20, კახელიშვილის პასით), 0:3 ჩისკო (42, კახელიშვილის პასით).

| სიონი | დინამო |
|---|---|
| 4-4-1-1 | 4-2-3-1 |
| ზუხბაია | გრიშიკაშვილი |
| სვანიძე | ოდიკაძე |
| თარგამაძე | თომაშვილი |
| კობაური | პომოლა |
| გ. ოქროპირიძე | რეხვიაშვილი |
| გაბრიჭიძე | კვეკვესკირი |
| რეხვიაშვილი | კოშკაძე |
| ისიანი | ჩისკო |
| ვ. ბოლქვაძე | კახელიშვილი |
| ქუცურუა | კოტო |
| ფეიქრიშვილი | იაგუე |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| ლ. ბაჯელიძე | ა. გარსია |

**სიონი**

46 ისიანი - **უგულავა**
46 ფეიქრიშვილი - **მ. ოქროპირიძე**
72 ქუცურუა - **კობერიძე**
*სათადარიგოები: ლობჟანიძე, ადამაშვილი, ხურციძე, კემუხტაშვილი.*

**დინამო**

40 რეხვიაშვილი - **კაშია**
46 კვეკვესკირი - **თექთურმანიძე**
73 ჩისკო - **პარუნაშვილი**
*სათადარიგოები: ნადირაძე, ფირცხალავა, ლექვთაძე, ფანცხავა.*

არბიტრი: **გ. ვადაჭკორია**




# დიდინამო და პატარა

„ფეხბურთი. სიონი (ბოლნისი)-დინამო (თბილისი). დასაწყისი 15 საათზე" - ბოლნისის ქუჩებში გამოკრულ აფიშებზე ეს უჩვეულოდ არათანაბარი ზომის ასოებით ეწერა: „დინამო" „სიონზე" ორჯერ დიდი იყო.

...გახდა 15 საათი და დავინახეთ, რომ გუნდებს შორის კლასში სხვაობაც ისეთივეა, როგორიც წარწერებში - სადღეისოდ თბილისელები ერთი თავით მაღლა დგანან ბოლნისელებზე. ეს სატურნირო ცხრილიდანაც ჩანს: „დინამოს" 16 ქულა აქვს და პირველ ადგილზეა, „სიონი" კი 2 ქულით ფსკერზეა.

გუნდებს შორის სხვაობაზე ბევრი კი ვილაპარაკეთ, მაგრამ საწყის 14 წუთში მოედანზე უთანასწორობა არაფერში იგრძნობოდა, მეტიც - „სიონის" მოთამაშეებს რომ ეთამამათ, „დინამოს" კარს სერიოზულად დაემუქრებოდნენ. თუმცა მე-14 წუთზე სტუმართა ესპანელმა ლიდერმა **ჩისკომ** ინდივიდუალური ოსტატობის წყალობით დასარტყმელი პოზიცია გამოითავისუფლა, ძელი შეაზანზარა და შეგვახსენა, ვინ იყო ფავორიტი. ეს სხვა დინამოელებმაც გაიხსენეს და ტაიმის ბოლომდე ბოლნისელებისთვის ამოსუნთქვის საშუალება არ მიუციათ. წინასწარ გეტყვით, რომ მეორე 45-წუთეულზე სალაპარაკო ბევრი არაფერია, ამიტომ გოლებზელა თუ ვიტყვით.

ძელის შერყევიდან 4 წუთში „დინამომ" კუთხური „ბარსელონას" ყაიდაზე გაითამაშა, რასაც მეკარის საჯარიმოში ბურთის ჩაწოდება მოჰყვა. პოზიცია სწორად შეარჩია ჩისკომ, ბურთს მუხლი დაუხვედრა და ანგარიში გახსნა — ეს მისი მეოთხე გოლია ჩემპიონატში.

მალე მარცხენა ფლანგზე გაილალა **კახელიშვილმა**, საჯარიმოში **კოშკაძე** დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა და 2:0.

მესამე გოლიც მარცხენა ფლანგიდან კახელიშვილის ჩაწოდებას მოჰყვა. ამჯერად კარის წინ ჩისკო აღმოჩნდა და თავური სხვაობა სამამდე გაზარდა. შესაძლოა, „დინამოს" ქომაგები (რომლებიც აქტიურად, სიმღერებით გულშემატკივრობდნენ გუნდს) მუხლითა და თავით შეგდებული ბურთების შემდეგ ჩისკოსგან ფეხით გატანილსაც ელოდნენ, მაგრამ 42-ე წუთის შემდეგ გოლი აღარ გასულა.

მეორე ნახევარში ბადის შერხევის მეტი შანსი მასპინძლებს ჰქონდათ, მაგრამ რაღაც არ ეყოთ... ეს „რაღაც" ერთი სიტყვით არ ითქმის: გამოცდილების, თავდაჯერებისა და სხვა კომპონენტების ჯამია.

**ვაჟა სიმონიშვილი**
ბოლნისიდან

# საფირმო ორბურთიანი

02.10. რუსთავი. ფოლადი. 900 მაყურებელი

| | |
|---|---|
| მეტალურგი | 3 |
| დილა | 1 |

1:0 ქავთარაძე (15, მიქაბერიძის პასით), 2:0 ტატანაშვილი (22, ქავთარაძის პასით), 3:0 ტატანაშვილი (71, ჯაფარიძის პასით), 3:1 ბაქრაძე (73, ნემსაძის პასით)

| მეტალურგი | დილა |
|---|---|
| 4-2-3-1 | 4-3-3 |
| ბედიაშვილი | მერლანი |
| სეთურიძე | ლომიძე |
| ა. კვახაძე | ქარქუზაშვილი |
| გ. კვარაცხელია | მაჭავარიანი |
| ჯაფარიძე | ო. გველესიანი |
| რაზმაძე | პ. ხორგუაშვილი |
| ქავთარაძე | ჯონჯუა |
| ჭედია | ნემსაძე |
| გ. მიქაბერიძე | რაყამაშვილი |
| ი. მაისურაძე | ახალკაცი |
| ტატანაშვილი | დ. ჩაგელიშვილი |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი |
| კ. ჟორჟიკაშვილი | გ. ცეცაძე |

**მეტალურგი**

58. ჭედია - **მოდებაძე**
73. ი. მაისურაძე - **დობროვოლსკი**
73. გ. მიქაბერიძე - **მახვილაძე**
*სათადარიგოები: ბათიაშვილი, გაგაშელიშვილი, პავლიაშვილი, ჩადუნელი*

**დილა**

46. ქარქუზაშვილი - **ბაქრაძე**
69. დ. ჩაგელიშვილი - **გ. თოდუა**
70. პ. ხორგუაშვილი - **ნ. ნოზაძე**
*სათადარიგოები: შეყრილაძე, ი. ბერაია, ლ. ჩაგელიშვილი, ვ. ხორგუაშვილი*

გაფრთხილება: **კვარაცხელია (28), პ. ხორგუაშვილი (43)**
არბიტრი: **მ. ბეუქლიშვილი**

ამ ტურამდე რუსთავის „მეტალურგს" სამი მოგება ჰქონდა და სამივე ერთნაირი ანგარიშით (2:0); **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდმა გუშინაც ორბურთიანი სხვაობით გაიმარჯვა, თუმცა მიმდინარე ჩემპიონატში პირველი გოლი გაუშვა საკუთარ მოედანზე: მატჩის დამთავრებამდე 17 წუთით ადრე სტუმართა გამოცდილმა მცველმა, 32 წლის **დავით ბაქრაძემ** ზუსტი თავური დარტყმით (საგოლე პასი 20 წლის **ვაჟა ნემსაძეს** ეკუთვნოდა) მასპინძლებს „მშრალი ანგარიშით" მოგება არ დაანება. თუმცა, ამ პრესტიჟის გოლს რუსთაველ ქომაგებზე დიდად არ უმოქმედია: „მეტალურგს" სამბურთიანი უპირატესობა ჰქონდა მოპოვებული და არცთუ სუსტ მეტოქესთან სრულიად დამსახურებული გამარჯვებაც მოიპოვა. ამით დასრულდა „დილას" ხუთმატჩიანი წაუგებელი სერია (სამი - ჩემპიონატში, ორი - თასზე), თუმცა **გია ცეცაძის** გუნდის გასაკრიტიკებლად ენა ვის უნდა მოუბრუნდეს — სტუმრებს მონდომებას ნამდვილად ვერ დავუკარგავთ, მაგრამ გუშინ მასპინძლებმა ზევრად უფრო ორგანიზებულად ითამაშეს და ლოგიკურ დასასრულამდეც მიიყვანეს საქმე.

...პირველ გოლამდე მოედანზე განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, შემდეგ კი **გიორგი ჭედიას** აქტიურობას მასპინძელთა კუთხური მოჰყვა და **გიორგი მიქაბერიძის** ჩაწოდებულს **გიორგი ქავთარაძის** ზუსტი თავური დარტყმა მოჰყვა. „მეტალურგის" ფეხბურთელებმა ეს გოლი ორიგინალურად აღნიშნეს და თანაგუნდელს, **ლაშა ჯაფარიძეს** ქალიშვილის შეძენა ასე მიულოცეს! თუმცა სტუმრები აბსოლუტურად სხვა „ხასიათზე" დადგნენ და ანგარისის გახსნიდან ერთ წუთში **დავით ჩაგელიშვილის** აქტიურობით „მეტალურგის" კართან ხიფათიც შექმნეს, მაგრამ **დავით რაყამაშვილს** მასპინძელთა მცველებმა დაასწრეს. მეორე გოლიც მალე გავიდა: შეტევა მიქაბერიძემ წამოიწყო, საპირისპირო ფრთაზე ჭედიამ გააგრძელა, მერე ბურთი ჯაფარიძეს მიუვიდა და მის მაღალ გადაცემასაც **დიმიტრი ტატანაშვილის** დარტყმა მოჰყვა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა ბურთი სტუმართა მცველთან ორთაბრძოლისას გაიტანა, „დილას" მეკარესაც „დაკარგული" ჰქონდა კარი და, ცოტა არ იყოს, კურიოზული გოლიც ვიხილეთ. ტაიმის ბოლომდე მასპინძლებმა კიდევ ორი სახიფათო შეტევა განახორციელეს და ორჯერვე **ირაკლი მაისურაძე** იყო დასარტყმელ პოზიციაზე. აი, რაც შეეხება „დილას", აღსანიშნავი მხოლოდ ის ეპიზოდია, როცა რაყამაშვილის მოხდენილი პასით ჩაგელიშვილი მასპინძელთა მეკარესთან პირისპირ უნდა დარჩენილიყო, მაგრამ გამოცდილმა **გრიგოლ ბედიაშვილმა** კარი დროულად დატოვა და სიტუაციაც განმუხტა.

...მეორე ტაიმის საწყისი წუთებიც მშვიდად წარიმართა და ერთადერთი მაშინ გამოცოცხლდა ტრიბუნები, როცა **გიორგი სეთურიძის** შორეული რეიდის შემდეგ მაისურაძე, ფაქტობრივად, ცარიელ კარში ურტყამდა, მაგრამ **ნოდარ მაჭავარიანმა** ბურთი ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა. ამას უკვე მიქაბერიძე-ტატანაშვილის კარგი კომბინაცია მოჰყვა: სტუმრები **მირზა მერლანის** რეაქციამ გადაარჩინა. უაღრესად მოტივირებული მასპინძლების მომდევნო შეტევა შედეგიანი იყო: ჯაფარიძის პასი სტუმართა მცველთათვის მოულოდნელი აღმოჩნდა, ტატანაშვილი კი ჩინებულად გაერკვა სიტუაციაში და „ერთი შეხებით" გადაგზავნა ბურთი „დილას" კარში. „მეტალურგი" სამბურთიან უპირატესობას რომ არ გაფლანგავდა, ყველასათვის ცხადი იყო და ასეც მოხდა. სტუმართა პრესტიჟის გოლზე ზემოთ ვისაუბრეთ, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მატჩის ბოლომდე ორივე კართან რამდენჯერმე შეიქმნა სახიფათო მომენტი. მასპინძელთაგან გოლის გატანის შანსი **დენის დობროვოლსკის** ჰქონდა, სტუმართაგან კი ნოდარ მაჭავარიანს, თუმცა ანგარიში აღარ შეცვლილა და ამ მოგებით „მეტალურგი" ლიდერთა სამეულში დაბრუნდა. დაბოლოს, ერთ ფაქტზეც: ტრავმისგან გამოწვეული პაუზის შემდეგ მასპინძელთა შორის **ირაკლი მოდებაძე** გამოჩნდა და „მეტალურგის" შემტევი პოტენციალიც კიდევ რომ გაიზრდება, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება.

**გია ტუხაშვილი**
რუსთავი-თბილისი

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ. | ბურთები გაშ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო | 8 | 6 | 1 | 1 | 17 | 7 | 19 |
| 2 | ზესტაფონი | 8 | 5 | 2 | 1 | 14 | 11 | 17 |
| 3 | მეტალურგი | 8 | 4 | 2 | 2 | 9 | 5 | 14 |
| 4 | ბაია | 8 | 4 | 1 | 3 | 11 | 6 | 13 |
| 5 | ტორპედო | 8 | 4 | 1 | 3 | 7 | 6 | 13 |
| 6 | ვიტ ჯორჯია | 8 | 3 | 2 | 3 | 8 | 10 | 11 |
| 7 | მერანი | 8 | 3 | 2 | 3 | 8. | 10 | 11 |
| 8 | დილა | 8 | 3 | 1 | 4 | 13 | 12 | 10 |
| 9 | გაგრა | 8 | 3 | 1 | 4 | 9 | 8 | 10 |
| 10 | სპარტაკი | 8 | 1 | 4 | 3 | 5 | 8 | 7 |
| 11 | კოლხეთი | 8 | 1 | 3 | 4 | 4 | 10 | 6 |
| 12 | სიონი | 8 | 0 | 2 | 6 | 3 | 15 | 2 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ტატანაშვილი (მეტალურგი) | 6 |
| ჩისკო (დინამო) | 5 |
| წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი) | 4 |

**IX ტური**

**15 ოქტომბერი, შაბათი**

ვიტ ჯორჯია-კოლხეთი
ზესტაფონი-გაგრა
მერანი-სიონი
დილა-ბაია

**16 ოქტომბერი, კვირა**

დინამო-მეტალურგი *Live*
ტორპედო-სპარტაკი

## ბაჯელიძე უკვე წასვლაზე ალაპარაკდა

გუშინ, მატჩისშემდგომი კომენტარისას ბოლნისის "სიონის" მთავარმა მწვრთნელმა **ლევან ბაჯელიძემ** განაცხადა, რომ გადადგომაზე ფიქრობს. არადა, "დინამოსთან" მატჩი მისთვის მხოლოდ მესამე იყო ბოლნისური კლუბის თავკაცის რანგში, ასეთ დროს კი მწვრთნელის წასვლა, ცოტა არ იყოს, მოულოდნელია.

თავად ბაჯელიძესთან დაკავშირება ვერ შევძელით, "სიონის" სხვა წარმომადგენლებმა კი მისი გადადგომის ვერსია არც დაადასტურეს და არც უარყვეს.

წესით, ყველაფერს დღეისთვის უნდა მოეფინოს ნათელი...

**ნიკა გვათუა**

## პირველი ლიგა, VIII ტური

**ა ზონა. 20 სექტემბერი**

| | |
|---|---|
| მესხეთი (ახალციხე)-მერცხალი (ოზურგეთი) | 0:1 |
| მეშახტე (ტყიბული)-ჩხერიმელა (ხარაგაული) | 1:2 |
| ჭიათურა-სტუ (თბილისი) | 4:0 |
| კოლხეთი (ხობი)-სამტრედია | 1:1 |
| ლოკომოტივი (თბილისი)-დინამო (ბათუმი) | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბათუმი | 7 | 5 | 1 | 1 | 10-5 | 16 |
| 2. მერცხალი | 6 | 4 | 2 | 0 | 10-5 | 14 |
| 3. ჩხერიმელა | 7 | 4 | 2 | 1 | 9-7 | 14 |
| 4. სტუ | 6 | 3 | 2 | 1 | 13-11 | 11 |
| 5. ჭიათურა | 6 | 3 | 1 | 2 | 7-4 | 10 |
| 6. კოლხეთი (ხ) | 7 | 1 | 2 | 4 | 6-11 | 5 |
| 7. მეშახტე | 6 | 1 | 1 | 4 | 3-5 | 4 |
| 8. მესხეთი | 6 | 1 | 1 | 4 | 2-6 | 4 |
| 9. ლოკომოტივი | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| 10. სამტრედია | 6 | 0 | 2 | 4 | 3-8 | 2 |

**ბ ზონა**

| | |
|---|---|
| გურია (ლანჩხუთი)-აეტი (თბილისი) | 5:2 |
| ადელი (ბათუმი)-ჩიხურა (საჩხერე) | 0:4 |
| სამგურალი (წყალტუბო)-იმერეთი (ხონი) | 1:2 |
| სულორი (ვანი)-ზოოვეტი (თბილისი) | 1:0 |
| ნ/დინამოელი (თბილისი)-სძური (წალენჯიხა) | 4:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 7 | 6 | 1 | 0 | 17-1 | 19 |
| 2. გურია | 7 | 5 | 2 | 0 | 21-6 | 17 |
| 3. ნ/დინამოელი | 7 | 4 | 1 | 2 | 15-6 | 13 |
| 4. ზოოვეტი | 7 | 4 | 0 | 3 | 9-11 | 12 |
| 5. იმერეთი | 7 | 3 | 1 | 3 | 7-9 | 10 |
| 6. ადელი | 7 | 2 | 1 | 4 | 8-10 | 7 |
| 7. სძური | 7 | 2 | 1 | 4 | 6-13 | 7 |
| 8. სამგურალი | 7 | 1 | 4 | 2 | 5-6 | 7 |
| 9. სულორი | 7 | 1 | 1 | 5 | 2-18 | 4 |
| 10. აეტი | 7 | 1 | 0 | 6 | 4-14 | 3 |

## მეტალურგმა ფეხბურთელები დასაჯა

მე-7 ტურში რუსთავის „მეტალურგმა" „ზესტაფონთან" სტუმრად 0:2 წააგო, რაც რამდენიმე რუსთაველ ფეხბურთელს ფინანსურ სანქციად დაუჯდა. როგორც „ლელოსთვის" გახდა ცნობილი, შედეგით უკმაყოფილო „მეტალურგის" ხელმძღვანელობამ **ალექსანდრე კვახაძე, რევაზ გეწაძე, გიორგი ჭედია და გიორგი მიქაბერიძე** ხელფასის 20 პროცენტით დააჯარიმა.

ინფორმაციის კომენტარი „მეტალურგის" გენერალურ დირექტორს **ბუბა ტყავაძეს** ვთხოვეთ:

*„კონკრეტულად ამ ამბავთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით განა იმიტომ, რომ ფაქტის დამალვა მსურს, უბრალოდ, ეს გუნდის შიდა სამზარეულოა და არ გვინდა ამაზე ლაპარაკი. გუნდში უკვე ითქვა, რაც სათქმელი იყო და ფეხბურთელებმა გაიგეს, რასაც ვითხოვთ მათგან. იქნება როგორც წახალისება, ისე საჯარიმო სანქციები", - გვითხრა ტყავაძემ.*

ფაქტია, რომ ამ სანქციების შემდეგ რუსთაველებმა გაცილებით კარგად და სანახაობრივად ითამაშეს გორის „დილასთან", ვიდრე „ზესტაფონთან".

**მაგდა კლდიაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

**პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com**

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:15

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# ბუნებაში არაფერი იკარგება – დაკარგული დროც

## ბაია რომ სეზონამდე კარგად დაღლილიყო, ასე მალე არ დაიღლებოდა

02.10. ზუგდიდი. გ. თუთბერიძე. 1000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ბაია | 1 |
| ზესტაფონი | 2 |

1:0 ქობალია (18), 1:1 წინამძღვრიშვილი (81. ბენაშვილის პასით), 1:2 ღონღაძე (90)

| ბაია | ზესტაფონი |
|---|---|
| 4-1-4-1 | 4-4-2 |
| სომხიშვილი | რ. კვასხვაძე |
| რიგვავა | ბენაშვილი |
| აფაქიძე | კოგახიძე |
| მგელაძე | საჯაია |
| აკობია | ელიავა |
| ნ. შონია | აფციაური |
| გუგუჩია | გორგიაშვილი |
| ტყემალაძე | ძარია |
| სიხარულია | სარდალიშვილი |
| წურწუმია | დვალი |
| ეხვაია | გელაშვილი |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| ე. ძომეთიანი | გ. ჭიაბრიშვილი |

**ბაია**

72. გუგუჩია - **სამუშია**
84. სიხარულია - **შ. ლომია**
88. წურწუმია - **ენდელაძე**

*სათადარიგოები: მაქაცარია, პაჭკორია, კუკავა.*

**ზესტაფონი**

59. სარდალიშვილი – **ღონღაძე**
59. დვალი - **წინამძღვრიშვილი**
72. აფციაური - **ბაბუნაშვილი**

*სათადარიგოები: მამალაძე, ჭანკოტაძე, ლომია, ფიფია.*

გაფრთხილება: აფციაური (20), გუგუჩია (39), საჯაია (52), ქობალია (65), აფაქიძე (71), სამუშია (84), სომხიშვილი (90).

არბიტრი: თ. გვანცელაძე

ცხრილში მე-3 ადგილზე მყოფი "ზაია" მოქმედ ჩემპიონსა და ამჟამად მეორეადგილოსან "ზესტაფონს" მასპინძლობდა და წარმატების შემთხვევაში გადაასწრებდა კიდეც. ამბიციურ სტუმრებს კი, ცხადია, მხოლოდ გამარჯვება სურდათ. სტატისტიკაც მათ მხარეს იყო - 2009 წლიდან მოყოლებული, "ზესტაფონმა" 8 შეხვედრიდან 7 მოიგო, "ზაიამ" კი მხოლოდ ერთი.

ზესტაფონურ ხასხასა გაზონს ნაჩვევ ჩემპიონს ნანვიმარ და ატალახებულ მოედანზე თამაში თავიდან გაუჭირდა, პირველ ტაიმშიც უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ და ანგარიშიც მალე გახსნეს: მე-18 წუთზე **ირაკლი ქობალიამ** მარცხენა ფლანგზე მცველი ჩამოიტოვა, საჯარიმოში შეიჭრა და ძლიერად დაარტყა, **როინ კვასხვაძემ** ბურთი კი მოიგერია, მაგრამ დატრიალებული თავზე გადააგორდა და კარში აღმოჩნდა – 1:0.

მომხდარმა მასპინძლები შეაგულიანა, სტუმრები კი დაიბნენ და ტაიმის დასრულებამდე "ბაიას" კიდევ შეეძლო გატანა.

29-ე წუთზე **ზვიად სიხარულიამ** მეტოქის გადაცემა ჩაჭრა, წინ დაიძრა და კარში დაარტყა, შემდეგ კვასხვაძის მიერ მოგერიებულ ბურთსაც დაამატა, მაგრამ კვლავ უშედეგოდ.

მეორე ნახევარში ვნებები გამძაფრდა, მაყურებლები მსაჯის მიმართ ხშირად გამოთქვამდნენ პრეტენზიებს. ვითარება განსაკუთრებით ბოლო წუთებში დაიძაბა.

"ზესტაფონმა" კი უფრო აქტიურად და მწვავედ შეუტია, კარგად ჩაერთო თამაშში **რატი წინამძღვრიშვილი**, რომელიც 69-ე წუთზე **ზაალ ელიავამ** ჩინებული გადაცემით დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა. რატიმ ძლიერად დაარტყა, მაგრამ **გიორგი სომხიშვილმა** ბურთი კუთხურზე მოიგერია.

81-ე წუთზე სტუმრებმა ანგარიში მაინც გაათანაბრეს: საჯარიმო **ალექსი ბენაშვილმა** შეასრულა, წინამძღვრიშვილმა მცველებს დაასწრო და ულამაზესი თავურით ბადე შეარხია – 1:1.

პირველ ტაიმში მაღალ დონეზე მოთამაშე მასპინძლებს ბოლოსკენ დაღლა დაეტყოთ, ეს კი სეზონისწინა მოსამზადებელი ეტაპის ჩაგდების ბრალია, რამაც ბოლო წუთებში იჩინა თავი - "ზესტაფონმა" შეტევები განაგრძო და მიზანსაც მიაღწია. **გელაშვილის** დარტყმის შემდეგ სომხიშვილმა ბურთი კი მოიგერია, მაგრამ თან გააპროტესტა, ამტკიცებდა, რომ ბურთს პირითი ხაზი უკვე გადაკვეთილი ჰქონდა. თითქოს გული ცუდს უგრძნობდაო — მსაჯმა გადაწყვეტილება არ შეცვალა, კუთხურის გათამაშების შემდეგ კი "ბაიას" მცველის მოგერიებული ბურთი საჯარიმოს ხაზთან **თემურ ღონღაძეს** მიუგორდა, რომელმაც ძლიერად და ზუსტად დაარტყა – 1:2.

გოლის შემდეგ მასპინძლებმა კიდევ ერთხელ გააპროტესტეს მსაჯის წინა გადაწყვეტილება, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა, "ზესტაფონმა" მოიგო, "ბაიასთან" უპირატესობა ოთხ ქულამდე გაზარდა, ზუგდიდელები კი მეოთხე ადგილზე დაქვეითდნენ.

**მერაბ მამულაშვილი**



თავშიხელწაშენილობა მერანის საჯარიმოში - რას გადავრჩით და რას გადაგვირჩნენ

ავტორის ფოტო

02.10. ლანჩხუთი. ევ. შვარდნაძე. 300 მაყურებელი

| | |
|---|---|
| კოლხეთი | 0 |
| მერანი | 1 |

0:1 ე. გრიგალაშვილი (67. სამადაშვილის პასით)

| კოლხეთი | მერანი |
|---|---|
| 4-4-1-1 | 4-2-3-1 |
| ბოგლიაშვილი | შეროზია |
| კილასონია | კაკუშაძე |
| ინწკირველი | ჟვანია |
| შავგულიძე | იობაშვილი |
| ლემონჯავა | სუხიაშვილი |
| გოგონაია | დიდავა |
| გვალია | მემარნიშვილი |
| პ. დათუნაიშვილი | ამბროლაძე |
| ზ. ჯანაშია | ჩალაძე |
| მდივნიშვილი | ე. გრიგალაშვილი |
| ქებაძე | მუნინი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ს. ფილია | ა. ჩხაბერიძე |

**კოლხეთი**

34. გოგონაია - **ლომაშვილი**
68. პ. დათუნაიშვილი - **წიქარიშვილი**
78. ლემონჯავა - **ციცხვაია**

*სათადარიგოები: ნადირაშვილი, ცხვიტარია, ცხადაია, გულუა*

**მერანი**

57. ამბროლაძე - **სამადაშვილი**
66. ჩალაძე - **მანწკავა**
90+2. მუნინი - **ჭაფოძე**

*სათადარიგოები: შენგელია, იატროპი, თ. შალიკაშვილი, ტორაძე*

გაფრთხილება: იობაშვილი (25), მუნინი (41), გვალია (58), კილასონია (82), ჟვანია (90)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

# ჯონის ქება-ქელი

## ფოთში ბავშვებს შეროზიათი შეაშინებენ!

გუშინდელი შეხვედრა „ევგრაფი შევარდნაძეზე" ისტორიაში შევა, როგორც გურიაში გამართული პირველი მეგრული დერბი! კოლხებმა ლანჩხუთის არენა უკვე მეორედ დასცადეს ცუდად — წინა მატჩიც („დილასთან") 0:1 დათმეს. როგორც ჩანს, ფოთელებს ნეიტრალური მოედნის კომპლექსი შეეყარათ — ნაგებას ვინ ჩივის, გუნდი სანახაობრივ ფეხბურთსაც ვერ თამაშობს. წინა ლანჩხუთური შეხვედრისგან განსხვავებით, ერთი უპირატესობა ის იყო, რომ ამჯერად გაშვებული გოლის შემდეგ მაინც გააქტიურდნენ და რამდენიმე ხიფათიც შექმნეს მარტვილელთა კართან, თუმცა მატჩის გადარჩენა ვერც ამჯერად მოახერხეს.

მართალია, გულშემატკივრები არც „მერანის" თამაშს გაუკვირვებია და ისიც უნდა ითქვას, რომ „კოლხეთი" თითქმის მთელი მატჩი ფლობდა ტერიტორიულ უპირატესობას, მაგრამ მარტვილელების თამაშმა გურულ ქომაგებში მეტი სიმპათია დაიმსახურა. პირველ ტაიმში აშკარა საგოლე მომენტი არც შექმნილა, ერთადერთხელ თუ შეიძლებოდა ანგარიშის გახსნა და მაშინაც ეს მარტვილელებს შეეძლოთ. მათ ეს მაინც მოახერხეს მეორე ტაიმში — შეცვლაზე შესულმა **სამადაშვილმა** კოლხთა დაცვა გააბითურა, საჯარიმოში გრიგალივით შეჭრილ **ელგუჯა გრიგალაშვილს** უპასა და მანაც **მინდია ბობლიაშვილი** უშანსოდ დატოვა — 1:0. კოლხები ლაინსმენს თამაშგარეს დაფიქსირებას სთხოვდნენ, მაგრამ ამაოდ.

ამის შემდეგ „კოლხეთმა" შეტევა კი გააძლიერა, მაგრამ „მერანის" კართან ხიფათებისა რა გითხრათ და, მეტოქემ რამდენჯერმე კინაღამ კონტრშეტევაზე გამოიჭირა. გამოცდილმა **სოსო ფილიამ** შეცვლებითაც სცადა ვითარების შეცვლა, მაგრამ მერანელები თავს საიმედოდ იცავდნენ ბოლო წუთებამდე.

მატჩის დამატებულ პირველ წუთზე კი მარტვილელთა მცველმა საჯარიმოში ხელით ითამაშა, თუმცა ამ ეპიზოდს არბიტრი კარგად ვერ ხედავდა, თანაც, **ლევან კვარაცხელია** და კომპანია გადამცემმა მოწყობილობამაც დაალალატა, რის გამოც ლაინსმენის „შეტყობინება" გვიან მიიღო და პენალტის ნიშნულისკენ ხელი ნაგვიანევად ამიტომ გაიშვირა. „კოლხეთს" მატჩის გადარჩენის შანსი მიეცა. საერთოდაც, ბოლოს მერანელები ისე აირივნენ, რომ ფოთელებს იქნებ ერთ წუთში მატჩის ბედი მოგებისკენაც კი შემოეტრიალებინათ, მაგრამ თუ ბოლო დამატებულ წუთზე „მერანის" კარი კიდევ ორჯერ იღბლად გადარჩა, 11-მეტრიანის შემთხვევაში მარტვილელები ამას ფორტუნაზე მეტად თავიანთ მეკარეს უნდა უმადლოდნენ — **ლაშა ქებაძის** დარტყმული ბურთი სწორედ მეკარის ხელიდან მოხვდა ძელს, იქიდან გადმოვარდნილს ქებაძემ ამჯერად თავი დაჰკრა, მაგრამ პენალტზე უფრო უხეიროდ და **ჯონი შეროზიას** მატჩის გმირად ქცევის შანსი მისცა — კოლხ მობურთალს პენალტზე უკეთესი სიტუაციიდან გატანა კი მართებდა, მაგრამ არც მერანელთა კიპერის შესაშური რეაქცია უნდა დავივიწყოთ.

აქვე გეტყვით, რომ „კოლხეთისთვის" ჯონი შეროზია ბოლო წლებში პირველად არ გახდა გადაულახავი ზღუდე — ორი წლის წინ „მერანის" მეკარემ „ფაზისზე" გამართულ სათასო მეოთხედფინალში სასწაულები აკეთა, გადამწყვეტ მომენტში პენალტიც (მაშინაც ბოლო წუთებზე) მოიგერია და თავისიანები კლუბის, ხოლო პირველლიგელი კლუბი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ნახევარფინალში პირველად გაიყვანა.

**მამუკა ქანთარია**
ლანჩხუთიდან

# გეგუჩაძე სამქულიანით იწყებს

02.10. თბილისი. მერანი (ზეემა). 600 მაყურებელი

| | |
|---|---|
| გაგრა | 0 |
| ტორპედო | 1 |

0:1 გ. დათუნაიშვილი (13)

| გაგრა | ტორპედო |
|---|---|
| 3-5-2 | 4-5-1 |
| სეფიაშვილი | მიგინეიშვილი |
| კალანდაძე | დ. ფოფხაძე |
| ტყეშელაშვილი | ს. თოდუა |
| გაბუნია | გამეზარდაშვილი |
| ზვიადაძე | გურული |
| ნაკონეჩნი | დოლიძე |
| სიჭინავა | გ. დათუნაიშვილი |
| ჯიშკარიანი | დილმელაშვილი |
| ორდინსკი | თარხნიშვილი |
| გაბედავა | დ. ბოლქვაძე |
| მაგაკვი | მეგრელაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ა. პისკოვეცი | გ. გეგუჩაძე |

**გაგრა**

46. ზვიადაძე – **ფალავანდიშვილი**
46. სიჭინავა - **შარიქაძე**
61. გაბუნია – **კვანტალიანი**

*სათადარიგოები: ბეგაშვილი, ქართველიშვილი, ყურულაშვილი, ჭკუასელი*

**ტორპედო**

64. თარხნიშვილი – **იოსელიანი**
72. დ. ბოლქვაძე – **კუხიანიძე**
76. მეგრელაძე – **საბანაძე**

*სათადარიგოები: ქვილითაია, ფარულავა, ჩიკვილაძე, რ. გოცირიძე*

გაფრთხილება: ზვიადაძე (32), ჯიშკარიანი (68), გაბედავა (87), გამეზარდაშვილი (90)

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

გუშინ "ტორპედომ" **გია გეგუჩაძის** ხელმძღვანელობით პირველი მატჩი ჩაატარა და დედაქალაქიდან ქუთაისში სამი ქულით გაბრუნდა. მართალია, სტუმართა თამაში ძალიან შორს იყო იდეალურისგან, მაგრამ მთავარი ტაბლოა და ამ მხრივ ტორპედოელებს უკმაყოფილების საფუძველი არ აქვთ – სატურნირო მდგომარეობაც გაიუმჯობესეს და საქართველოს თასის ფინალში განცდილი მარცხისთვის "გაგრაზე" შურიც იძიეს.

მატჩი არცთუ სანახაობრივი იყო, მაგრამ მაინც მოხდა ისეთი ამბები, გახსენებად რომ ღირს. სანახაობას ხელი ძლიერმა ქარმაც შეუშალა, მაგრამ ფეხბურთელებს მონდომებას ვერ დავუწუნებთ. ისიც სასიამოვნოა, რომ საფეხბურთო გარემო ტრიბუნებზეც იყო – "გაგრას" ქომაგებთან ერთად ქუთაისიდან ჩამოსული რამდენიმე ათეული გულშემატკივარიც აქტიურობდა.

"ტორპედო" სწრაფი გოლით დაწინაურდა – **გიორგი დათუნაიშვილმა** მასპინძელთა კარში "ჩახვეული" დაარტყა, ბურთს სტუმართათვის სასურველი მიმართულება, სავარაუდოდ, ქარმაც მისცა და **კოკა სეფიაშვილმა** "გაგრა" ვერ იხსნა – 0:1.

მთლიანობაში თამაში თანაბარი იყო და შეხვედრის ლოგიკური შედეგი, ალბათ, ფრე იქნებოდა, მაგრამ **ანატოლი პისკოვეცის** შეგირდებმა საკუთარი შანსები ვერ გამოიყენეს. "გაგრამ" უფრო მეორე ტაიმში იაქტიურა, შესვენებამდე კი **ომარ მიგინეიშვილმა გიორგი ტყეშელაშვილის** დარტყმა მოიგერია, "ტორპედოს" შესრულებით კი გამოსარჩევი იყო **გიორგი მეგრელაძის** ოდნავ არაზუსტი თავური და **დავით ბოლქვაძის** ჯარიმა, რომელიც ხარიხამ აისხლიტა.

მეორე ნახევარი უფრო საინტერესო სანახავი გამოდგა. პისკოვეცმა თამამი შეცვლები განახორციელა და შეიძლება ითქვას, ვა ბანკზე წავიდა – "გაგრამ" შეხვედრის დასკვნითი ნაწილი ოთხი ნომინალური ფორვარდით ჩაატარა, მაგრამ თამაშის გადარჩენა მაინც ვერ შეძლო, თუმცაღა ამასთან ახლოს იყო. 59-ე წუთზე **ლევან შარიქაძის** სახიფათო დარტყმისგან "ტორპედო" ხარიხამ იხსნა, 78-ეზე კი **მიკოლა ნაკონეჩნიმ** ბურთი ძელს გაარტყა. შუალედში ძელმა "გაგრაც" გადაარჩინა – გოლამდე სანტიმეტრები დააკლდა **გრიგოლ დოლიძეს**.

მოკლედ, "გაგრას" ცდა არ დაუკლია, მაგრამ ტორპედოელებმა მატჩის დებიუტშივე მოპოვებული უპირატესობა მედგარი ბრძოლით შეინარჩუნეს და მომავალს ოპტიმისტურად უყურებენ. "გაგრა" კი, რომელიც სეზონის სტარტზე ლიდერთა შორის იყო, ახლა უკვე მოკრძალებული მიზნებისთვის მებრძოლ გუნდს წააგავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

რეკლამის მენეჯერის
ვაკანსია „ლელოში"
E-mail:hr@kvirispalitra.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

### საქართველოს ჩემპიონატი



# ბნელი და ნათელი ვაკეში

ს.კ სპარტაკის პრესსამსახურის ფოტო

02.10. თბილისი. მ. მესხი
700 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სპარტაკი | 2 |
| ვიტ ჯორჯია | 1 |

1:0 მეტრეველი (3. შალამბერიძის პასით), 1:1 ჩიმაკაძე (40. პენალტით), 2:1 მეტრეველი (80. ბოიომოს პასით)

| სპარტაკი | ვიტ ჯორჯია |
|---|---|
| 4-2-3-1 | 4-2-3-1 |
| ძაგანია | ძაძამია |
| თიბილაშვილი | ადამაძე |
| ტეტუნაშვილი | კასრაძე |
| ბოიომო | გეთიაშვილი |
| მერჩკო | ვასაძე |
| კილასონია | ჯანელიძე |
| მამუჩიშვილი | ოთარიშვილი |
| შალამბერიძე | გურამ გურეშიძე |
| მაისურაძე | ზაქრაძე |
| ქანთარია | კორიფაძე |
| მეტრეველი | ჩიმაკაძე |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| ვ. ხაჩიძე | ზ. ბერიძე |

**სპარტაკი**

56. ქანთარია - **შარაშენიძე**
62. თიბილაშვილი - **დეკანოიძე**
83. მამუჩიშვილი - **ბუზალაძე**

*სათადარიგოები: ნ. დაუშვილი, ბურძენაძე, რუხაძე, ნარიმანიძე*

**ვიტ ჯორჯია**

58. გეთიაშვილი - **ხუჭუა**
68. ვასაძე - **გიორგი გურეშიძე**
82. ზაქრაძე - **სიხარულიძე**

*სათადარიგოები: სვანიძე, გოგიაშვილი, გ. ვაშაკიძე, ჯულელი*

გაფრთილება: მამუჩიშვილი (21), მეტრეველი (40), გეთიაშვილი (43), კასრაძე (61), გურამ გურეშიძე (86)

არბიტრი: ლ. სილაგავა

ცხინვალის "სპარტაკმა" **ვლადიმერ ხაჩიძის** ხელმძღვანელობით ჩემპიონატში მესამე მატჩი ჩაატარა და ორი ფრის შემდეგ პირველი მოგებაც მიითვალა. საერთოდ, მიმდინარე სეზონში ეს ცხინვალელთა პირველი გამარჯვებაა.

მასპინძლებს დასაწყისშივე დაეტყოთ, რომ ნანატრი გამარჯვების კარგი შანსი ჰქონდათ. "სპარტაკის" პირველი სერიოზული შეტევა შედეგიანად დასრულდა. **მაისურაძე-შალამბერიძე-მეტრეველის** კომბინაცია ამ უკანასკნელმა გოლით დააგვირგვინა. მეტრეველმა, რომელიც **თეიმურაზ შონიას** ტრავმის გამო კაპიტნად მოგვევლინა, დასწრებაზე კარგად ითამაშა.

გაშვებულმა გოლმა სტუმრები გაახელა, არც სპარტაკელები იყვნენ უქმად, მაგრამ ვიტელებმა მაინც შეძლეს უპირატესობის მოპოვება. მანამდე მეტრეველს შეეძლო დუბლის შესრულება, მაგრამ მის მცდელობას ამჯერად შედეგი აღარ მოჰყოლია. თბილისელებმა მაინც იძალეს, ნელ-ნელა გოლი მოამწიფეს და ტაიმის ბოლოს წონასწორობაც აღადგინეს. **გიორგი ჯანელიძის** წაქცევისთვის დანიშნული პენალტი **ბესიკ ჩიმაკაძემ** უნაკლოდ შეასრულა - 1:1.

მეორე ტაიმიც საშუალო ტემპში დაიწყო, მეტოქეებმა თითო დარტყმა გაცვალეს და... თამაშიც შეწყდა. **მიხეილ მესხის** სახელობის სტადიონის განათების 4 ანძიდან ორი მთლიანად გაითიშა. როგორც გაირკვა, ეს უსიამოვნო ამბავი ელექტროენერგიის გადატვირთვის გამო მოხდა. სტადიონის ენერგოტექნიკოსთა ბრიგადა უმალ ავარიის ლიკვიდაციაზე მუშობას შუდგა და 40 წუთში სტადიონის განათება სრულად აღდგა. მოედანზე დაბრუნებულმა გუნდებმა 3-4 წუთი გასახურებლად ითხოვეს და მატჩიც განახლდა. ცნობისთვის, რეგლამენტის მიხედვით, თუ მატჩი ასეთი ან სხვა მიზეზის გამო შეწყდება, 1 საათში უნდა გაგრძელდეს, თუ არა და გადაიდება. ასე რომ, რეგლამენტი არ დარღვეულა, შეხვედრა 45 წუთში განახლდა.

განათების გამორთვით გამოწვეულმა პაუზამ სპარტაკელებს უფრო არგო, ვიდრე ვიტელებს - მასპინძლები გაცილებით აქტიურად ათამაშდნენ და მათმა თავგამოდებამ მატჩის მიწურულს შედეგი გამოიღო.

67-ე წუთზე ზვიად მეტრეველს (სპარტაკელთა შეტევები უმთავრესად მასზე იყო აგებული) ერთის გატანაც შეეძლო, მაგრამ არ გაუმართლა. 76-ე წუთზე ჩიმაკაძე მარცხნიდან შეიჭრა საჯარიმოში, მაგრამ მეკარე **ლაშა ძაგანიამ** იმარჯვა და მისი გადაცემა ჩაჭრა. მასპინძლებმა მეტოქეზე ზეწოლა გააძლიერეს და მე-80 წუთზე დაწინაურდნენ კიდეც. სპარტაკელთა მორიგი შეტევისას **ბოიომომ** საჯარიმოში მეტრეველი მოძებნა, რომელმაც მცველებს დაასწრო და - 2:1. ვიტელები კიდევ ერთხელ შეეცადნენ გათანაბრებას, მაგრამ ამაოდ, 83-ე წუთზე **ადამაძის** თავური მიზანს ასცდა.

**ნიკა გვათუა**



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

### ლეგიონი

# ლონლაძის 20

## ხუბუტიას პირველი გასროლა

ლატვიის ვირსლიგა ბევრით არაფრით გამორჩეული ტურნირია, უეფას კლასიფიკაციით ევროპაში 38-ეა და საკმაოდ ჩამორჩება 31-ე პოზიციაზე მყოფ ჩვენს პირველობას. ამიტომაც ჩვენი ლეგიონის ცხრილში ლატვიის ქართველებს ვერ ნახავთ (გეხსომებათ, ცხრილში მხოლოდ უმაღლეს ლიგაზე მაღალი რეიტინგის ჩემპიონატებში მოთამაშე ქართველები შევიტანეთ). მაგრამ დღეს სწორედ ამ ჩემპიონატში მოთამაშე 25 წლის ფორვარდ **მამუკა ლონლაძეზე** გვსურს ყურადღების გამახვილება - დაუგავპილსის „დაუგავას" შემტევს ლატვიაში ვერაფრით აჩერებენ. ბოლო ტურში მისმა გუნდმა სტუმრად 2:1 დაამარცხა „იელგავა" და ორივე გოლი მამუკამ გაიტანა - მე-8 წუთზე თამაშიდან, 71-ეზე კი - პენალტით.



მამუკა ლონლაძეს გოლს ულოცავენ

ლონლაძემ 21 თამაშში 20 გოლი გაიტანა და ერთით ჩამორჩება სკონტოელ ბრაზილიელ **ნათან ჟუნიორს**, რომელსაც 22 თამაშში 21 გოლი აქვს გატანილი. იქნებ, მამუკამაც **ლადო დვალიშვილის** გზა გაიაროს, რომელიც ჯერ ლატვიაში გამოჩნდა, შემდეგ ნაკრებში მიიწვიეს და უკეთეს ლიგაშიც გადავიდა. ყოველ შემთხვევაში, ბოლო 10 თამაშში 15 გოლი მის კარგ ალლო-უნარზე მეტყველებს. **ლეონიდ ნაზარენკოს** „დაუგავა" 59 ქულით მესამეა ლატვიაში, ქულით ჩამორჩება „მეტალურგსს" და ოთხით ლიდერ „ვენტსპილსს".

**ლევან კობიაშვილის** „ჰერტამ" დიდი ანგარიშით მოიგო ბუნდესლიგაში, „კიოლნი" 3:0 დაამარცხა. ლევანმა სრულად ითამაშა და „შპორტალისგან" საშუალო შეფასება - 3,5 ბალი, ხოლო მეორე ბუნდესლიგაში **ალექსანდრე იაშვილმა** უკეთესი შეფასება 3 ბალი დაიმსახურა, მაგრამ მისმა გუნდმა კვლავ ვერ მოიგო, ხოლო ქართველმა კაპიტანმა მორიგი ყვითელი ბარათი მიიღო და შემდეგი ტურის მატჩს გამოტოვებს.

„ვიტესში" საგოლე პასით გამოირჩა **გიორგი ჭანტურია**. უნგრეთში ლიდერობს **რატი ალექსიძის** „დიორი ეტო", რომელმაც 4:0 მოუგო „კეჩკემეტს". პირველი გოლი მას მერე გავიდა, რაც რატი სტუმართა მეკარემ საჯარიმოში წააქცია და პენალტი დაინიშნა. თურქეთში მეორე შეხვედრა ითამაშა **აკაკი ხუბუტიამ** და გაიტანა კიდეც, თუმცა მისი სადებიუტო გასროლა არ ეყო თუნდაც ფრეს - „სამსუნსპორი" „მანიშასპორთან" 1:2 დამარცხდა.

ცხრილს თუ ჩახედავთ, ნახავთ, რომ 20-მდე ქართველ ლეგიონერს უწერია „არ ითამაშა" ან „სათადარიგო". მოკლედ, რა გითხრათ, რით გაგახაროთ...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| ფეხბურთელი | ას. | კლუბი | მეტოქე | ანგ. | შენიშვნა | სეზ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია. I ბუნდესლიგა. VIII ტური | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | 34 | ჰერტა | კიოლნი | 3:0 (შ) | 90 წუთი | 8 თ |
| გერმანია. II ბუნდესლიგა. X ტური | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | 33 | კარლსრუე | ფიურტი | 2:2 (შ) | 90 წთ (შეცვალეს), გააფრთხ. | 10 თ, 3 გ. |
| იტალია. სერია ა. V ტური | | | | | | |
| კახა კალაძე | 33 | ჯენოა | პარმა | 1:3 (გ) | 90 წუთი | 4 თ |
| იტალია. სერია ბ. VII ტური | | | | | | |
| ლევან მჭედლიძე | 21 | ემპოლი | პადოვა | 2:4 (შ) | სათადარიგო | 2 თ |
| ირაკლი შეყილაძე | 18 | ემპოლი | პადოვა | 2:4 (შ) | არ უთამაშია | 0 თ |
| საფრანგეთი. ლიგა 2. X ტური | | | | | | |
| გიორგი მაკარიძე | 21 | ლე მანი | ისტრი | 2:1 (გ) | 90 წუთი | 5 თ |
| ამირან სანაია | 21 | ბასტია | ბულონი | დღეს | | 1 თ |
| რუსეთი. პრემიერლიგა. XXVI ტური | | | | | | |
| საბა კვერკველია | 19 | რუბინი | ტომი | 2:0 (გ) | სათადარიგო | 5 თ 1 გ |
| ჯანო ანანიძე | 19 | სპარტაკი | ზენიტი | 2:2 (შ) | არ უთამაშია, ტრავმა | 10 თ, 1 გ |
| ნუკრი რევიშვილი | 24 | ანჟი | ლოკომოტივი | 0:1 (შ) | 90 წუთი | 23 თ |
| ოთარ მარცვალაძე | 27 | კრასნოდ. | დინამო | 1:2 (გ) | 90 წუთი | 19 თ, 6 გ |
| ალექს. ამისულაშვილი | 28 | კრასნოდ. | დინამო | 1:2 (გ) | არ უთამაშია, ტრავმა | 20 თ, 1 გ |
| ლევან გვაზავა | 31 | ტერეკი | ნალჩიკი | 0:1 (შ) | 90 წუთი | 17 თ |
| გია გრიგალავა | 21 | ვოლგა | ამკარი | 0:0 (შ) | არ უთამაშია | 18 თ |
| ლაშა სალუქვაძე | 29 | ვოლგა | ამკარი | 0:0 (შ) | არ უთამაშია | 15 თ, 1 გ |
| გოჩა ხოჯავა | 26 | ვოლგა | ამკარი | 0:0 (შ) | არ უთამაშია | 10 თ, 2 გ |
| მათე ვაწაძე | 22 | ვოლგა | ამკარი | 0:0 (შ) | 32 წთ (შეცვლაზე) | 18 თ, 1 გ |
| ზურაბ არზიანი | 23 | ვოლგა | ამკარი | 0:0 (შ) | სათადარიგო | 3 თ |
| დავით სირაძე | 29 | ნალჩიკი | ტერეკი | 1:0 (გ) | 1 წთ (შეცვლაზე) | 19 თ, 2 გ |
| გუჯა რუხაია | 24 | ნალჩიკი | ტერეკი | 1:0 (გ) | არ უთამაშია | 6 თ |
| ზურაბ ცისკარიძე | 24 | ამკარი | ვოლგა | 0:0 (გ) | სათადარიგო | 3 თ |
| რუსეთი. I დივიზიონი. XXX ტური. | | | | | | |
| გიორგი ნავალოვსკი | 25 | ხიმკი | ალანია | დღეს | | 25 თ |
| უკრაინა. პრემიერლიგა. XII ტური | | | | | | |
| უჩა ლობჟანიძე | 24 | კრივბასი | ობოლონი | 1:0 (შ) | 90 წუთი, გააფრთხ. | 8 თ |
| ჯაბა კანკავა | 25 | კრივბასი | ობოლონი | 1:0 (შ) | 90 წუთი | 11 თ |
| ალექსანდრე კობახიძე | 24 | არსენალი | მეტალ. დ. | 1:0 (შ) | არ უთამაშია | 10 თ, 2 გ |
| ვასილ გიგიაძე | 34 | ტავრია | ჩერნომორეცი | 0:1 (გ) | 82 წთ (შეცვალეს) | 6 თ, 2 გ |
| ბექა გოცირიძე | 22 | დნიპრო | ოლექსანდრია | 5:1 (შ) | არ უთამაშია | 0 თ |
| თორნიკე ოქრიაშვილი | 19 | ილიჩივეცი | მეტალისტი | 0:1 (შ) | არ უთამაშია | 5 თ |
| ჯაბა ლიპარტია | 23 | ზარია | შახტარი | 1:4 (გ) | 90 წუთი | 12 თ, 1 გ |
| დავით თარგამაძე | 21 | ოლექსანდ. | დნიპრო | 1:5 (გ) | 90 წუთი, 1 გოლი | 12 თ, 3 გ |
| ალექსანდრე გურული | 25 | კარპატი | ვოლინი | 2:0 (გ) | 90 წთ (შეცვალეს) | 3 თ |
| ჰოლანდია. ერედივიზიე. VIII ტური | | | | | | |
| გურამ კაშია | 24 | ვიტესი | ჰეერენვეენი | 1:1 (შ) | 90 წუთი | 8 თ, 1 გ |
| გიორგი ჭანტურია | 18 | ვიტესი | ჰეერენვეენი | 1:1 (შ) | 90 წთ (შეცვალეს), 1 პასი | 8 თ 2 გ |
| ვალერი ყაზაიშვილი | 18 | ვიტესი | ჰეერენვეენი | 1:1 (შ) | არ უთამაშია | 0 თ |
| საბერძნეთი. სუპერლიგა. V ტური | | | | | | |
| დავით კვირკველია | 31 | პანიონიოსი | აეკ | 0:1 (შ) | 90 წუთი | 4 თ |
| გიორგი შაშიაშვილი | 32 | ერგოტელისი | ოფი | 0:1 (გ) | 90 წუთი | 2 თ |
| თურქეთი. სუპერლიგა. IV ტური | | | | | | |
| აკაკი ხუბუტია | 25 | სამსუნი | მანიშა | 1:2 (შ) | 90 წუთი, 1 გოლი | 2 თ |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 29 | ქაისერი | მერსინი | 2:2 (შ) | 90 წუთი | 4 თ |
| ავსტრია. ბუნდესლიგა. X ტური | | | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | 24 | შტურმი | რიდი | 1:0 (შ) | 90 წუთი | 7 თ |
| კვიპროსი. I დივიზიონი. V ტური | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | 33 | ეთნიკოსი | ოლიმპიაკ. | დღეს | | 4 თ |
| ლევან ქებაძე | 36 | ეთნიკოსი | ოლიმპიაკ. | დღეს | | 4 თ |
| კლიმენტი წიტაიშვილი | 36 | ნეა სალამინა | აეკ | დღეს | | 0 თ |
| ისრაელი. ლიგატ ჰაალი. VI ტური | | | | | | |
| ლადო დვალიშვილი | 25 | მაქაბი ჰ. | მაქაბი თ. | დღეს | | 2 თ |
| შვეიცარია. სუპერ ლიგა. XI ტური | | | | | | |
| ირაკლი ჩირიკაშვილი | 23 | ქსამაქსი | თუნი | 4:0 (შ) | 6 წთ (შეცვლაზე) | 5 თ |
| დანია. სასლიგა. X ტური | | | | | | |
| დავით დევდარიანი | 23 | ორჰუსი | კოპენჰ. | 1:1 (გ) | არ უთამაშია | 3 თ |
| გიორგი დიასამიძე | 19 | ორჰუსი | კოპენჰ. | 1:1 (გ) | არ უთამაშია | 0 თ |
| დავით სხირტლაძე | 18 | ორჰუსი | კოპენჰ. | 1:1 (გ) | სათადარიგო | 1 თ |
| პოლონეთი. ექსტრაკლასა. IX ტური | | | | | | |
| ნიკა ძალამიძე | 19 | ვიძევი | რუხი | 1:3 (გ) | 90 წუთი | 9 თ, 1 გ |
| მერაბ გიგაური | 18 | იაგიელონია | ზაგლებიე | 3:1 (შ) | სათადარიგო | 0 თ |
| სერბეთი. სუპერლიგა. VII ტური | | | | | | |
| გიორგი მერებაშვილი | 24 | ვოივოდინა | პარტიზანი | 1:2 (შ) | 90 წუთი, გააფრთხ. | 7 თ |
| უნგრეთი. ნბ-1. XI ტური | | | | | | |
| გიორგი განუგრავა | 23 | ლომბარდი | ზალაეგერშ. | 1:1 (გ) | 80 წთ (შეცვალეს) | 11 თ, 1 გ |
| ლაშა თოთაძე | 22 | ლომბარდი | ზალაეგერშ. | 1:1 (გ) | 90 წუთი | 11 თ |
| რატი ალექსიძე | 33 | დიორი | კეჩკემეტი | 4:0 (შ) | 70 წთ (შეცვალეს) | 11 თ 2 გ |
| ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XXVII ტური | | | | | | |
| ირაკლი სირბილაძე | 28 | იარო | ჰიკ | 0:6 (გ) | 90 წუთი | 12 თ, 9 გ |
| იაპონია. ჯეილიგა. XXVIII ტური | | | | | | |
| დავით მუჯირი | 33 | ჰიროშიმა | კობე | 1:0 (შ) | 19 წთ (შეცვლაზე) | 28 თ, 5 გ |
| სამხ. აფრიკა. პსლ. VI ტური | | | | | | |
| გიორგი ნერგაძე | 28 | მოროკა | სუპერსპორტი | 1:1 (შ) | 60 წთ (შეცვალეს) | 5 თ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინგლისი. პრემიერლიგა. VII ტური

# ძლიერი ძლიერები და დიდი ანგარიშები



მერსისაიდურ დერბიში „ლივერპულმა" გაიმარჯვა — „ევერტონს" მისსავე მოედანზე, „გუდისონ პარკზე", 2:0 მოუგო. ამ შეხვედრაში მსაჯმა, **მარტინ ატკინსონმა** მოედნიდან მასპინძელთა ჩამშლელი ნახევარმცველი **ჯეკ როდუელი** გააგდო, რამაც მწვრთნელი, **დევიდ მოიესი** გააბრაზა. ის დარწმუნებულია, რომ როდუელი „წითლების" ურუგვაელ თავდამსხმელ **ლუის სუარესს** სულაც არ ეუხეშა. არადა, ატკინსონმა როდუელი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გააძევა მოედნიდან — ყვითელ ბარათზე არც უფიქრია, პირდაპირ წითელი ამოუღო. მნიშვნელოვანია, რომ ეს ამბავი შეხვედრის 23-ე წუთზე მოხდა. შესვენების შემდეგ ხსენებულმა სუარესმა და **ენდი ქეროლმა** თითო გოლი გაიტანეს მასპინძელთა კარში.

*„მსაჯის გადაწყვეტილებამ თამაში გააფუჭა — თქვა მოიესმა — საერთოდ, დერბებზე, მათ თანმდევ დაძაბულობასა და უხეშ ორთაბრძოლებზე ხალხი ბევრს ლაპარაკობს, მაგრამ ამ შემთხვევაში ყველაფერი „სუფთად" იყო. გაძევება კი არა, ატკინსონს მხოლოდ ჯარიმა რომ დაენიშნა, უკმაყოფილო დავრჩებოდი, ყვითელ ბარათზე კი ვიკითხავდი, ნეტა, რატომ აძლევსო. „ლივერპულის" წინააღმდეგ თერთმეტი თერთმეტის წინააღმდეგ რომ თამაშობ, მაშინ არის ძნელი და კაცნაკლულებს ხომ ორმაგად გაგვიჭირდა".*

შეგახსენებთ, რომ მოიესსა და მსაჯ ატკინსონს ადრეც მოსვლიათ კონფლიქტი: ერთი წლის წინ, „ევერტონისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" 3:3 დამთავრებული შეხვედრის შემდეგ მერსისაიდელთა მწვრთნელმა ატკინსონის გადაწყვეტილებები ემოციურად კააპროტესტა, რისთვისაც ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ 8 ათასი ფუნტით დააჯარიმა.

იმას, რომ მისმა გუნდმა უპირატესობა წითელი ბარათის წყალობით მოიპოვა, არც „ლივერპულის" თავკაცი **კენი დალგლიში** უარყოფს. მან თქვა:

*„გაძევებამდე გუნდებს შორის უმჯობესი და უარესი არ იყო, თანაბარი თამაში მიმდინარეობდა. არის შემთხვევები, როდესაც რიცხობრივი უპირატესობა პირიქით, ცუდ საქმეს გიკეთებს და არის შემთხვევები, როდესაც ამისაგან დიდ ხეირს ნახულობ. ამჯერად, ჩვენ ემოციებს არ ავყევით, ჩვენი საკეთებელი დაჟინებით ვაკეთეთ და გავიმარჯვეთ".*

კითხვაზე, იყო თუ არა როდუელი გასაგდები, დალგლიშმა არ უპასუხა: *„არ ვიცი. ეპიზოდი არ დამინახავს"* — უპასუხა მან.

ამავე შეხვედრის პირველ ტაიმში **დირკ კუიტმა** ვერ გაიტანა პენალტი, მაგრამ დალგლიშმა მაინც იპოვა მიზეზი თავისი ფეხბურთელის შესაქებად — ხელის მოცარვამ მასზე ვერ იმოქმედაო.

„ასტონ ვილასა" და „უიგანის" შეხვედრაში მთავარი გმირი **გებრიელ აგბონლაჰორი** გახლდათ. მან ბირმინგემელთა პირველი გოლი თავად გაიტანა და თანაც ეს პირველივე ტაიმში, მეორე კი შესვენების შემდეგ **დარენ ბენტს** გაატანინა. ანგარიში შეიძლებოდა უფრო დიდიც ყოფილიყო, მაგრამ უიგანელთა მეკარემ, **ალი ალ ჰაბსიმ** რამდენეჯერმე საუცხოოდ ითამაშა. „ასტონ ვილა" ჩემპიონატში დაუმარცხებელ სვლას აგრძელებს.

„ბლექბერნმა" „მანჩესტერ სიტისთან" შინ წააგო 0:4. ამ შეხვედრაში ერთი გოლი **ედინ ჯეკოს** ადგილზე მოთამაშე **მარიო ბალოტელიმ** გაიტანა. ასე იმიტომ ვამბობთ, რომ შუა კვირაში ისტლენდელებმა მიუნხენში ჩემპიონთა ლიგის შეხვედრა წააგეს „ბაიერნთან" 2:0 და იმ შეხვედრაში ჯეკომ მოედნიდან გაყვანის გამო პროტესტი გამოთქვა. ამის გამო ბოსნიელს შემდეგ ბოდიშის მოხდა დასჭირდა, მაგრამ მწვრთნელმა, **რობერტო მანჩინიმ** ეს ბოდიში არ იკმარა და „ბლექბერნთან" შეხვედრაში მის ნაცვლად ბალოტელი ათამაშა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, აფროიტალიელმა გაამართლა — „სიტიმ" იოლად გაიმარჯვა და „ბაიერნთან" წაგების შემდეგ, როგორც იტყვიან, პირი მოიწმინდა. ანგარიში **ადამ ჯონსონმა** გახსნა. ეს გახლდათ ულამაზესი გოლი. მეორე ბალოტელიმ შეაგდო, ბოლოს კი **სამირ ნასრიმ** და **სტეფან სავიჩმა** დაამატეს თითო. ამ წაგების შემდეგ, რივერსაიდელთა თავკაც **სტივენ კინს** ცუდად აქვს საქმე, შეიძლება სამსახურიდან გაუშვან.

„მანჩესტერ იუნაიტედმა" საკლუბო რეკორდი დაამყარა — შინ ზედიზედ 19 შეხვედრაში გაიმარჯვა. სხვა საქმეა, რომ „იუნაიტედისა" და „ნორვიჩის" შეხვედრას არანაირი ინტრიგა არ ახლდა, რადგან სტუმრები თავიდანვე დანებებულები იყვნენ და ინგლისის ჩემპიონმაც ყოველგვარი ზედმეტი ძალისხმევის გარეშე გაიმარჯვა. ისე, საგოლე მომენტები სტუმრებსაც ჰქონდათ: **ენტონი პილკინგტონმა** ძელსაც გაარტყა და ხელსაყრელი სიტუაციიდან მიზანსაც ააცილა.

„სანდერლენდმა" და „ვესტ ბრომვიჩმა" ერთმანეთს ოთხი გოლი გაუტანეს — ყველა პირველ ტაიმში. „შავ კატათაგან" მეორე **აჰმედ ელმოჰამადიმ** შეაგდო, რაც მისი პირველი გოლი გახლდათ გუნდის შემადგენლობაში. ელმოჰამადიმ შეხვედრას წერტილი დაუსვა, ანგარიში გაათანაბრა და ქულა გადაარჩინა. აღსანიშნავია, რომ „სთედიუმ ოფ ლაითზე" მაყურებელი მასპინძელთა თავკაცის, **სტივ ბრუსის** სამსახურიდან გაშვებას ითხოვდა. მატჩის შემდეგ ბრუსმა, როგორც მწვრთნელთა უმრავლესობას სჩვევია, განაცხადა, რომ არსადაც არ მიდის.

„ნიუკასლმა" ვულვერჰემპტონში გაიმარჯვა და ცხრილის ზედა ნაწილში ინარჩუნებს ადგილს. აღსანიშნავია, რომ ამისათვის „კაჭკაჭები" მეკარე **ტიმ კრულს** უნდა უმადლოდნენ. ერთადერთი, რაც კრულმა ველარ შეძლო, 88-ე წუთზე **სტივენ ფლეტჩერის** დარტყმის მოგერიება იყო. „ვულვერჰემპტონმა" ზედიზედ მეოთხე მატჩი წააგო.

„ჩელსიმ" ბოლტონში იოლად მოიგო, 5:1. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში სამი გოლი **ფრენკ ლემპარდმა** გაიტანა — ასეთი პასუხი გასცა ვეტერანმა ნახევარმცველმა ჭორებს, თითქოს გუნდის ახალი მწვრთნელი, **ანდრე ვილაშ-ბოაში** მას ბოლო შეხვედრებში, სასტარტო შემადგენლობაში იმიტომ აღარ ათამაშებდა, რომ, როგორც ყავლგასულ ფეხბურთელს, გუნდიდან გაგდებას უპირებს. დანარჩენი გოლები გასულ სეზონში „ბოლტონში" გაქირავებულმა და დაფრთიანებულმა **დენიელ სტარიჯმა** შეაგდო. დასავლეთლონდონელებს ორი გოლის გატანაში მასპინძელთა მეკარე, **ადამ ბოგდანი** დაეხმარა. მან უხეში შეცდომები დაუშვა.

„ფულჰემს" სეზონის პირველი მოგება მეტად ეფექტური გამოუვიდა — უბნელ „ქუინზ პარკ რეინჯერსს" ექვსი უპასუხო გოლი გაუტანა. ამ საქმეში ლომის წვლილი **ენდრიუ ჯონსონის** ჰეთ-თრიქმა შეიტანა. ეს გახლდათ მეზობლების პირველი შეხვედრა 2001 წლის შემდეგ. ცნობისათვის: „რეინჯერსს" „ფულჰემისთვის" 1983 წლის შემდეგ არ მოუგია.

პრემიერლიგის უელსური გუნდი, „სუონსი სიტი" შინ დაუმარცხებლად მიდის. სუონსელთა შემადგენლობაში პირველი გოლი კლუბის ისტორიაში უძვირესმა შენაძენმა **დენი გრემმა** შეხვედრის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე გაიტანა. ანგარიში **სკოტ სენკლერმა** პენალტით გაიტანა. ეს მისი მეორე თერთმეტმეტრიანი გახლდათ მიმდინარე სეზონში. ხსენებული პენალტი იმიტომ დაინიშნა, რომ **რაიან შოუკროსმა**, რომელიც პრემიერლიგაში თავის მეასე შეხვედრას ატარებდა, საჯარიმოში **უეინ რუტლიჯი** წააქცია.

ჩრდილოლონდონურ დერბიში „სფურზს" გამარჯვება განაპირა მცველის, **კაილი უოქერის** დარტყმამ ან მეკარე **ვოიცეხ შჩესნის** შეცდომამ მოუტანა. პოლონელმა გოლკიპერმა დარტყმულს ხელიც კი დაახვედრა, მაგრამ, ვერ შეიმაგრა. ანგარიში „დეზების" ჰოლანდიელმა ვარსკვლავმა **რაფაელ ვან დერ ვაარტმა** გაუტანა, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ მან ბურთი მკლავით გააჩერა. „მეთოფეთა" მხრიდან **აარონ რემსის** შეაგდო. მეტოქეებმა სწრაფი, „ღია" ფეხბურთი ითამაშეს და, როგორც ასეთ დროს ხდება, საგოლე მომენტები ორივე კართან იყო.

გვერდი მოამზადა

**ილია ბაბუნაშვილმა**

### მომდევნო ტური

15 ოქტომბერი: **ლივერპული-მანჩესტერ იუნაიტედი, მანჩესტერ სიტი-ასტონ ვილა, ნორვიჩი-სუონსი, ქუინზ პარკი-ბლექბერნი, სტოკი-ფულჰემი, უიგანი-ბოლტონი, ჩელსი-ევერტონი.**

16 ოქტომბერი: **ვესტ ბრომვიჩი-ვულვერჰემპტონი, არსენალი-სანდერლენდი, ნიუკასლი-ტოტენჰემი.**

### ევერტონი–ლივერპული 0:2

**ევერტონი** (4-4-1-1): ჰოვარდი – ჰიბერტი (79. ჰიბერტი), ჯეგიელკა, დისტინი, ბეინესი – კოულმენი (59. დრენტე), ფელაინი, როდუელი, ოსმანი (70. ფ. ნევილი) – ტ. კეჰილი - საა.

**ლივერპული** (4-4-2): რეინა – კელი, კარაგერი, შკრტელი, ენრიკე – კუიტი, ლუკასი (88. ჰენდერსონი) ადამი (67. ჯერარდი), დაუნინგი (67. ბელამი) – სუარესი, ქეროლი.

**გოლები:** 0:1 ქეროლი (71), 0:2 სუარესი (82)

**ვერ გაიტანა პენალტი:** კუიტი (44-ლივერპული)

**გაფრთხილება:** ტ. კეჰილი – ლუკასი

**გაძევება:** როდუელი (23—ევერტონი)

**კუთხური:** 5-9; **ჯარიმა:** 11-16; **კარში დარტყმა:** 11-11 (3-7); **თამაშგარე:** 2-1; **ბურთის ფლობა:** 36%-64%

**მაყურებელი:** 39 510

### ვულვერჰემპტონი–ნიუკასლი 1:2

**ვულვერჰემპტონი** (4-4-2): ჰენესი – სტირმენი, ჯონსონი, ბერა, უორდი – ჰანტი (58. გუედიოურა), ო'ჰარა, ჰენრი (57. ჰემილი), ჯერვისი – დოილი, ფლეტჩერი.

**ნიუკასლი** (4-4-2): კრული – სიმპსონი, რ. ტეილორი, კოლოჩინი, ს. ტეილორი – ობერტანი (90. მარვო), კაბაიე (89. გათრი), ტიოტე, ხონასი – ბესტი, ბა (71. ლოვენკრანდსი).

**გოლები:** 0:1 ბა (17), 0:2 ხონასი (38), 1:2 ფლეტჩერი (88)

**გაფრთხილება:** ჰენრი – ხონასი, კრული

**კუთხური:** 10-4; **ჯარიმა:** 18-9; **კარში დარტყმა:** 23-10 (9-5); **თამაშგარე:** 3-8; **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 30 744

### სანდერლენდი–ვესტ ბრომვიჩი 2:2

**სანდერლენდი** (4-4-2): მინოლე – ო'ში, ბრაუნი, ტერნერი, რიჩარდსონი – ელმოჰამადი (82. ჯი), გარდნერი (90. მეილერი), კეტერმოლი (70. კოლბეკი), ლარსონი – სესენიონი, ბენდტნერი.

**ვესტ ბრომვიჩი** (4-4-2): ფოსტერი – რიდი, მაკოლი, ოლსონი, შორი – ბრანტი, მულუმბუ (74. შარნერი), დორანსი (88. ტომასი), მორისონი – ოდემვინგე, ლონგი.

**გოლები:** 0:1 მორისონი (4), 0:2 ლონგი (5), 1:2 ბენდტნერი (24), 2:2 ელმოჰამადი (27)

**გაფრთხილება:** ლარსონი, ელმოჰამადი (ორივე სანდერლენდი)

**კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 19-14; **კარში დარტყმა:** 11-6 (6-3); **თამაშგარე:** 3-2; **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 34 815

### მანჩესტერ იუნ.–ნორვიჩი 2:0

**მანჩესტერ იუნაიტედი** (4-4-2): ლინდეგაარდი – ვალენსია, ჯონსი, ევანსი, ევრა – ნანი (64. გიგზი), ფლეტჩერი, ანდერსონი (76. რ. ფერდინანდი), პარკი – რუნი, ერნანდესი (64. უელბეკი).

**ნორვიჩი** (4-4-1-1): რადი – ნაფტონი, ბერნეტი, ნაფტონი, ტიერნი – ბენეტი (74. ბენეტი), ფოქსი (73. ჯექსონი), ჯონსონი, პილკინგტონი – ჰულაჰანი (85. მარტინი) - მორისონი.

**გოლები:** 1:0 ანდერსონი (68), 2:0 უელბეკი (87)

**გაფრთხილება:** უელბეკი

**კუთხური:** 10-3; **ჯარიმა:** 7-15; **კარში დარტყმა:** 13-11 (4-4); **თამაშგარე:** 6-1; **ბურთის ფლობა:** 70%-30%

**მაყურებელი:** 75 514

### ბლექბერნი–მანჩესტერ სიტი 0:4

**ბლექბერნი** (4-3-3): რობინსონი – ლოუი, სამბა, დანი, ჟივე – პეტროვიჩი, ნზონზი, პედერსენი – გუდვილი (61. ფორმიკა), იაკუბუ, ჰოილეტი.

**მანჩესტერ სიტი** (4-3-3): ჰარტი – საბალეტა, კომპანი, ლესკოტი, კოლაროვი – მილნერი, ი. ტურე, სილვა – ჯონსონი (79. სავიჩი), აგუერო (28. ნასრი), ბალოტელი (89. ჯეკო).

**გოლები:** 0:1 ჯონსონი (57), 0:2 ბალოტელი (59), 0:3 ნასრი (73), 0:4 სავიჩი (87)

**გაფრთხილება:** ჟივე - საბალეტა

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 15-8; **კარში დარტყმა:** 7-16 (4-8); **თამაშგარე:** 0-0; **ბურთის ფლობა:** 38%-62%

**მაყურებელი:** 24 760

### ასტონ ვილა–უიგანი 2:0

**ასტონ ვილა** (4-3-3): გივენი – ჰატონი, კოლინზი, დანი, უორნოკი – აირლენდი (57. ჰესკი), დელფი, ს. პეტროვი – ბენანი, ბენტი (74. ნ'ზოგბია), აგბონლაჰორი (86. ვაიმანი).

**უიგანი** (4-5-1): ალ ჰაბსი – ბოისი, კოლდუელი, ფიგეროა, ვან აანჰოლტი – სტამი (56. მაკარტური), მაკარტი (85. სემონი), უოტსონი, დიამე (71. მელოუნი), მოზესი – დი სანტო.

**გოლები:** 1:0 აგბონლაჰორი (36), 2:0 ბენტი (62)

**გაფრთხილება:** კოლდუელი (უიგანი)

**კუთხური:** 1-6; **ჯარიმა:** 14-17; **კარში დარტყმა:** 14-3 (8-1); **თამაშგარე:** 3-4; **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:**

### ბოლტონი–ჩელსი 1:5

**ბოლტონი** (4-3-3): ბოგდანი – სტეინსონი (46. ნათი), გ. კეჰილი, ბოიატა, რობინსონი – პრეტლი, რიოკერი, გარდნერი (75. იგლზი) – კ. დევისი, ნ'გოგი (74. თუნჩაი), მ. პეტროვი.

**ჩელსი** (4-3-3): ჩეხი – ბოსინგვა (53. ივანოვიჩი), ლუიზი, ტერი, ე. კოული – რამირესი (56. მიკელი), მეირელეში, ლემპარდი – სტარიჯი, დროგბა, მატა (72. ანელკა).

**გოლები:** 0:1 სტარიჯი (2), 0:2 ლემპარდი (15), 0:3 სტარიჯი (26), 0:4 ლემპარდი (27), 1:4 ბოიატა (46), 1:5 ლემპარდი (59)

**გაფრთხილება:** ნ'გოგი – ლუიზი, ტერი

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 12-12; **კარში დარტყმა:** 8-15 (4-9); **თამაშგარე:** 2-1; **ბურთის ფლობა:** 42%-58%

**მაყურებელი:** 24 657

### ფულჰემი–ქუინზ პარკი 6:0

**ფულჰემი** (4-4-2): შვარცერი – გრიგერა, ბეირდი, ჰანგელანდი, რიისე – დემპსი, მერფი (83. ეტუჰუ), სიდუელი, დემბელე (86. სა) – ა. ჯონსონი (74. რუის გონსალესი), ზამორა.

**ქუინზ პარკი** (4-5-1): კენი – ორი, ა. ფერდინანდი, ჰოლი, ლ. იანგი – რაიტ-ფილიპსი, დერი (46. კემპბელი), ბარტონი, ფაურლინი, ტაარაბტი (46. სმიტი) – ბოთროიდი (72. მეკი).

**გოლები:** 1:0 ა. ჯონსონი (2), 2:0 მერფი (20-პენ), 3:0 ა. ჯონსონი (38), 4:0 ა. ჯონსონი (59), 5:0 დემპსი (65), 6:0 ზამორა (74)

**გაფრთხილება:** სიდუელი, ჰანგელანდი – ჰოლი, ფაურლინი, რაიტ-ფილიპსი

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 9-12; **კარში დარტყმა:** 15-13 (9-5); **თამაშგარე:** 1-3; **ბურთის ფლობა:** 62%-38%

**მაყურებელი:** 23 766

### სუონსი–სტოკი 2:0

**სუონსი** (4-3-3): ვორმი – რანგელი, მონკი, უილიამსი, ნ. ტეილორი – ალენი, რუტლიჯი (66. მური), გოვერი — დაიერი, გრემი (90. ლიტა), სინკლერი.

**სტოკი** (4-4-2): ბეგოვიჩი - უილკინსონი, ვუდგეიტი, შოუკროსი, უილსონი (32. ჰუთი) – პენანტი (80. შოტონი), უაიტჰედი, უილენი, დილეპი (55. ჯერომი) – უოლტერსი, კრაუჩი.

**გოლები:** 1:0 სინკლერი (9-პენ), 2:0 გრემი (85)

**გაფრთხილება:** გოვერი, ტეილორი, რუტლიჯი – უილენი, უილკინსონი, კრაუჩი, პენანტი, შოტონი

**კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 20-17; **კარში დარტყმა:** 10-10 (4-6); **თამაშგარე:** 2-2; **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 19 532

### ტოტენჰემი–არსენალი 2:1

**ტოტენჰემი** (4-4-2): ფრიდელი – უოქერი, ქაბული, კინგი, ასუ-ეკოტო – ვან დერ ვაარტი (63. სანდრო), პარკერი (90. ჩორლუკა), მოდრიჩი, ბეილი – ადებაიორი (85. ლივერმორი), დეფო.

**არსენალი** (4-3-3): შჩესნი – სანია (68. ჯენკინსონი), მერტეზაკერი, სონგი, გიბზი – რემსი, არტეტა, კოქუელინი – უოლკოტი (72. ბენაიუნი), ვან პერსი, ჟერვინიო (77. არშავინი).

**გოლები:** 1:0 ვან დერ ვაარტი (40), 1:1 რემსი (51), 2:1 უოქერი (73)

**გაფრთხილება:** ვანდერვაარტი, პარკერი-მერტეზაკერი

**კუთხური:** 9-7; **ჯარიმა:** 11-18; **კარში დარტყმა:** 14-11 (6-6); **თამაშგარე:** 5-1; **ბურთის ფლობა:** 40%-60%

**მაყურებელი:** 36 274

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 7 | 6 | 1 | 0 | 24-5 | 19 |
| 2. სიტი | 7 | 6 | 1 | 0 | 23-5 | 19 |
| 3. ჩელსი | 7 | 5 | 1 | 1 | 17-8 | 16 |
| 4. ნიუკასლი | 7 | 4 | 3 | 0 | 9-4 | 15 |
| 5. ლივერპული | 7 | 4 | 1 | 2 | 10-8 | 13 |
| 6. ტოტენჰემი | 6 | 4 | 0 | 2 | 11-10 | 12 |
| 7. ასტონ ვილა | 7 | 2 | 5 | 0 | 9-5 | 11 |
| 8. სტოკ სიტი | 7 | 2 | 3 | 2 | 4-8 | 9 |
| 9. ნორვიჩი | 7 | 2 | 2 | 3 | 7-10 | 8 |
| 10. სუონსი | 7 | 2 | 2 | 3 | 6-9 | 8 |
| 11. ქუინზ პარკი | 7 | 2 | 2 | 3 | 5-13 | 8 |
| 12. ფულჰემი | 7 | 1 | 4 | 2 | 10-7 | 7 |
| 13. ევერტონი | 6 | 2 | 1 | 3 | 6-8 | 7 |
| 14. ვულვზი | 7 | 2 | 1 | 4 | 6-10 | 7 |
| 15. არსენალი | 7 | 2 | 1 | 4 | 10-16 | 7 |
| 16. სანდერლენდი | 7 | 1 | 3 | 3 | 9-8 | 6 |
| 17. ვესტ ბრომვიჩი | 7 | 1 | 2 | 4 | 5-10 | 5 |
| 18. უიგანი | 7 | 1 | 2 | 4 | 5-11 | 5 |
| 19. ბლექბერნი | 7 | 1 | 1 | 5 | 8-17 | 4 |
| 20. ბოლტონი | 7 | 1 | 0 | 6 | 9-21 | 3 |

ბომბარდირები: 9 – რუნი (მანჩესტერი); 8 – აგუერო (სიტი); 6 – ჯეკო (სიტი); 4 — აგბონლაჰორი (ასტონ ვილა), ბა (ნიუკასლი), ლემპარდი (ჩელსი), სუარესი (ლივერპული);

### ინგლისი. ჩემპიონატი. IX ტური

**ბარნსლი-ქოვენთრი 2:0**

გოლები: 1:0 გრეი (42-პენ), 2:0 გრეი (55)

**ბლექპული-ბრისტოლი 5:0**

გოლები: 1:0 ტეილორ-ფლეტჩერი (37), 2:0 შელვი (66), 3:0 ბოგდანოვიჩი (83), 4:0 ორმეროდი (90), 5:0 ბოგდანოვიჩი (90)

**კრისტალ პალასი-ვესტ ჰემი 2:2**

გოლები: 1:0 ემბროუზი (6), 1:1 ნოლანი (16), 2:1 მიურეი (52), 2:2 კარეუ (80)

**ჰალი-კარდიფი 2:1**

გოლები: 1:0 ფრაიატი (39), 1:1 რელსი (62), 2:1 ბარმბი (71)

**იფსვიჩი-ბრაიტონი 3:1**

გოლები: 0:1 ვისენტე (53), 1:1 ჩოპრა (59), 2:1 სონკი (70), 3:1 ჩოპრა (73)

**ლიდსი-პორტსმუთი 1:0**

გოლი: 1:0 პაფი (14)

**მილუოლი-ბარნლი 0:1**

გოლები: 0:1 როდრიგესი (37)

**პიტერბორო-დონკასტერი 1:2**

გოლები: 1:0 მაკენი (19), 1:1 სტოკი (55), 1:2 ბენეტი (67)

**რედინგი-მიდლსბრო 0:0**

**საუთჰემპტონი-უოტფორდი 4:0**

გოლები: 1:0 ლამბერტი (22-პენ), 2:0 ლამბერტი (55-პენ), 3:0 დო პრადო (70), 4:0 ჰოლმსი (88)

**ლესტერი-დერბი 4:0**

გოლები: 1:0 ნაჯენტი (21), 2:0 ვესელი (44), 3:0 შლუპი (88), 4:0 დაიერი (90)

**ნოტინგემი-ბირმინგემი 1:3**

გოლები: 1:0 მილერი (35), 1:1 ბარკი (75), 1:2 ვუდი (79), 1:3 ვუდი (88)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საუთჰემპტონი | 10 | 7 | 1 | 2 | 25-12 | 22 |
| 2. მიდლსბრო | 10 | 5 | 5 | 0 | 13-5 | 20 |
| 3. დერბი | 10 | 6 | 1 | 3 | 14-11 | 19 |
| 4. ვესტ ჰემი | 10 | 5 | 3 | 2 | 18-10 | 18 |
| 5. ბრაიტონი | 10 | 5 | 2 | 3 | 16-14 | 17 |
| 6. ჰალი | 10 | 5 | 2 | 3 | 9-9 | 17 |
| 7. ბლექპული | 10 | 4 | 4 | 2 | 16-9 | 16 |
| 8. ლესტერი | 10 | 4 | 4 | 2 | 13-9 | 16 |
| 9. კარდიფი | 10 | 4 | 4 | 2 | 13-10 | 16 |
| 10. იფსვიჩი | 10 | 5 | 1 | 4 | 15-17 | 16 |
| 11. ლიდსი | 9 | 4 | 2 | 3 | 17-15 | 14 |
| 12. კრ. პალასი | 10 | 4 | 2 | 4 | 14-12 | 14 |
| 13. პიტერბორო | 10 | 4 | 1 | 5 | 18-15 | 13 |
| 14. ბარნლი | 9 | 3 | 3 | 3 | 13-12 | 12 |
| 15. რედინგი | 10 | 3 | 3 | 4 | 11-11 | 12 |
| 16. ბარნსლი | 10 | 2 | 6 | 2 | 9-9 | 12 |
| 17. ბირმინგემი | 8 | 3 | 2 | 3 | 13-13 | 11 |
| 18. უოტფორდი | 10 | 2 | 4 | 4 | 9-16 | 10 |
| 19. პორტსმუთი | 10 | 2 | 3 | 5 | 10-13 | 9 |
| 20. დონკასტერი | 10 | 2 | 2 | 6 | 6-14 | 8 |
| 21. ნოტინგემი | 10 | 2 | 2 | 6 | 10-21 | 8 |
| 22. ქოვენთრი | 10 | 1 | 4 | 5 | 7-13 | 7 |
| 23. მილუოლი | 10 | 1 | 4 | 5 | 7-14 | 7 |
| 24. ბრისტოლი | 10 | 1 | 3 | 6 | 8-20 | 6 |

ბომბარდირები: 8 - ლამბერტი (საუთჰემპტონი), მაკკორმაკი (ლიდსი); 7 — ვუდი (ბირმინგემი)

### პირველი ლიგა. XI ტური

**ბრენტფორდი-ჰადერსფილდი 0:4, ჩესტერფილდი-კოლჩესტერი 0:1, ექსეტერი-ოლდჰემი 2:0, ჰარტლპული-შეფილდ უენსდი 0:1, ლეიტონი-პრესტონი 2:1, მილტონი-ნოტს ქაუნთი 3:0, როჩდეილი-უიკომბი 2:1, შეფილდ იუნაიტედი-ჩარლტონი 0:2, სტივენიჯი-სკანთორპი 1:2, ტრანმერი-ბურნმუთი 0:0, უოლსოლი-კერლისლი 1:1, იეოვილი-ბერი 1:3.**

### მეორე ლიგა. XI ტური

**ეკრინგტონი-ოლდერშოტი 3:2, უიმბლდონი-ჯილინგემი 3:1, ბერნეტი-ნორთემპტონი 1:2, ბრისტოლი-ჩელტენჰემი 1:3, ბარტონი-ბრედფორდი 2:2, ქროული-პლიმუთი 2:0, დაგენჰემი-ქრუ 2:1, ჰერეფორდი-ოქსფორდი 0:1, პორტ ვეილი-როტერჰემი 2:0, თორგუეი-მორქეიმბი 1:1.**

### კონფერენსი. XIII ტური

**ტელფორდი-ჰეიესი 1:1, ბრეინტრი-ფლიტვუდი 1:2, დარლინგტონი-ნიუპორტი 2:0, ფორესტ გრინი-მენსფილდი 1:1, გეიტსჰედი-ტემუორთი 1:1, გრიმსბი-ოლფრეტონი 5:2, კეტერინგი-კიდერმინსტერი 0:1, ლინკოლნი-ბათი 2:0, ლუტონი-ბეროუ 5:1, საუთპორტი-კემბრიჯი 1:0, სტოკპორტი-იორკი 1:2, ვრექსჰემი-ებსფლიტი 1:0.**

## უცხოური ფეხბურთი

იტალია. სერია A. VI ტური

# იუვეს ბედმა დამსახურებულად გაუღიმა

## ინტერის მორიგი სირცხვილი

ტურის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული შეხვედრა „ჯუზეპე მეაცას" სახელობის სტადიონზე გაიმართა, სადაც „ინტერმა" „ნაპოლი" მიიღო და სასტიკი მარცხი იწვნია. დიახ, **ვალტერ მაძარის** შეგირდებმა ყველა კომპონენტში დაჯაბნეს მილანური გრანდი და მეტოქეს სამი უპასუხო ბურთი მიართვეს. არ შეიძლება, არ აღვნიშნოთ, რომ მასპინძლები **ჯანლუკა როკის** მსაჯობით დარჩნენ უკმაყოფილონი, რომელმაც „ნერაძურის" კარში თერთმეტმეტრიანი დანიშნა, ამასთან, მოედნიდან ჯერ კიდევ პირველ ტაიმში **ობი** გააგდო. წითელი ბარათი **კლაუდიო რანიერისაც** ერგო, რომელიც შესვენებისას ეკამათა არბიტრს და შედეგად, ტრიბუნებზეც გადაინაცვლა. ერთი სიტყვით, „მეაცაზე" ემოციები გადმოდუღდა, მღვრიე წყალში კი თევზი ნეაპოლელებმა დაიჭირეს.

ანგარიში პირველი ტაიმის მინურულს გაიხსნა, როდესაც ობიმ საკუთარ საჯარიმოში მეტოქე შემტევზე იუხეშა და მატჩის არბიტრმა თერთმეტმეტრიანი უყოყმანოდ დანიშნა. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ აფრიკელმა თამაშის წესების ზღვარზე ითამაშა და როკის თავისუფლად შეეძლო ეპიზოდზე თვალი დაეხუჭა. მსაჯმა არათუ თვალი დახუჭა, მეორე ყვითელი აუფრიალა შუახაზელს და „ინტერი" კაცნაკლული დატოვა - **მარეკ ჰამშიკის** პენალტი **ჟულიო სეზარმა** მოიგერია, თუმცა დამატებაზე ყველას **უგო კამპანიარომ** დაასწრო და გახსნა კიდეც ანგარიში, 0:1.

მეორე ნახევარში თამაშის სურათი არსებითად არ შეცვლილა, მილანელებმა სცადეს მატჩის ბედის შეტრიალება, მაგრამ ამ საქმისგან არაფერი გამოვიდა. ნეაპოლელები დამაჯერებლად აკონტროლებდნენ ბურთს და ანგარიშიც სრულიად ლოგიკურად გააორეს - სიღრმიდან გაკეთებული გადაცემის შემდეგ, ბურთთან პირველი წესით **ნაგატომო** უნდა მისულიყო, მაგრამ ვერ ივარგა და **კრიატიან მაჯოს** კარში დარტყმის საშუალება მისცა, შედეგად: 0:2. აღსანიშნავია, რომ ამ ეპიზოდში ჟულიო სეზარიც შეცდა, რომელმაც უდროო დროს დატოვა კარი, წინ გავიდა და ბურთი თავზე გადააფრინდა. მესამე გოლი ნეაპოლელთა მრავალსვლიან კომბინაციას მოჰყვა, რომელიც მარეკ ჰამშიკის კიპერთან პირისპირ დარჩენით და უზადო დარტყმით დაგვირგვინდა, 0:3.

ნამატჩევს, მთავარი სასაუბრო თემა მსაჯობა იყო, რაზეც ვალტერ მაძარიმ უკმაყოფილება გამოთქვა: *„ჩემი აზრით, შესანიშნავი შეხვედრა ჩავატარეთ და სრულიად დამსახურებულად გავიმარჯვეთ. შესაძლოა, არბიტრმა დაუშვა რამდენიმე შეცდომა, მაგრამ არამგონია, რომ ამას შედეგ ზე გავლენა მოეხდინოს. ძალიან ცუდია, როდესაც ასეთი ფანტასტიკური თამაშის შემდეგ, ძირითადად მსაჯობაზე ლაპარაკობენ., ეს ფეხბურთია და უნდა შევეგუოთ, რომ ყველა სიტუაციაში ვერც არბიტრი მიიღებს სწორ გადაწყვეტილებას".*

კლაუდიო რანიერის თქმით, თამაში სწორედაც რომ ჯანლუკა როკიმ გააფუჭა: *„ერთმანეთის პირისპირ ორი ძალიან ძლიერი გუნდი წარსდგა და რომ არა როკის საშინელი მსაჯობა, შეხვედრა ძალიან საინტერესოდ წარიმართებოდა. ასე კი, ყველაფერი ჯერ კიდევ პირველ ტაიმში გადაწყდა, როდესაც არბიტრმა არაადეკვატური გადაწყვეტილებები მიიღო და მეტოქეს კოლოსალური უპირატესობა მისცა. საერთოდ, მსაჯობაზე საუბარი არ მიყვარს, მაგრამ ამჯერად თავის შეკავება ძალიან მიჭირს - ჩემს შეგირდებს არ დაუმსახურებიათ ისეთი მოპყრობა, როგორიც ჩვენ ყველამ ნათლად დავინახეთ".*

მატჩის მთავარი არბიტრი „ინტერის" პრეზიდენტმა, **მასიმო მორატიმაც** გააკრიტიკა: *„კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, ჯანლუკა როკის არ ყოფნის კვალიფიკაცია საიმისოდ, რომ ასეთი დონის შეხვედრები განსაჯოს. უკვე მერამდენედ ხდება, რომ მისი მცდარი გადაწყვეტილებების შედეგად ვზარალდებით და ქულებს ვკარგავთ. დიდი იმედი მაქვს, რომ როკის „ინტერის" მატჩებზე აღარ დანიშნავენ, მეტიც, იმედია, ამ ადამიანს აღარასოდეს ვიხილავ. სიმართლე გითხრათ, ასეთი იმედგაცრუებული კარგა ხანია არ ვყოფილვარ".*



„რომამ" მიჯრით მეორე შეხვედრა მოიგო და მკვეთრად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა. ამოისუნთქა **ლუის ენრიკემ**, რომელიც კრიტიკის ქარცეცხლში იყო გახვეული. როგორც მინიმუმ, ერთი კვირა ესპანელზე ძვირი არავის დასცდება, რადგან დედაქალაქელებმა კერკეტ „ატალანტას" უშანსოდ მოუგეს. როგორც იქნა, კარგი შთაბეჭდილება დატოვა **ბოიან კრკიჩმა**, რომელმაც გახსნა კიდეც ანგარიში როგორც კონკრეტულად ამ შეხვედრაში, ისე იტალიურ კარიერაში. ესპანელის გოლი საკმაოდ ეფექტური გამოვიდა, სიღრმიდან გაკეთებული გადაცემის შემდეგ, ბურთი შესანიშნავად დაიმორჩილა და მეორე შეხებით შეაგორა ბერგამოელთა კარის შორეულ კუთხეში. არანაკლებ ლამაზი იყო **ოსვალდოს** გოლიც, მანაც რთულ ვითარებაში მიიღო ბურთი, უზუსტესად დაარტყა და გულშემატკივრები აღფრთოვანებაში მოიყვანა. მეორე ტაიმის სტარტზე ბერგამოელებმა ერთი ბურთი გაქვითეს და თითქოს ინტრიგა დაუბრუნეს შეხვედრას, თუმცა ლუის ენრიკემ დროულად გააძლიერა მოედნის შუახაზი, გადამწყვეტ უპირატესობას დაეუფლა და სულ ბოლოს, **ფაბიო სიმპლისიოს** გოლით, დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. დიახ, ენრიკეს და მთლიანად „რომას" დამსახურებული სამი ქულა, რის შემდეგაც ესპანელი პრესკონფერენციაზე შესანიშნავ ხასიათზე გამოცხადდა:

*„მთელი შეხვედრის განმავლობაში ბურთს ჩვენ ვაკონტროლებდით და საკმაოდ ძლიერ მეტოქეს შანსი არ დავუტოვეთ. ძალიან კმაყოფილი ვარ შეგირდების თამაშით და დიდი იმედი მაქვს, რომ მომავალშიც ასე გავაგრძელებთ. სწორედ ეს არის ის, რისკენაც მივისწრაფვით და რაც სასურველ შედეგს მოგვცემს".*

ტურის ცენტრალური შეხვედრა ტურინის ახალ სტადიონზე გაიმართა, სადაც „იუვენტუსმა" „მილანი" მიიღო და მეტოქე ორი უპასუხო ბურთის წყალობით დაამარცხა. ორივე გოლი შეხვედრის მინურულს გავიდა და ორივე შემთხვევაში მასპინძლებს ცოტათი გაუმართლათ. აქვე აღვნიშნოთ, რომ დუბლი **კლაუდიო მარკიზიომ** შეასრულა: ჯერ მრავალსვლიანი კომბინაციის შემდეგ მოხვდა ბურთი და ისე შეგორდა **კრიატიან აბიატის** კარის ჩარჩოში, შემდეგ კი შორი მანძილიდან დაარტყა და მისდა ბედად, მილანელთა კიპერს ბურთი ფეხებშუა გაუძვრა. დიახ, აბიატიმ უხეში შეცდომა დაუშვა, რამაც გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ მეორე ტაიმი ტურინელებმა გაცილებით უკეთესად ჩაატარეს და იმსახურებდნენ იმ გოლებს, რომლებიც თითქოს იღბლის წყალობით გაიტანეს. რაც შეეხება „მილანს", **მასიმილიანო ალეგრის** გუნდს მეორე ტაიმში აშკარად დაეტყო დაღლა და სწორედ ამით გახლდათ განპირობებული ის, რომ ტურინელებმა გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვეს. ალეგრი გასაჭირშია, ტრავმირებული ფეხბურთელების გარეშე მის გუნდს აშკარად უჭირს სტაბილურად ქულების მოგროვება. დღეს ძნელია იმაზე საუბარი, ვინ როდის დაუბრუნდება მოედანს, ერთი კი ნამდვილად შეგვიძლია გითხრათ, „იუვესთან" პაექრობაში **ალესანდრო ნესტა** დაშავდა და ჯერჯერობით უცნობია, რამდენად სერიოზულია მისი ტრავმა.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

### მომდევნო ტური

**15 ოქტომბერი:** კატანია-ინტერი, მილანი-პალერმო, ნაპოლი-პარმა;

**16 ოქტომბერი:** ჩეზენა-ფიორენტინა, ატალანტა-უდინეზე, კალიარი-სიენა, კიევო-იუვენტუსი, ჯენოა-ლეჩე, ნოვარა-ბოლონია, ლაციო-რომა.

### რომა–ატალანტა 3:1

**რომა (4-3-3):** ლობონტი – როზი, ჰაინცე, ბურდისო, ანხელი – სიმპლისიო, დე როსი, პიანიჩი – ოსვალდო (84. ბორიელო), ტოტი (68. პიზარო), კრკიჩი (62. ბორინი).

**ატალანტა (4-4-1-1):** კონსილი – მაზიელო, მანფრედინი, კაპელი, ბელინი – შელოტო, ჩიგარინი (90. კაზერტა), პადოინი, ბრიგი (57. ბონავენტურა) – მორალესი (75. გაბიადინი) – დენისი.

**გოლები:** 1:0 კრკიჩი (20), 2:0 ოსვალდო (31), 2:1 დენისი (48), 3:1 სიმპლისიო (81).

**გაფრთხილება:** სიმპლისიო - კაპელი, ჩიგარინი, პადოინი.

**კუთხური:** 6-10; **ჯარიმა:** 15-17; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 15(6)-7(2); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 36 000

### ინტერი–ნაპოლი 0:3

**ინტერი (4-3-1-2):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, სამუელი, კივუ (42. ნაგატომო) - ძანეტი, კამბიასო, ობი - რიკი (60. სტანკოვიჩი) - პაცინი, ფორლანი (67. სარატე).

**ნაპოლი (3-4-2-1):** დე სანქტისი – კამპანიარო, კანავარო, არონიკა (86. ფერნანდესი) – ცუნიგა, ინლერი, გარგანო, მაჯო – ჰამშიკი, პანდევი (50. მასკარა) – ლავეცი (78. ჩავესი).

**გოლები:** 0:1 კამპანიარო (42), 0:2 მაჯო (56), 0:3 ჰამშიკი (74).

**გაფრთხილება:** ჟულიო სეზარი, კივუ, ძანეტი - ცუნიგა.

**გაძევება:** ობი (40), რანიერი (45).

**კუთხური:** 2-6; **ჯარიმა:** 20-17; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 7(2)-11(4); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 65 000

### ნოვარა–კატანია 3:3

**ნოვარა (4-3-1-2):** უიკანი – დელაფიორე, პაჩი, ლუდი, ჯემიტი – მარიარანი (34. პინარდი), პორკარი, რიგონი – ჯორჯი – გრანოჩე (58. მორიმოტო), მეჯორინი (74. ჯედა).

**კატანია (4-3-3):** ანდუხარი – მარკეზე, ბელუში, ლეგროტალიე, კაპუანო – ალმირონი, ლოდი, დელ ვეკიო – გომესი, ბერგესიო (54. სუაზო - 63. კატელანი), ლანცაფამე.

**გოლები:** 0:1 ლეგროტალიე (14), 1:1 რიგონი (49-პენ.), 1:2 ლოდი (56), 2:2 მორიმოტო (65), 3:2 ჯედა (85), 3:3 გომესი (90).

**გაფრთხილება:** დელაფიორე, პაჩი, პორკარი, მეჯორინი, მორიმოტო - ლანცაფამე.

**კუთხური:** 8-4; **ჯარიმა:** 12-14; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 12(7)-15(7); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 10 000

### ჩეზენა–კიევო 0:0

**ჩეზენა (4-4-1-1):** რავალია – კომოტო (10. ჩეკარელი), ფონ ბერგენი, ლაურო, როდრიგესი – კოლუჩი, გუანა, კანდრევა, ედერი - გეზალი (46. ბოგდანი) - მუტუ (87. მარტინესი).

**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო – სარდო, ცეზარი, მორერო, იოკიჩი – ბრედლი, რიგონი, ჰეტემაი – კრუსადო (58. სამარკო) – პელისიერი, მოსკარდელი (58. პალოსკი).

**გაფრთხილება:** ლაურო, გუანა, ედერი, ჩეკარელი, ბოგდანი - სარდო, ცეზარი, ჰეტემაი.

**კუთხური:** 3-2; **ჯარიმა:** 15-14; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 10(4)-6(1); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 15 000

### ფიორენტინა–ლაციო 1:2

**ფიორენტინა (4-3-3):** ბორუცი – დე სილვესტრი, გამბერინი, ნატალი, პასკუალი – ბეჰრამი, მონტოლივო, ლაძარი (81. ხარჯა) – ჩერჩი, ვარგასი (55. სილვა), იოვეტიჩი.

**ლაციო (4-3-1-2):** მარკეტი – კონკო, სტანკევიჩუსი, დიასი, რადუ (65. სკული) – გონსალესი, ბროკი, ლედესმა - ერნანესი - სისე (76. მათუზალემი), კლოზე.

**გოლები:** 1:0 ჩერჩი (8), 1:1 ერნანესი (28), 1:2 კლოზე (83).

**გაფრთხილება:** ნატალი, ბეჰრამი, ლაძარი - დიასი.

**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 17-15; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 9(6)-13(7); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 24 000

### ლეჩე–კალიარი 0:2

**ლეჩე (4-3-3):** ჟულიო სერჟიო – ოდო, ტომოვიჩი, ფერარიო, ბრივიო (46. პასკუატო) – კუადრადო, ობოდო, ჯაკომაცი (61. ბერტოლაჩი) – მესბა, პიატი (61. კორვია), დი მიკელე.

**კალიარი (4-3-3):** აგაცი – პიზანო, კანინი, ასტორი, აგოსტინი – ბიონდინი, კონტი, ნაინგოლანი – რიბეირო (70. იბარბო), კოსუ, ლარივეი (79. ნენე).

**გოლები:** 0:1 რივეირო (10), 0:2 ბიონდინი (40).

**გაფრთხილება:** ოდო, ტომოვიჩი, ფერარიო, ბრივიო, მესბა - პიზანო, კონტი.

**კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 15-15; **თამაშგარე:** 5-3; **კარში დარტყმა:** 10(4)-8(3); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 15 000

### პალერმო–სიენა 2:0

**პალერმო (4-4-2):** ცორვასი - პიზანო, სილვესტრი, მილიაჩო, ბალცარეტი - ბერტოლო (56. მანტოვანი), ბარეტო, დელა როკა, ილიჩიჩი (72. აკუა) - ერნანდესი, მიკოლი (46. ზაჰავი).

**სიენა (4-4-2):** ბრკიჩი – ვიტიელო, როსეტინი, ტერცი, როსი – ბრიენცა, გაცი, ვერგასოლა (66. დაგოსტინო), მანინი (53. გონსალესი) – კალაიო (46. რეჯინალდო), დესტრო.

**გოლები:** 1:0 მილიაჩო (19), 2:0 ერნანდესი (90-პენ.).

**გაფრთხილება:** ცორვასი, ერნანდესი, მიკოლი - როსეტინი, ტერცი, როსი.

**გაძევება:** ბალცარეტი (55) - ვიტიელო (90).

**კუთხური:** 9-1; **ჯარიმა:** 17-18; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 10(5)-6(1); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 24 000

### პარმა–ჯენოა 3:1

**პარმა (4-4-1-1):** მირანტე – ძაკარდო, პალეტა, ლუკარელი, გობი – ბიაბიანი (69. ვალდესი), მორონე (79. ბლაზი), ჟადიდი, მოდესტო – ჯოვინკო (75. გალოპა) – ფლოკარი.

**ჯენოა (4-4-2):** ფრეი – ბოვო, როსი, **კალაძე**, მორეტი (39. ანტონელი) – ხორკერა, კუჩკა, ველოზო, კონსტანტი – პალასიო, კარაჩოლო (71. იანკოვიჩი).

**გოლები:** 1:0 ჯოვინკო (29), 2:0 ჯოვინკო (42-პენ.), 3:0 მორონე (50), 3:1 პალასიო (90—პენ.).

**გაფრთხილება:** პალეტა - როსი.

**კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 14-13; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 15(9)-13(9); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 16 000

### უდინეზე–ბოლონია 2:0

**უდინეზე (3-5-2):** ჰანდანოვიჩი – ბენეტია, დანილო, ფერონეტი – ბასტა, პინცი, ისლა (90. ბადუ), ასამოა, არმერო – ტორჯე (68. აბდი), დი ნატალე.

**ბოლონია (4-3-2-1):** ალიარდი – კაზარინი, პორტანოვა, ანტონსონი (12. ლორია), რაჯი – პერესი, მუდინგაი, ხიმენესი – კონე (64. პულცეტი), დიამანტი – დი ვაიო (54. აკვაფრესკა).

**გოლები:** 1:0 ბენეტია (29), 2:0 დი ნატალე (72-პენ.).

**გაფრთხილება:** დანილო - პერესი, მუდინგაი, ლორია.

**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 14-14; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 17(8)-7(3); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 16 000

### იუვენტუსი–მილანი 2:0

**იუვენტუსი (4-2-3-1):** ბუფონი – ლიხტშტაინერი, ბარცალი, ბონუჩი, კიელინი – პირლო, ვიდალი (94. პაციენცა) – მარკიზიო, კრასიჩი (54. ჯაკერინი), პეპე – ვუჩინიჩი (88. მატრი).

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი – ბონერა, ნესტა (71. ანტონინი), ტიაგო სილვა, ძამბროტა – ნოჩერინო (83. ამბროზინი), ვან ბომელი, ზეედორფი – ბოატენგი – კასანო (62. ემანუელსონი), იბრაჰიმოვიჩი.

**გოლები:** 1:0 მარკიზიო (87), 2:0 მარკიზიო (93).

**გაფრთხილება:** პირლო - ნესტა.

**გაძევება:** ბოატენგი (90).

**კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 14-12; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 8(5)-2(1); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 41 000

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 5 | 3 | 2 | 0 | 9-3 | 11 |
| 2. უდინეზე | 5 | 3 | 2 | 0 | 7-1 | 11 |
| 3. პალერმო | 5 | 3 | 1 | 1 | 9-6 | 10 |
| 4. ნაპოლი | 5 | 3 | 1 | 1 | 9-3 | 10 |
| 5. კალიარი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-5 | 10 |
| 6. რომა | 5 | 2 | 2 | 1 | 6-4 | 8 |
| 7. ლაციო | 5 | 2 | 2 | 1 | 7-6 | 8 |
| 8. კიევო | 5 | 2 | 2 | 1 | 6-5 | 8 |
| 9. ფიორენტინა | 5 | 2 | 1 | 2 | 6-4 | 7 |
| 10. ჯენოა | 5 | 2 | 1 | 2 | 9-8 | 7 |
| 11. კატანია | 5 | 1 | 3 | 1 | 5-7 | 6 |
| 12. პარმა | 5 | 2 | 0 | 3 | 6-10 | 6 |
| 13. ნოვარა | 5 | 1 | 2 | 2 | 10-10 | 5 |
| 14. სიენა | 5 | 1 | 2 | 2 | 4-4 | 5 |
| 15. მილანი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-8 | 5 |
| 16. ატალანტა | 5 | 3 | 1 | 1 | 8-7 | 4 |
| 17. ინტერი | 5 | 1 | 1 | 3 | 7-11 | 4 |
| 18. ლეჩე | 5 | 1 | 0 | 4 | 3-9 | 3 |
| 19. ჩეზენა | 5 | 0 | 1 | 4 | 2-7 | 1 |
| 20. ბოლონია | 5 | 0 | 1 | 4 | 2-10 | 1 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

**ბომბარდირები:** 5 - პალასიო (ჯენოა), ჯოვინკო (პარმა); 4 – დენისი (ატალანტა), დი ნატალე (უდინეზე); 3 - მიკოლი (პალერმო), მილიტო (ინტერი), ოსვალდო (რომა), რიგონი (ნოვარა), ჩერჩი (ფიორენტინა), კლოზე (ლაციო), კავანი (ნაპოლი).

### სერია B. VII ტური

**კროტონე-ვიჩენცა 2:2**

**გოლები:** 1:0 პეტინარი (6), 1:1 პანო (29), 1:2 მიზურაკა (76), 2:2 სანსონე (81).

**სამპდორია-ტორინო 1:2**

**გოლები:** 1:0 კოსტა (21), 1:1 სუჩიუ (42), 1:2 ბიანკი (77).

**ვარეზე-სასუოლო 0:1**

**გოლი:** 0:1 სანსონე (67).

**ბარი-ლივორნო 1:0**

**გოლი:** 1:0 ბორგეზე (8).

**ჩიტადელა-ნოჩერინა 1:3**

**გოლები:** 0:1 კატანია (3), 1:1 ბელაცინი (38-პენ.), 1:2 მაიო (45), 1:3 კასტალდო (90-პენ.).

**ემპოლი-პადოვა 2:4**

**გოლები:** 1:0 ტავანო (10), 1:1 პორტინი (13), 1:2 კაჩა (24), 1:3 მილანეტო (69), 1:4 კუტოლო (73), 2:4 ფიკანია (83).

**გროსეტო-ასკოლი 3:3**

**გოლები:** 0:1 ვაიგო (21-პენ.), 1:1 ლუპოლი (31), 2:1 კარიდი (41-პენ.), 2:2 ვიტიელო (43), 3:2 ლუპოლი (57), 3:3 ჯოვანინი (90).

**გუბიო-ვერონა 1:1**

**გოლები:** 0:1 ბელანოვიჩი (23), 1:1 კოფანი (52-პენ.).

**მოდენა-ბრეშა 1:1**

**გოლები:** 1:0 გრეკო (28), 1:1 ფეშეზინი (30).

**პესკარა-ალბინოლეფე 5:3**

**გოლები:** 1:0 ბერგამელი (8), 2:0 სანსოვინი (28), 3:0 ინსინე (43), 4:0 ჯესა (45), 5:0 იმობილე (53), 5:1 კრისტიანო (69), 5:2 კოკო (83-პენ.), 5:3 ჯირასოლე (88).

**რეჯინა-იუვე სტაბია 1:2**

**გოლები:** 1:0 მისიროლი (48), 1:1 საუ (71), 1:2 რაიმონდი (88).

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პადოვა | 7 | 5 | 2 | 0 | 16-7 | 17 |
| 2 ტორინო | 7 | 5 | 2 | 0 | 10-4 | 17 |
| 3. ბრეშია | 7 | 4 | 3 | 0 | 9-3 | 15 |
| 4. სასუოლო | 7 | 5 | 0 | 2 | 9-4 | 15 |
| 5. გროსეტო | 7 | 3 | 4 | 0 | 12-7 | 13 |
| 6. სამპდორია | 7 | 3 | 3 | 1 | 15-6 | 12 |
| 7. პესკარა | 7 | 4 | 0 | 3 | 18-16 | 12 |
| 8. ლივორნო | 7 | 3 | 2 | 2 | 8-5 | 11 |
| 9. ვერონა | 7 | 3 | 2 | 2 | 10-9 | 11 |
| 10. ბარი | 7 | 3 | 2 | 2 | 7-6 | 11 |
| 11. რეჯინა | 7 | 3 | 1 | 3 | 15-11 | 10 |
| 12. ნოჩერინა | 7 | 2 | 2 | 3 | 9-9 | 8 |
| 13. ალბინოლეფე | 7 | 2 | 1 | 4 | 13-17 | 7 |
| 14. ჩიტადელა | 7 | 2 | 1 | 4 | 9-15 | 7 |
| 15. იუვე სტაბია | 7 | 2 | 1 | 4 | 7-11 | 6 |
| 16. ვარეზე | 7 | 1 | 3 | 3 | 2-6 | 6 |
| 17. ემპოლი | 7 | 2 | 0 | 5 | 12-17 | 6 |
| 18. კროტონე | 7 | 1 | 3 | 3 | 5-9 | 5 |
| 19. მოდენა | 7 | 1 | 2 | 4 | 7-13 | 5 |
| 20. ვიჩენცა | 7 | 0 | 3 | 4 | 6-12 | 3 |
| 21. გუბიო | 7 | 0 | 3 | 4 | 5-16 | 3 |
| 22. ასკოლი | 7 | 2 | 2 | 3 | 10-11 | 1 |

შენიშვნა: ასკოლი - 7 ქულა, კროტონე - 1 ქულა, იუვე სტაბია - 1 ქულა.

**ბომბარდირები:** 7 - ტავანო (ემპოლი); 6 - ბერტანი (სამპდორია), კოკო (ალბინოლეფე), იმობილე (პესკარა); 5 - დიონისი (ლივორნო), მისიროლი (რეჯინა).

### ლეგა პრო 1/A

აველინო-სორენტო 0:1, ბენევენტო-პრო ვერჩელი 1:1, მონცა-პავია 2:2, პიზა-ტრიტიუმი 0:2, რეჯანა-ფოლინო 2:1, სპალ-ლუმეცანე 0:2, ტარანტო-ვიარეჯო 2:0, ტერნანა-კარპი 2:1, კომო-ფოჯა დღეს.

### ლეგა პრო 1/B

ბარლეტა-ლატინა 1:1, კრემონეზე-სპეცია 3:2, ფერალპიზალო-სირაკუზა 1:2, ფროზინონე-ლანჩანო 2:1, პორტოგრუარო-პიაჩენცა 2:2, პრატო-პერგოკრემა 2:0, სუდტიროლი-ბასანო 0:0, ტრაპანი-ანდრია 1:1, ტრიესტინა-კარარეზე 2:3.

### ჰოლანდია

ერედივიზიონი. VIII ტური

**ჰერაკლესი–დე გრააფსხაპი 2:0**

**გოლები:** 1:0 პიეტი (12), 2:0 პედრო (90).

**უტრეხტი–ვაალვიკი 3:0**

**გოლები:** 1:0 სნეიდერი (16), 2:0 მარტენსონი (63), 3:0 მულენგა (80-პენ.).

**ვიტესი–ჰეერენვეენი 1:1**

**გოლები:** 1:0 ვილფრედი (88), 1:1 გუველუ (90).

**როდა–ბრედა 4:3**

**გოლები:** 1:0 მალკი (11), 2:0 დელორჯი (27), 2:1 ბაირამი (31), 3:1 მალკი (36), 3:2 გუდე (54), 4:2 ვორნერი (63), 4:3 ხალკი (80).

**ვენლო–ალკმაარი 1:3**

**გოლები:** 0:1 ელმი (32), 0:2 მაჰერი (61), 0:3 პოულსენი (73), 1:3 კულენი (90).

**გრონინგენი–აიაქსი 1:0**

**გოლი:** 1:0 ბასუნა (62-პენ.).

**ტვენტე–ექსელსიორი 2:2**

**გოლები:** 1:0 ჯონი (34), 1:1 მაატსენი (85), 1:2 მაატსენი (86), 2:2 იონგი (90).

**ფეიენოორდი–დენ ჰააგი 0:3**

**გოლები:** 0:1 ვერჰოეკი (14), 0:2 ვერჰოეკი (45), 0:3 ჩერი (54).

**ნიიმეგენი–პსვ 0:2**

**გოლები:** 0:1 ლაბიადი (85), 0:2 მატავცი (87).

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ალკმაარი | 8 | 7 | 0 | 1 | 21:6 | 21 |
| 2. პსვ | 8 | 5 | 2 | 1 | 26:10 | 17 |
| 3. ტვენტე | 8 | 5 | 2 | 1 | 21:9 | 17 |
| 4. აიაქსი | 8 | 4 | 3 | 1 | 21:11 | 15 |
| 5. ფეიენოორდი | 8 | 4 | 2 | 2 | 16:9 | 14 |
| 6. ვიტესი | 8 | 4 | 2 | 2 | 15:10 | 14 |
| 7. ვაალვიკი | 8 | 4 | 1 | 3 | 10:9 | 13 |
| 8. გრონინგენი | 8 | 4 | 1 | 3 | 13:14 | 13 |
| 9. უტრეხტი | 8 | 3 | 3 | 2 | 14:10 | 12 |
| 10. ჰერაკლესი | 8 | 2 | 4 | 2 | 13:12 | 10 |
| 11. დენ ჰააგი | 8 | 3 | 1 | 4 | 12:13 | 10 |
| 12. ჰეერენვეენი | 8 | 2 | 4 | 2 | 14:16 | 10 |
| 13. როდა | 8 | 3 | 0 | 5 | 10:25 | 9 |
| 14. ბრედა | 8 | 2 | 1 | 5 | 11:15 | 7 |
| 15. ნიიმეგენი | 8 | 2 | 1 | 5 | 7:14 | 7 |
| 16. დე გრააფსხაპი | 8 | 1 | 2 | 5 | 7:19 | 5 |
| 17. ვენლო | 8 | 0 | 3 | 5 | 7:21 | 3 |
| 18. ექსელსიორი | 8 | 0 | 2 | 6 | 6:20 | 2 |

**ბომბარდირები:** 11 – მერტენსი (ეინდჰოვენი); 7 - იანკო (ტვენტე), დე იონგი (ტვენტე).

ესპანეთი. ლა ლიგა. VI ტური

# ბარსელონა და... ლევანტე
## შავები სტუმრობენ და იგებენ

ის, რომ 6 ტურის შემდეგ ლა ლიგის ლიდერი „ბარსელონა“ იქნებოდა, ადვილი გამოსაცნობი იყო, მაგრამ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მას გვერდს „ლევანტე“ დაუმშვენებდა - 14-14 ქულით ლა ლიგას სწორედ კატალონიური და ვალენსიური კლუბები ლიდერობენ. წუხელ ჩემპიონმა ხიხონში „სპორტინგს“ **ადრიანო კორეიას** გოლის წყალობით მოუგო - 1:0. არ უთამაშია **სესკ ფაბრეგასს**, რომელმაც შაბათს ფეხი იტკინა და 3 კვირა ვერ გამოვა მოედანზე.

ბარსელონაში, „ესპანიოლის“ წინააღმდეგ ჰეთ თრიკი **გონსალო იგუაინმა** შეასრულა, ერთი გოლიც ყოფილ გუნდს **ხოსე კალეხონმა** გაუტანა და „რეალმა“ მორიგი დიდი ანგარიშით მოგება ჩაიწერა - 4:0. აღსანიშნავია, რომ ორივე გრანდმა შავი ფორმებით ითამაშა ამ ტურში.

„ყვითელი წყალქვეშა ნავის“ არეული ნაოსნობა გრძელდება - „ვილიარეალმა“ „ელ მადრიგალზე“ „სარაგოსას“ დამარცხება ვერ შეძლო, სტადიონზე კი პირველად მოუწყეს ობსტრუქცია ვალენსიელთა თავკაც **ხუან კარლოს გარიდოს**. „ვილიარეალმა“ ქულაც ძლივს მოიპოვა, ფინალამდე 6 წუთით ადრე **ერნან პერესმა** თავურით მარცხისგან იხსნა „ელ სუბმარინო“ - 2:2. ალბათ იკითხავთ, ვინ არის ერნან პერესი და მართლებიც იქნებით - პარაგვაელი მარჯვენა ნახევარმცველი კარიერაში პირველად თამაშობდა ლა ლიგაში, გოლამდე მოედანზე სულ რაღაც 20 წუთის გამოსული იყო.

„სარაგოსა“ პირველ ტაიმში **ლუის გარსიამ** დააწინაურა, მას შემდეგ, რაც კედელი **ფერნანდო მეირასთან** გაითამაშა. 7 წუთში **ჯუზეპე როსიმ** პენალტით გაათანაბრა, რომელიც არაფრით არ უნდა დანიშნულიყო - ფერნანდო მეირას ბურთი ხელში ნაღდად არ მოხვედრია. როსიმ ნიშნულიდან ის გააკეთა, რაშიც უფრო მისი ბრაზილიელი მეწყვილე (რომელიც ამ თამაშში არ იყო) **ნილმარია** შემჩნეული, განზრახ დაყოვნდა და, როგორც ბრაზილიაში ეძახიან, პარადინია პენალტი შეასრულა. მსაჯმა როსის თავიდან დაარტყმევინა, თუმცა იტალიელს მტკიცე ნერვები აღმოაჩნდა - 1:1. ტაიმი მაინც „სარაგოსამ“ მოიგო - მეირას გრძელი პასით **პაბლო ბარერამ** იხეირა. მეორე ტაიმი „ვილიარეალის“ კარნახით მიდიოდა, თუმცა კარგად თამაშობდა მეკარე **რობერტო**. ბოლოს კი ყველაფერი **კანის** კუთხურით დასრულდა... საჯარიმოში პარაგვაელის აყვანა ყველას გადაავიწყდა. თამაშის მერე „ელ მადრიგალი“ სტვენით აცილებდა კაცს, რომელიც შარშან ცაში აჰყავდა - გარიდომ ხომ მე-4 ადგილი, ლიგის საგზური და ევროპალიგის ნახევარფინალი აჩუქა პატარა ვალენსიურ ქალაქს.

**ექტორ კუპერი** ლა ლიგაში საქართველოსა და საბერძნეთში მოგზაურობის შემდეგ მიბრუნდა, თუმცა უკვე 6 ტურია გასული და არგენტინელ სპეციალისტს ვერ მოუგია. კანტაბრიელებს თამაშით სჯობდა „რაიო ვალეკანო“ და ნამდვილად საოცარი იყო, რომ სტუმართა გუნდი მხოლოდ 1:0-ს იგებდა **რაულ ტამუდოს** გოლის წყალობით. მაგრამ შეცვლაზე შესულმა **ადრიან გონსალესმა** სულაც ქულა გადაურჩინა კუპერის გუნდს - გონსალესის თავურამდე გოლი **სერანომ** და **მუნიტისმა** „მოამწიფეს“.

პამპლონაში ორი დუბლი ვიხილეთ, ერთის ავტორი „მალიორკას“ ებრაელი ლეგიონერი **ტომერ ჰემედია**, მეორის - „ოსასუნას“ ნახევარმცველი **რაულ გარსია**. ამ შეხვედრაში „მალიორკა“ **მიგელ ანხელ ნადალმა** გაიყვანა, **მიქაელ ლაუდრუპის** გადადგომის შემდეგ დროებით დანიშნულმა თავკაცმა.

„ვალენსიამ“ მატჩის დასაწყისშივე გაუტანა „გრანადას“ - ეს **სერხიო კანალესმა** მოახერხა, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების გამწვრთნელმა მე-3 წუთზე პასი **პაბლო პიატისგან** მიიღო და ცაციით საჯარიმოს მისადგომიდან შეაგდო. მაგრამ, მოულოდნელად, ამის მეტი გოლი „მესტალიაზე“ აღარ გასულა. რომ არა აუტსაიდერთა მეკარე **რობერტო**, სულ სხვანაირად განვითარდებოდა მოვლენები.

დღის ყველაზე საინტერესო მატჩი ყველაზე ბოლოს გაიმართა - „ლა როსალედაზე“ „მალაგამ“ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ წლეულს სერიოზული მიზნები აქვს დასახული, „ხეტაფეს“ საოცრად დრამატული მატჩი მოუგო - 3:2. არადა, ანდალუსიელები თამაშის დასრულებამდე სულ რაღაც 2 წუთით ადრე აგებდნენ. მაგრამ **ენცო მარესკამ** და **ჟულიო ბაპტიშტამ პელეგრინის** გუნდს მოაგებინა, ბრაზილიელმა გოლი შესანიშნავ აკრობატულ ნახტომში გაიტანა.

გუშინ ტური ბასკური დერბით გაიხსნა, „ანოეტაზე“ ძალიან დაძაბული, მაგრამ ამავე დროს საკმაოდ კორექტული მატჩი გაიმართა, რომელშიც, როგორც იქნა, იფეთქა მსოფლიოს ჩემპიონმა **ფერნანდო ლორენტემ**, ვისი დუბლიც გადამწყვეტი აღმოჩნდა და **მარსელო ბიელსამ** „ბილბაოში“ პირველი გამარჯვება მოიპოვა. ეს ბიელსას პირველი საკლუბო გამარჯვებაა 1998 წლის შემდეგ. ბილბაოელებს 3 ქულა ძვირი დაუჯდათ - ტრავმა მიიღო მათმა ლიდერმა **ხავი მარტინესმა**, რომელიც ამჯერად ცენტრალურ მცველად თამაშობდა.

ლიდერმა „ბეტისმა“ პირველი ადგილი შინ „ლევანტესთან“ მატჩში დაკარგა, 33-ე წუთზე სტუმარმა **ხუანლუმ** საკმაოდ მახვილი კუთხიდან დაასრულა სევილიელთა პირველობა, ალბათ - საბოლოოდ. „ვისენტე კალდერონზე“ უხვგაფრთხილებიანი მატჩი გამოდგა, მაგრამ „ატლეტიკომ“ და „სევილიამ“ ერთმანეთს“ გოლი ვერ გაუტანეს.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**






### მომდევნო ტური

15 სექტემბერი: მალიორკა-ვალენსია, ხეტაფე-ვილიარეალი, რეალი-ბეტისი, ბარსელონა-რასინგი, გრანადა-ატლეტიკო.

16 სექტემბერი: რაიო ვალეკანო-ესპანიოლი, სარაგოსა-რეალ სოსიედადი, ლევანტე-მალაგა, სევილია-სპორტინგი.

17 სექტემბერი: ბილბაო-ოსასუნა.

### ოსასუნა-მალიორკა 2:2

**ოსასუნა (4-2-3-1):** ა. ფერნანდესი - ბერტრანი, რუბენი, ფლანიო (46. ლოლო), რაიტალა (39. ნეკუნამი) - პუნიალი, რ. გარსია - სეხუდო, ნინო, ლამა - კიკე სოლა (81. ლეკიჩი).

**მალიორკა (4-4-2):** ავატე - ზუიველროონი, ჩიკო, რამისი, ბიგასი - ნსუე, მარტი, პინა (84. ჟოაო ვიქტორი), კასტრო (74. პერეირა) - ვიქტორი (69. ალფარო), ჰემედი.

**გოლები:** 0:1 ჰემედი (34), 1:1 რ. გარსია (45), 2:1 რ. გარსია (58), 2:2 ჰემედი (79-პენ)

**გაფრთხილება:** ფლანიო, ლამა - ავატე, რამისი, პინა, ნსუე, ჰემედი

**გაძევება:** ნსუე (73)

**კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 9-16; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 10-14 (6-6); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 15 000

### რასინგი-რაიო ვალეკანო 1:1

**რასინგი (4-4-1-1):** ტონიო - ფრანსისი, ალვარო, ბერნარდო, კრისტიანი - სამპერიო (73. არანა), პაპე დიოპი, ციოლისი (46. ა. გონსალესი), სერანო - მუნიტისი- ნაუელპანი (63. სტუანი).

**რაიო ვალეკანო (4-2-3-1):** დანი - ტიტო, არიბასი (46. რაფა გარსია), ხორდი, კასადო - ფუეგო, მოვილია - ლ. ბანგურა (56. პიტი), მიჩუ, ბოტელიო - ტამუდო (72. მიჩელი).

**გოლები:** 0:1 ტამუდო (20), 1:1 ა. გონსალესი (59)

**გაფრთხილება:** ალვარო - რაფა გარსია, კასადო, ტიტო, ბოტელიო

**კუთხური:** 2-4; **ჯარიმა:** 11-17; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 7-9 (4-5); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 11 000

### ვილიარეალი-სარაგოსა 2:2

**ვილიარეალი (4-4-2):** დ. ლოპესი - მარიო, საპატა (63. პერესი), მუსაჩიო, კატალა (80. სენა) - ბ. ვალერო, ბრუნო, დე გუზმანი (76. ბორდასი), კანი - კამუნიასი, როსი.

**სარაგოსა (4-2-3-1):** რობერტო - ხუარესი, ლანსარო, დ. სილვა, პარედესი - პონსიო, მეირა - ბარერა (72. სუკულინი), ლ. გარსია (65. ხუან კარლოსი), ლაფიტა (57. რუბენ მიკაელი) - პოშტიგა.

**გოლები:** 0:1 ლ. გარსია (34), 1:1 როსი (41-პენ), 1:2 ბარერა (45), 2:2 პერესი (81)

**გაფრთხილება:** როსი - ლანსარო, პარედესი, ხუარესი

**გაძევება:** ლანსარო (80)

**კუთხური:** 13-4; **ჯარიმა:** 3-22; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 25-16 (12-9); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 19 500

### ვალენსია-გრანადა 1:0

**ვალენსია (4-2-3-1):** გუაიტა - მიგელი, რამი, რუისი, მატიო - მადურო (74. ალბელდა), ბანეგა - პ. ერნანდესი (53. ჟონასი), კანალესი, პიატი (63. ფეგული) - სოლდადო.

**გრანადა (4-3-3):** რობერტო - ნიომი, ი. ლოპესი, მაინსი, სიკერა (84. ხაიმე) - იებდა (76. უჩე), ფ. რიკო, მ. რიკო - მოლიო (76. მარტინში), გეიხო, დ. ბენიტესი.

**გოლი:** 1:0 კანალესი (3)

**გაფრთხილება:** მატიო, ჟონასი

**კუთხური:** 10-4; **ჯარიმა:** 13-1; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 23-13 (11-5); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 48 000

### მალაგა-ხეტაფე 3:2

**მალაგა (4-2-3-1):** კაბალიერო - გამესი, დემიკელისი, მატეისენი, ელიზეუ - ტულალანი, დუდა (57. ისკო) - ხოაკინი (66. მარესკა), ბაპტიშტა, კასორლა - ვან ნისტელროოი (73. რონდონი).

**ხეტაფე (4-2-3-1):** კოდინა - ვალერა, კატა დიასი, ლოპო, მანე - რ. პერესი, ლასენი - პედრო ლეონი (83. პ. რიოსი), აბდელი (77. ხ. როდრიგესი), დ. კასტრო - გუისა (69. მიკუ).

**გოლები:** 0:1 პედრო ლეონი (55), 1:1 ვან ნისტელროოი (64), 1:2 მიკუ (75), 2:2 მარესკა (88), 3:2 ბაპტიშტა (93)

**გაფრთხილება:** ელიზეუ, ბაპტიშტა - ლოპო, ლასენი, პედრო ლეონი, რიოსი, გუისა, აბდელი, როდრიგესი

**გაძევება:** ლასენი (75)

**კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 10-22; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 19-6 (8-2); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 25 000

### რეალ სოსიედადი-ბილბაო 1:2

**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - კ. მარტინესი, დემიდოვი, ი. მარტინესი, დე ლა ბელა - მარიგა, ილარამენდი - ჩაბი პრიეტო, ზურუტუზა (78. სარპონგი), გრიზმანი (82. ხ. ლორენტე) - აგირეჩე.

**ბილბაო (4-2-3-1):** ირაისოსი - ირაოლა, ხ. მარტინესი (61. სან ხოსე), ამორებიეტა, აურტენეჩე - გურპეგი, დე მარკოსი - სუსაეტა (86. ტოკერო), მუნიაინი, გაბილონდო (59. იტურასპე) - ფ. ლორენტე.

**გოლები:** 0:1 ფ. ლორენტე (33), 1:1 ი. მარტინესი (60), 1:2 ფ. ლორენტე (69)

**გაფრთხილება:** ილარამენდი - ამორებიეტა, ირაოლა, გურპეგი, სუსაეტა

**კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 15-16; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 15-16 (4-7); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 30 500

### ბეტისი-ლევანტე 0:1

**ბეტისი (4-4-2):** კასტრო - ჩიკა, მარიო (5. ამაია), დორადო, ნაჩო - ხუანმა, ირინეი, ბენატი, მონტერო (46. პოსუელო) - პერეირა (59. სევილია), სანტა კრუსი.

**ლევანტე (4-2-3-1):** მუნუა - ვენტა, ბალესტეროსი, ნანო, დელ ორნო - ხ. ტორესი, იბორა - ვალდო (84. პ. ლოპესი), ბარკერო (62. ფარინოსი), ხუანლუ (72. რ. სუარესი) - კონე.

**გოლი:** 0:1 ხუანლუ (33)

**გაფრთხილება:** ირინეი, პერეირა - ნანო, ვენტა, ხუანლუ, ბარკერო

**კუთხური:** 11-1; **ჯარიმა:** 13-11; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 20-8 (4-3); **ბურთის ფლობა:** 70%-30%.

**მაყურებელი:** 45 000

### ატლეტიკო-სევილია 0:0

**ატლეტიკო (4-2-3-1):** კურტუა - სილვიო, გოდინი, დომინგესი, ფილიპე ლუიში - მ. სუარესი, ტიაგო (67. გაბი) - რეიესი (75. სალვიო), დიეგო, არდა - ფალკაო.

**სევილია (4-2-3-1):** ვარასი - კოკე, კასერესი, სპაჰიჩი, ფ. ნავარო - მედელი, რაკიტიჩი (77. კამპანია) - ხესუს ნავასი, დელ მორალი (82. არმენტეროსი), პეროტი - კანუტე (75. ნეგრედო).

**გაფრთხილება:** დომინგესი, გოდინი, სილვიო, სუარესი, არდა, დიეგო - სპაჰიჩი, კასერესი, კოკე, მედელი, კანუტე, დელ მორალი

**კუთხური:** 7-5; **ჯარიმა:** 19-17; **თამაშგარე:** 5-3; **კარში დარტყმა:** 15-8 (4-5); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 54 000

### სპორტინგი-ბარსელონა 0:1

**სპორტინგი (4-2-3-1):** ხ. პაბლო - ლორა, ბოტია, ი. ერნანდესი, კანელია - რივერა, ნაჩო კასესი (78. ბილიჩი)- დე ლას კუევასი, ა. კაშტრო, ტრეხო (74. აიოსე) - ბარალი.

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დ. ალვეში, მასკერანო, აბიდალი (55. მაქსველი), ადრიანო (79. კეიტა) - ჩავი, ბუსკეტსი, ტიაგო - პედრო (55. პიკე), მესი, ვილია.

**გოლი:** 0:1 ადრიანო (11)

**გაფრთხილება:** კაშტრო, კასესი - ბუსკეტსი, პედრო

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 19-6; **თამაშგარე:** 1-8; **კარში დარტყმა:** 4-14 (1-4); **ბურთის ფლობა:** 26%-74%.

**მაყურებელი:** 23 500

### ესპანიოლი-რეალი 0:4

**ესპანიოლი (4-2-3-1):** ალვარესი - ხ. ლოპესი, ფორლინი, მორენო, დიდაკ ვილა - ბაენა, მარკესი (69. დატოლო) - ტიევი (55. ვეისი), ვერდიუ, რომარიკი (73. ალფონსო) - ს. გარსია.

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - არბელოა, სერხიო რამოსი, ალბიოლი, მარსელო - ლ. დიარა (70. ხედირა), ჩაბი ალონსო - იოზილი (76. კალეხონი), კაკა (84. გრანერო), რონალდო - იგუაინი.

**გოლები:** 0:1 იგუაინი (17), 0:2 იგუაინი (66), 0:3 კალეხონი (82), 0:4 იგუაინი (89)

**გაფრთხილება:** ლოპესი, ტიევი, ვეისი, რომარიკი - დიარა

**კუთხური:** 9-5; **ჯარიმა:** 24-5; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 15-16 (3-7); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 36 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 6 | 4 | 2 | 0 | 23-4 | 14 |
| 2. ლევანტე | 6 | 4 | 2 | 0 | 8-3 | 14 |
| 3. რეალი | 6 | 4 | 1 | 1 | 20-5 | 13 |
| 4. მალაგა | 6 | 4 | 1 | 1 | 10-4 | 13 |
| 5. ვალენსია | 6 | 4 | 1 | 1 | 9-6 | 13 |
| 6. სევილია | 6 | 3 | 3 | 0 | 6-3 | 12 |
| 7. ბეტისი | 6 | 4 | 0 | 2 | 9-7 | 12 |
| 8. ატლეტიკო | 6 | 2 | 2 | 2 | 8-6 | 8 |
| 9. სოსიედადი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-8 | 7 |
| 10. მალიორკა | 6 | 2 | 1 | 3 | 5-7 | 7 |
| 11. ოსასუნა | 6 | 1 | 4 | 1 | 5-12 | 7 |
| 12. ვილიარეალი | 6 | 1 | 3 | 2 | 7-11 | 6 |
| 13. ვალეკანო | 6 | 1 | 3 | 2 | 6-10 | 6 |
| 14. სარაგოსა | 6 | 1 | 3 | 2 | 7-13 | 6 |
| 15. ესპანიოლი | 6 | 2 | 0 | 4 | 5-11 | 6 |
| 16. ბილბაო | 6 | 1 | 2 | 3 | 7-9 | 5 |
| 17. ხეტაფე | 6 | 1 | 1 | 4 | 6-10 | 4 |
| 18. რასინგი | 6 | 0 | 4 | 2 | 4-9 | 4 |
| 19. გრანადა | 6 | 1 | 1 | 4 | 2-8 | 4 |
| 20. სპორტინგი | 6 | 0 | 1 | 5 | 2-10 | 1 |

**ბომბარდირები:** 8 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 7 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 5 - ფალკაო (ატლეტიკო), სოლდადო (ვალენსია); 4 - აგირეჩე (რეალ სოსიედადი), კასორლა (მალაგა), ფაბრეგასი (ბარსელონა), მიკუ (ხეტაფე).

### სეგუნდადივიზიონი. VI ტური

**ვილიარეალი II-ხიმნასტიკი 3:2**

**გოლები:** 1:0 ხოსელუ (29), 1:1 ირიომე (38 ს.კ.), 2:1 ხოსელუ (59-პენ), 3:1 ხოსელუ (71), 3:2 პაუელი (77-პენ)

**გაძევება:** პერე (72. ვილიარეალი)

**დეპორტივო-გვადალახარა 4:0**

**გოლები:** 1:0 გუარდადო (6), 2:0 ბერგანტინიოსი (9), 3:0 ბერგანტინიოსი (14), 4:0 სალომაო (81)

**ლას პალმასი-მურსია 1:1**

**გოლები:** 0:1 ო. სანჩესი (36), 1:1 ვიტოლო (54-პენ)

**გაძევება:** ორიოლი (53. მურსია), რამირესი (81. ლას პალმასი)

**უელვა-ალმერია 0:1**

**გოლი:** 0:1 ულოა (27)

**უესკა-კორდობა 0:1**

**გოლი:** 0:1 პატინო (80)

**გაძევება:** სასტრე (83. უესკა)

**ერკულესი-ალკორკონი 1:0**

**გოლი:** 1:0 კალვო (31)

**კარტახენა-ალკოიანო 1:2**

**გოლები:** 1:0 მორალი (8), 1:1 კანადასი (36), 1:2 ლოსანო (40)

**ბარსელონა II-საბადელი 0:1**

**გოლი:** 0:1 ეჯოგო (41)

**ვალიადოლიდი-ელჩე 2:1**

**გოლები:** 0:1 პელეგრინი (45), 1:1 სისი (55), 2:1 ვალიენტე (67)

**ნუმანსია-სელტა 0:2**

**გოლები:** 0:1 დე ლუკასი (42), 0:2 დ. როდრიგესი (56)

**გაძევება:** სანი (42)

**ხერესი-ხირონა დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ალმერია | 6 | 4 | 2 | 0 | 10-4 | 14 |
| 2. ერკულესი | 6 | 4 | 1 | 1 | 7-3 | 13 |
| 3. საბადელი | 6 | 4 | 1 | 1 | 12-9 | 13 |
| 4. კორდობა | 6 | 4 | 1 | 1 | 6-4 | 13 |
| 5. დეპორტივო | 6 | 4 | 0 | 2 | 10-8 | 12 |
| 6. ვალიადოლიდი | 6 | 3 | 2 | 1 | 10-6 | 11 |
| 7. გვადალახარა | 6 | 3 | 2 | 1 | 10-9 | 11 |
| 8. ალკორკონი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-3 | 10 |
| 9. სელტა | 6 | 3 | 1 | 2 | 9-6 | 10 |
| 10. ვილიარეალი II | 6 | 2 | 3 | 1 | 13-11 | 9 |
| 11. ელჩე | 6 | 3 | 0 | 3 | 9-8 | 9 |
| 12. ლას პალმასი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-8 | 8 |
| 13. უელვა | 6 | 2 | 1 | 3 | 5-6 | 7 |
| 14. ხერესი | 5 | 2 | 1 | 2 | 3-4 | 7 |
| 15. მურსია | 6 | 2 | 1 | 3 | 7-9 | 7 |
| 16. ალკოიანო | 6 | 1 | 3 | 2 | 7-8 | 6 |
| 17. ნუმანსია | 6 | 1 | 2 | 3 | 3-6 | 5 |
| 18. ხირონა | 5 | 1 | 2 | 2 | 8-10 | 5 |
| 19. ბარსელონა II | 6 | 1 | 1 | 4 | 9-10 | 4 |
| 20. უესკა | 6 | 1 | 1 | 4 | 8-12 | 4 |
| 21. ხიმნასტიკი | 6 | 0 | 2 | 4 | 4-12 | 2 |
| 22. კარტახენა | 6 | 0 | 0 | 6 | 3-15 | 0 |

**ბომბარდირები:** 5 - ხოსელუ (ვილიარეალი II); 4 - ბუენო (ვალიადოლიდი), კამაჩო (უესკა), ერნესტო (გვადალახარა), ულოა (ალმერია).

## პორტუგალია
### ლიგა საგრეში. VII ტური

**სეტუბალი-რიუ ავე 2:1**

**გოლები:** 0:1 იაზალდე (21), 1:1 სილვა (23), 2:1 ლეალი (81)

**ბენფიკა-ფერეირა 4:1**

**გოლები:** 1:0 სავიოლა (21), 2:0 სავიოლა (43), 2:1 მიჩელი (51-პენ), 3:1 ლუიზაო (65), 4:1 ნოლიტო (67)

**ფეირენსე-მარიტიმუ 2:2**

**გოლები:** 1:0 ბამბა (7), 1:1 ოლბერდამი (10), 2:1 ბამბა (47), 2:2 დანილო (66)

**გაძევება:** ფონტესი (90. ფეირენსე)

**ლეირია-ბრაგა 1:0**

**გოლი:** 1:0 ლეალი (27)

**ნასიონალი-ოლანენსე 1:0**

**გოლი:** 1:0 არაუჟუ (13)

**გიმარაეში-სპორტინგი 0:1**

**გოლი:** 0:1 კაპელი (8)

**გაძევება:** რინაუდო (22)

**აკადემიკა-პორტუ 0:3**

**გოლები:** 0:1 ვალტერი (27), 0:2 ჯ. როდრიგესი (33), 0:3 გუარინი (59)

**გაძევება:** ბა (81)

**ჟილ ვისენტე-ბეირა მარი დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 7 | 5 | 2 | 0 | 17-5 | 17 |
| 2. ბენფიკა | 7 | 5 | 2 | 0 | 19-8 | 17 |
| 3. ბრაგა | 7 | 4 | 2 | 1 | 9-3 | 14 |
| 4. სპორტინგი | 7 | 4 | 2 | 1 | 13-8 | 14 |
| 5. მარიტიმუ | 7 | 4 | 2 | 1 | 12-9 | 14 |
| 6. აკადემიკა | 7 | 4 | 0 | 3 | 12-10 | 12 |
| 7. სეტუბალი | 7 | 3 | 1 | 3 | 7-11 | 10 |
| 8. ოლანენსე | 7 | 2 | 3 | 2 | 8-8 | 9 |
| 9. ჟილ ვისენტე | 6 | 2 | 2 | 2 | 9-10 | 8 |
| 10. ფეირენსე | 7 | 1 | 4 | 2 | 5-10 | 7 |
| 11. ნასიონალი | 7 | 2 | 1 | 4 | 3-12 | 7 |
| 12. ბეირა მარი | 6 | 1 | 3 | 2 | 3-2 | 6 |
| 13. ლეირია | 7 | 2 | 0 | 5 | 8-14 | 6 |
| 14. გიმარაეში | 7 | 1 | 1 | 5 | 7-11 | 4 |
| 15. ფერეირა | 7 | 1 | 1 | 5 | 7-13 | 4 |
| 16. რიუ ავე | 7 | 0 | 2 | 5 | 4-9 | 2 |

**ბომბარდირები:** 5 - ნოლიტო (ბენფიკა), კარდოსო (ბენფიკა), დიავარა (მარიტიმუ).



lariwin.com
the better way to play
მეტი, ვიდრე თამაში
რეპორტაჟების სპონსორი ონლაინ კაზინო „ლარივინი"

ლელოს სპეციალური კორესპონდენტი ბესიკ ჭანგავაძე პალმერსტონიდან

რაგბი. მსოფლიოს თასი

# მეტი შეგვეძლო, მაგრამ...

**საქართველო 7:25 არგენტინა**

საქართველო (15-9) ურჯუკაშვილი (კვირიკაშვილი 63), გუგავა (მალალურაძე 72), კაჭარავა, ზიბზიბაძე, თოდუა, ხმალაძე, აბუსერიძე (სამხარაძე 65). (1-8) კაკოვინი (შველიძე 41), გიორგაძე (ბრეგვაძე 70), ზირაქაშვილი, დათუნაშვილი (ზედგინიძე 70), მაისურაძე (ნემსაძე 70), ჩხაიძე, კოლელიშვილი, გორგოძე.
ლ: ხმალაძე. გ: ურჯუკაშვილი
არგენტინის (15-9) ამოროსიონო, აგულა, ბოში, კონტეპომი, იმოფი, ფერნანდესი, ვერგალო. (1-8) აიერსა, ლედესმა, ფიგალო, გალარსა, ალბასეტე, კაბელო, ლეგისამონი, სენატორე.
3ლ: იმოფი, კონტეპომი, გოსიო. 2გ: კონტეპომი, ბოში. 2ს: კონტეპომი.
მსაჯი: ალან როლანი (ირლანდია)

*"იმედგაცრუებულნი ვართ, ჩვენს გუნდს ნამდვილად შეეძლო უკეთესი შედეგი ეჩვენებინა. რაც მივიღეთ, ის არაფრით შეესაბამება იმ ჯაფას და ენერგიას, რომელიც ბიჭებმა ამ თამაშში ჩადეს."* – თქვა ნამატჩევს საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა **რიჩი დიქსონმა.**

საქართველოს ნაკრებმა ყველაფერი გაიღო საკმაოდ ძლიერი მეტოქის, მსოფლიოს თასის წინა გათამაშების მესამეადგილოსნის, არგენტინის ნაკრების დასამარცხებლად. პირველ ტაიმში ეს შეძლო კიდეც, თუმცა საბოლოოდ "პუმებმა", რაც ყველაზე გულდასაწყვეტია, მსაჯის დახმარების წყალობითაც, 25:7 მოიგეს და მეოთხედფინალში გააღწიეს, სადაც მათი მეტოქე მასპინძელთა გუნდი, - ახალი ზელანდიის ნაკრები იქნება.

"ბორჯღალოსნებმა" არგენტინის ნაკრებს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. პირველ ტაიმში ტოლი არაფერში დაუდეს. რამდენჯერმე საკმაოდ კარგი მრავალფაზიანი შეტევის ორგანიზება მოახერხეს. თუმცა, როგორც კი ჩვენი მორაგბეები "პუმების" 22-მეტრიან ზონას მიადგებოდნენ, მსაჯი უმალვე გვაჯარიმებდა, შეტევას გვიშლიდა და ისევ დაცვაში დგომა გვიწევდა.

ირლანდიელმა არბიტრმა **ალან როლანმა** საქმის თავშივე მოთავება სცადა, მაგრამ მის მიერ დანიშნული საჯარიმოები არგენტინელთა შუამარბმა **ფელიპე კონტეპომიმ** ჯერ მე-5 წუთზე, მეორე კი მე-13 წუთზე ვერ გაიტანა. აღსანიშნავია, რომ ჩვენს სასარგებლოდ კარში დასარტყმელი ჯარიმა როლანმა მატჩის 38-ე წუთზე დანიშნა და მეტჯერ "ასეთი შეცდომა" აღარ მოსვლია. სამწუხაროდ, ის საჯარიმო საქართველოს ნაკრების ფულბეკმა **მალხაზ ურჯუკაშვილმა** ვერ გამოიყენა. იმ დროისთვის 5:0-ს ვაგებდით.

მოედანზე იმდენად უშელავათო ბრძოლა მიმდინარეობდა, რომ ანგარიში მხოლოდ 31-ე წუთზე გაიხსნა. არგენტინელებმა შეტევის მარჯვენა ფრთაზე აუტი სუფთად მოიგეს და ჯერ შუიდან შემოგვიტიეს, მორკინალების ორი მოკლე დარტყმის შემდეგ, ბურთი მარცხნივ, უკანახაზელებს გაუთამაშეს, რომლებმაც ხელდახელ ბურთაობით გარემარბი **ხუან იმოფი** ლელოში შეუშვეს. ონტეპომიმ გარდასახვა ვერ გაიტანა.

ანგარიშში დაწინაურება "ბორჯღალოსნებმა" ტაიმის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე შეძლეს. მოედნის ცენტრში მესამეხაზელმა **მამუკა გორგოძემ** იყოჩაღა. მან ბურთიანად რამდენიმე მეტოქე სამიოდ მეტრი ათრია, მერე სხვა მორკინალებიც წამოეშველნენ. ბოლოს ცხრა ნომერმა **ირაკლი აბუსერიძემ** მარჯვენა ფრთაზე ჩვენი გუნდის მოთამაშეების რიცხობრივი უპირატესობა შენიშნა და ბურთი რაკიდან მგეზავ **ლაშა ხმალაძეს** გაუტანა, რომელმაც მყისვე კიდესკენ გარემარბი **ალექსანდრე თოდუა** ჩართო შეტევაში. ამან ოცდაათიოდე მეტრი ირბინა და ის იყო უნდა შეებოჭათ, რომ ბურთი მეტოქის ჩათვლის მოედნისკენ ფეხით შეაცურა. იქ კი ყველას ხმალაძემ დაასწრო და ლელოში შეიჭრა. ურჯუკაშვილმა გარდასახა და საქართველოს ნაკრები 7:5 დაწინაურდა. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.



შესვენებაზე რიჩი დიქსონმა პირველხაზელი **ვასილ კაკოვინი** შეცვალა, რომელიც დაშავებული ფეხით თამაშობდა. შედეგად, საწყის 10 წუთში შერკინებას ძალიან გაუჭირდა, თუმცა მორკინალები ნელ-ნელა დალაგდნენ და თამაში გაათანაბრეს.

მეორე ტაიმის საწყის 20 წუთში არგენტინელები დიდი მონდომებით ცდილობდნენ ლელოს გატანას, მაგრამ რომ ვერაფერს გახდნენ, ალან როლანმა ნაცად ხერხს მიმართა. ონტეპომის 51-ე და მე-60 წუთებზე ორი საჯარიმო დაარტყმევინა და "პუმები" ოთხი ქულით დაწინაურდნენ – 11:7.

მომდევნო ათი წუთი საქართველოს ნაკრების იყო, თუმცა მონაგარს ჩვენმა მორაგბეებმა ვერაფერი შესძინეს. დასკვნით ათ წუთში კი ორჯერ 71-ე და 79-ე წუთებზე "პუმებმა" მოედნის საკუთარი ნახევრიდან დაწყებული შეტევა ლელოთი დაასრულეს და ჯგუფურ ტურნირში მე-3 გამარჯვება მიითვალეს.

საქართველოს ნაკრებმა პროგრამა მინიმუმი შეასრულა. "ბორჯღალოსნებმა" ერთი თამაში მოიგეს და დანარჩენ სამ შეხვედრაში მსოფლიოს საუკეთესო ათეულში შემავალ ქვეყნებთან უშელავათო ბრძოლაში დამარცხდნენ.

## მატჩის შემდეგ

**რიჩი დიქსონი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:**

*"ძალიან ხშირად ვჯარიმდებოდით. მერე, მოგვიანებით ვნახავთ ვიდეოანალიზისას, რატომ ხდებოდა ასე. ჩანს, ამ კუთხით სერიოზული პრობლემა გვაქვს. არადა, ამ ჯარიმების გამო ბევრჯერ ჩაგვეშალა შეტევა. ფიზიკურად გუნდმა გაუძლო, მთავარი ეს არაა, მთავარია, რომ არ გვეყო ასეთი მაღალი დონის გუნდებთან თამაშის გამოცდილება.*

*გუნდს ადვილად არ შეველევი. ძალიან შემიყვარდა ჩემი მორაგბეები. მთავარია, ჯანმრთელობამ ხელი შემიწყოს, თორემ მწვრთნელობას არ მინდა ჯერ თავი დავანებო".*

**გოდერძი შველიძე:**

*„2007 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებასთან შედარებით, უკეთ ვითამაშეთ და ამიტომ ამაყები ვართ. ბიჭებს გული დაწყდათ, უკეთესად შეგვეძლო გვეთამაშა. ჯერ ისევ პატარები ვართ, გავიზრდებით და შემდეგ მსოფლიოს თასზე უკეთეს შედეგს ვაჩვენებთ."*







როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი

**ლევან დათუნაშვილი:**

*„პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ და მოვიგეთ კიდეც, მაგრამ საბოლოო გამარჯვებამდე ცოტა დაგვაკლდა. ალბათ, უფრო გამოცდილება არ გვეყო.*

*არგენტინის ნაკრები ჩვენი დონის გუნდია და შორს აღარ არის ის დრო, როცა არგენტინას, შოტლანდიასა და მათ დარ გუნდებს მოვუგებთ."*

**დავით კაჭარავა:**

*„პირველ ნახევარში კარგად ვითამაშეთ, ცოტა შეცდომა დავუშვით. მეორეში ცოტა დავიღალეთ, უფრო მეტი შეცდომა დავუშვით და წავაგეთ. ვეცადეთ მოგვეგო, მაგრამ არ გამოგვივიდა."*

**მამუკა გორგოძე:**

*„მიუხედავად იმისა, რომ სამი დღის წინ ვითამაშეთ და ენერგია საკმარისად არ გვქონდა აღდგენილი, არგენტინის ნაკრებს 60 წუთი ძალიან კარგად ვეთამაშეთ. ის იმდენად ძლიერი არ არის, რასაც ამბობენ. მისი სტილი თამაშის ჩაშლაა. ვფიქრობ, „პუმებთან" მარცხი ასეთ გუნდებთან თამაშის გამოცდილების არქონის ბრალია."*

**გიორგი ნიჟარაძე, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:**

*„არგენტინის ნაკრების მოთამაშეები ჩვენთან გამარჯვების შემდეგ გასახდელში სიხარულისგან ლამის კედლებზე დარბოდნენ. ის, რომ არგენტინის ნაკრებს ასე უხარია შენთან მოგება, ეს უკვე რაღაცას ნიშნავს.*

*ბიჭებმა ძალიან კარგად ითამაშეს, მათ, უბრალოდ, მეტი აღარ შეეძლოთ, რადგან გამორიცხულია, სამ დღეში გუნდმა ძალები სრულყოფილად აღიდგინოს. თან ამდენი ტრავმიანი მოთამაშე გვყავს. ბოლო მატჩის წინადღეს კი ვარჯიშზე ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე დავით ზირაქაშვილი დაგვიშავდა. ერთი სიტყვით, ძალიან ძნელია, ასეთ სიტუაციაში არგენტინის დონის გუნდს ებრძოლო.*

*თანაც კლასიც თავისას შვება. ყველა თანხმდება, მათ შორის წამყვანი სარაგბო ქვეყნების რაგბის ხელმძღვანელები იმაში, რომ დღეს საქართველოს ნაკრებმა ელიტურ გუნდებთან თამაშის გამოცდილების არქონის გამო წააგო. ერთი სიტყვით, დროა მსოფლიოს რაგბიში რადიკალური ცვლილებები დაიწყოს."*

■ ■ ■

ახალ ზელანდიაში მიმდინარე მსოფლიოს თასის გათამაშებაში ჯგუფური ტურნირი დასრულდა. საინტერესოდ განვითარდა მოვლენები A ჯგუფში, ერთადერთი სენსაცია, ჯერჯერობით, სწორედ ამ ჯგუფის გუნდების მატჩში დაფიქსირდა.

საფრანგეთის ნაკრებმა, რომელიც მსოფლიოს თასის გათამაშების ერთ-ერთი ფავორიტია, მოულოდნელად წააგო ტონგას ნაკრებთან – 14:19. მართალია, ფრანგებისთვის ამ მატჩის შედეგს არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ „ლე ბლოსგან" ასეთ უდიერ დამოკიდებულებას მეტოქისადმი არავინ მოელოდა.

ირლანდიის ნაკრები ყოველთვის კარგი გუნდი იყო, მაგრამ მიმდინარე თასის გათამაშებაში „სამყურები," უბრალოდ, შეუდარებელნი არიან. მათ ჯგუფში ყველა თამაში მოიგეს, მათ შორის ტურნირის ფავორიტ ავსტრალიის ნაკრებთან.

მეოთხედფინალში გუნდები ისე დაწყვილდნენ, რომ ფინალში ერთი ევროპული გუნდი აუცილებლად გავა. ირლანდიელები ძველ და კარგად ნაცნობ უელსის ნაკრებს დაუპირისპირდებიან, საფრანგეთის ეროვნული გუნდი კი ინგლისის ნაკრებთან გაარკვევს ურთიერთობას. ამ წყვილების გამარჯვებულები ერთმანეთს ნახევარფინალში შეხვდებიან.

მეორე ოთხეული მეოთხედფინალში სამხრეთ ნახევარსფეროდანაა. ახალი ზელანდიის ნაკრები ჩვენი ჯგუფის მეორეადგილოსან არგენტინას ეთამაშება. სამხრეთ აფრიკა კი ავსტრალიას. ფინალში გასვლის ყველაზე უკეთესი შანსი, ცხადია, „ოლ ბლექსს" აქვს.

**A ჯგუფი**

ახალი ზელანდია-კანადა 79:15; საფრანგეთი-ტონგა 14:19.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ახალი ზელანდია – 20 ქულა, 2. საფრანგეთი – 11, 3. ტონგა – 9, 4. კანადა – 6, 5. იაპონია – 2.

**B ჯგუფი**

ინგლისი-შოტლანდია 16:12

**სატურნირო მდგომარეობა**

ინგლის – 18 ქულა; 2. არგენტინა – 14, 3. შოტლანდია – 11, 4. საქართველო – 4, 5. რუმინეთი – 0.

**C ჯგუფი**

ავსტრალია-რუსეთი 68:22
ირლანდია-იტალია 36:6

**სატურნირო მდგომარეობა**

ირლანდია – 17 ქულა, 2. ავსტრალია – 15, 3. იტალია – 10, 4. აშშ – 4, 5. რუსეთი – 1.

**D ჯგუფი**

უელსი-ფიჯი 66:0.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. სამხრეთ აფრიკა – 18 ქულა, 2. უელსი – 15, 3. სამოა – 10, 4. ფიჯი – 5, 5. ნამიბია – 0.

**მეოთხედფინალი**

ახალი ზელანდია-არგენტინა, საფრანგეთი-ინგლისი, ირლანდია-უელსი, სამხრეთ აფრიკა-ავსტრალია.



## ცხენოსნობა

● მსოფლიოს თასის ეტაპი – კავკასიის ლიგა




# ქუდი მოიხადეთ, ჯენტლმენებო!

## პოლონელმა მხედარმა ქალმა თბილისში მთავარი პრიზი მოიგო

ცხენოსნობა, ეს უძველესი სპორტის სახეობა, დღეს ელიტარულ რანგში გადის და იმითაცაა გამორჩეული, რომ მამაკაცები და ქალები ერთად ასპარეზობენ. და კიდევ: ერთადერთი სახეობაა, სადაც ორი სულიერი - ცხენი და ადამიანი ერთ არსებად იბრძვიან გამარჯვებისთვის. მაგრამ ხომ შეიძლება იყო ბედაურის პატრონი და არ გყავდეს კარგი მხედარი. საერთაშორისო ფედერაციამ აქაც გამონახა გამოსავალი - შეთანხმებით შეიძლება სხვადასხვა ქვეყნის მერნისა და ცხენოსნის დაწყვილება შეჯიბრებაზე. სწორედ ასეთ ტანდემს დარჩა გამარჯვება თბილისში გუშინ დამთავრებულ ასპარეზობაზე - მსოფლიოს თასის ეტაპი - კავკასიის ლიგა. აზერბაიჯანელთა ცხენებზე პოლონელი მხედარი ქალი **ალეხანდრა ლუსინა** გამოდიოდა სხვადასხვა პროგრამაში. საბოლოო ჯამში ამ ქალბატონმა ორი პირველი, სამი მეორე, ამდენივე მესამე, ორი მეოთხე და ოთხი მეხუთე ადგილი მოიპოვა და, რაღა თქმა უნდა, სოლიდური საპრიზო ფონდიდან, ასევე სოლიდური თანხა მიიღო. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ მასვე ხვდა წილად მთავარი პრიზი- გრან-პრი, ქულები კი ვერც თავის ქვეყანას და ვერც ცხენის მფლობელს მოუტანა - ამას დებულება არ ითვალისწინებდა. ქულები და შესაბამისი საპრიზო თანხა ასპარეზობის მთავარმა კონკურენტებმა - ქართველმა, სომეხმა და აზერბაიჯანელმა მხედრებმა გაინაწილეს.

შეჯიბრება, რომელსაც ესწრებოდნენ ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლები, შესანიშნავად იყო ორგანიზებული, რისთვისაც საქართველოს ფედერაციამ მადლობა დაიმსახურა.

ახლა კი გაგაცნობთ შაბათს და კვირას გამართული შეჯიბრებების ტექნიკურ შედეგებს.

**ხტომები ორ ფაზად.** 1. ივანე ნორაკიძე, 2. ალეხანდრა ლუსინა (პოლონეთი), 3. ნორაკიძე (მეორე ცხენით), 4. გეორქ ოგანესიანი (სომხეთი), 5. გიორგი თოხაძე. ხუთივე სპორტსმენმა უჯარიმოდ იასპარეზა. ადგილები აქ და სხვა ხტომებშიც დროის უკეთესი მაჩვენებლით განაწილდა.

**კონკური №2. ძირითადი ცხენებისთვის.** 1. შალვა გაჩეჩილაძე - უჯარიმოდ, 2. ლიხმეტ მუსაევი (აზერბაიჯანი), 3. ლუსინა, 4. მუსაევი (მეორე ცხენით), 5. ლუსინა (მეორე ცხენით). 2-5 ადგილზე გასულებს 4-4 საჯარიმო ქულა ჰქონდათ.

**ხტომები მზარდი სირთულით (ჯოკერი).** 1. ლუსინა - 65 დადებითი ქულა, 2. გაჩეჩილაძე - 58, 3. მუსაევი - 55, 4. ლუსინა (მეოერ ცხენით) - 55, 5. გიორგი სამხარაძე - 45.

**კონკური №4.** 1. მუსაევი, 2. გაჩეჩილაძე, 3. ლუსინა, 4. მუსაევი (მეორე ცხენით); ოთხივე - უჯარიმოდ, 5. ლუსინა (მეორე ცხენით) - 4 საჯარიმო ქულა.

**მცირე გრან-პრი.** 1. ოგანესიანი - უჯარიმოდ, 2. ლუსინა - 4, 3. გაჩეჩილაძე - 4,4. ლუსინა (მეორე ცხენით), 5. ნორაკიძე. ოთხივეს - 4-4 საჯარიმო ქულა.

**გრან-პრი. მსოფლიო თასის ეტაპი.** 1. ლუსინა - 0, მუსაევი - 0, 3. მუსაევი (მეორე ცხენით) - 4, 4. გაჩეჩილაძე - 5,5. ლუსინა (მეორე ცხენით) - 8. გამარჯვებული გამოვლინდა ლუსინასა და მუსაევს შორის დამატებით ხტომებში.

**თორნიკე გაჩეჩილაძე**






ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

კრივი

# ნოკდაუნი თავურით

ბაქოში მოკრივეთა სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატზე გასული უქმეები ჩვენებურთათვის სახარბიელო ვერ გამოდგა. 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი და პეკინის ოლიმპიადის მონაწილე **ნიკოლოზ იზორია** პირველსავე წრეში დამარცხდა უნგრელ მიკლოშ ვარგასთან (11:16), რომელიც 2008 წლის კონტინენტის პირველობის მეორე პრიზიორია.

ევროპის ჩემპიონატის წლევანდელი ბრინჯაოს მედალოსანი **ჯაბა ხოსიტაშვილი** (75 კგ) ტაილანდელ სურია პრასადინფომალს დაუპირისპირდა. ჩვენებურმა აშკარად დაჯაბნა მეტოქე და საბოლოოდ 23:11 აჯობა.

გუშინ ხუთმა ქართველმა მეორე წრის პაექრობები გამართა: 52 კილოში უელსელმა ენდრიუ სელბიმ, რომელიც წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული და შარშანდელი პრიზიორია, **სევერიან ქილაძეს** 26:7 მოუგო და ასპარეზობის მესამე წრეში გავიდა. 81 კილოში **ლევან გულედანმა** სათანადო წინაალმდეგობა ვერ გაუწია ამერიკელ მარკუს ბრაუნს და ორთაბრძოლა 6:10 დათმო.

საკმაოდ ოპტიმისტურად ვიყავით განწყობილი 2009 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მე-3 პრიზიორ **კობა ფხაკაძისა** (64) და მასპინძელ გეიბათულა გაჯიალიევის პაექრობისას, მაგრამ...

- ორთაბრძოლის ერთ-ერთ მომენტში გაჯიალიევმა კობას სახეში თავი ჩაარტყა, რის გამოც ქართველი მოკრივე რინგზე გაიშოტა, - გვითხრა საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ვლადიმერ ახალკაცმა**, რომელიც აზერბაიჯანის დედაქალაქში ესწრება ჩემპიონატს, - თუკი ფხაკაძე რეფერის 10 დათვლამდე ბრძოლის გაგრძელებას ვერ შეძლებდა, აზერბაიჯანელს დისკვალიფიკაციას მისცემდნენ და შეჯიბრებიდან მოხსნიდნენ. კობამ მეტოქის არასპორტულ საქციელს კაცობით უპასუხა - ძალ-ღონე მოიკრიბა და მე-8 დათვლაზე წამოდგა. მთელი დარბაზი მას ოვაციებით შეხვდა. ფხაკაძემ პაექრობა განაგრძო, მაგრამ საბოლოოდ 15:18 დამარცხდა და მედლისკენ მიმავალ გზას ჩამოშორდა. არადა, სწორედ მისგან ველოდით ჯილდოს...

სამწუხაროდ, გუშინ კიდევ ორი ჩვენი მოკრივე ჩამოშორდა მედლებისა და ლიცენზიებისკენ მიმავალ გზას, ესენი არიან წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსნები - ზაალ კვაჭატაძე (69) და მიხეილ ბახტიძე (+91), რომლებიც, შესაბამისად, თურქ ონდა სიფალთან და ხორვატ ფილიპ ჰრგოვიჩთან დამარცხდნენ.

დღეს საქართველოს კიდევ სამი წარმომადგენელი გავა რინგზე: ავთანდილ ჭუბაბრია (49) - ალექს ფერამოსკა (იტალია), დავით გოგიშვილი (91) - ხულიო სესარ კასტილო ტორესი (ეკვადორი), ჯაბა ხუსიტაშვილი (75) - შტეფან ჰარტელი (გერმანია).

**ვაჟა დანელია**

AIBA WORLD BOXING CHAMPIONSHIPS
BAKU 2011
sponsored by
Sat&Co

ჩოგბურთი

# მთავარი პრიზები სტუმრებს ერგოთ

გასულ შაბათ-კვირას თელავის ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 50 000$) ნახევარფინალური და ფინალური ორთაბრძოლები გაიმართა. **მარგალიტა ჩახნაშვილმა** (6), რომელმაც ერთეულთა თანრიგში წარმატებით განვლო სამი წრე, შაბათს მე-4 ნომრად განთესილ ალექსანდრა პანოვასთან (რუსეთი, 4) წააგო - 2:6, 3:6. ასპარეზობის რეიტინგფავორიტმა ალექსანდრა კადანტუმ 16 წლის ირინა ხრომაჩევას (რუსეთი) აჯობა - 6:3, 6:2. ორი ალექსანდრას დაპირისპირება ფინალში პანოვას გამარჯვებით (4:6, 6:1, 6:1) დასრულდა და მთავარი პრიზიც მას ერგო.

წყვილთა ნახევარფინალში **თათია მიქაძისა** და **სოფიო შაფათავას** დუეტს რუმინელებმა - ელენა ბოგდანმა და მიხაელა ბუზარნესკუმ სძლიეს - 7:5, 3:6, 10:7. კარპატელების შეჩერება **ეკატერინე გორგოძემ** და ანასტასია გრიმალსკამაც (იტალია) ვერ შეძლეს ფინალში და მეორე ადგილით დაკმაყოფილდნენ. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ვლახები ავიდნენ.

**ვაჟა დანელია**

# კულიკოვას სინდრომი

21 წლის **ანა ტატიშვილი** (89), რომელიც მე-2 ნომრად იყო განთესილი ლას ვეგასის საერთაშორისო ტურნირში (50 ათასი დოლარი) მეოთხედფინალში გადაეყარა 22 წლის რუსს, **რეგინა კულიკოვას** (143). ჩოგბურთელს, რომელთანაც გასულ კვირას, ალბუკერკის 75-ათასიანი ტურნირის ფინალში დამარცხდა. შურისძიება ვერ გამოვიდა, კვლავ რუსმა იყოჩაღა - 6:3, 7:5. ჩვენებურმა ლას ვეგასში შარშანდელი მიღწევა გაიმეორა, ამიტომაც დღევანდელ რეიტინგში მის წინსვლას არ უნდა ველოდოთ. ორშაბათიდან კანზას სიტის საერთაშორისო ტურნირი (50 ათასი დოლარი) იწყება, თუმცა ტატიშვილმა იქ მონაწილეობაზე უარი თქვა.

ანთალიაში დაიწყო „ფიუჩერსის" სერიის ტურნირი, რომლის ძირითად ბადეში გაღწევას 18 წლის **გიორგი ცივაძე** (1248) ცდილობს. პირველ წრეში მან რუს **ანტონ მანეგინს** მოუგო - 6:2, 6:1. მეორეში კი მე-13 ნომრად განთესილ უზბეკ **ანდრეი ბოლდარევს** (1084) ეთამაშება.

ახალგაზრდულ სარბიელზე წარმატებას მიაღწია 16 წლის **მიხეილ ხმიადაშვილმა** (მსოფლიოს 373-ე ჩოგანი 18-წლამდელ ჩოგბურთელთა შორის). მან თურქმენეთში მე-5 კატეგორიის ტურნირის ფინალში გაალწია, სადაც რუს **სერგეი დაროჟკინს** ეთამაშება. ვფიქრობთ, ღირს დავაკვირდეთ ამ ბიჭის თამაშს - მაისიდან მოყოლებული ხმიადაშვილს არ წაუგია ტურნირების პირველ ორ წრეში. სომხეთში მოიგო ორი ტურნირი (პრეზიდენტის თასი და ორენჯ კაპი), ირანული ტურნირის ნახევარფინალში გავიდა, თურქეთსა და თურქმენეთში მეოთხედფინალებში დამარცხდა და აი, ისევ თურქმენეთში ყოჩაღობს. ვაჟთა ჩოგბურთში კატასტროფული მდგომარეობა გვაქვს და იმედია, ახალი თაობა მაინც გაამართლებს.



ანა ტატიშვილი

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

წყალბურთი

# დენთი არ ეყოთ

საწყლოსნო კომპლექსი ოლიმპიკი

1 ოქტომბერი. 2011 წელი

**საქართველო-რუმინეთი 5:11**

**2:2, 2:1, 1:4, 0:4**

**საქართველო:** ჭუმბურიძე, ქენქაძე, ელაჩა, პოპოვიჩი, კორდიჩი (1), ლაითაძე, ჩომახიძე (2), ბალათურია (1), რურუა (კ), გეგელაშვილი, ნიკოლეიშვილი (1), დავითიანი, სტრუიჩი, მთავარი მწვრთნელი ისელიძე.

**რუმინეთი:** სტოენესკუ, რადუ (კ., 3), ნეგრინი (2), დიაკონუ, იოსეფი, ბუსილა (2), ჩიოვეანუ, გონატა, ჯორჯესკუ (2), გიბანი (1), კაპარი (1), დრაგუსინი, მთავარი მწვრთნელი კოვაჩი.

მატჩის შემდეგ საქართველოს წყალბურთის ისტორია გადავათვალიერე. რუმინელები თბილისში პირველად 1959 წელს ჩამოსულან. მასპინძელთა პირველ ნაკრებთან 2:4 დამარცხებულან, მეორე ნაკრებისთვის კი ასეთივე ანგარიშით მოუგიათ...

მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო. ვლახები მსოფლიოს წყალბურთის ელიტაში დამკვიდრდნენ. საქართველოში კი ყველაფერი პირიქით მოხდა: გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულიდან მდიდარი ტრადიციები დავიწყებას მიეცა. ისეთი წლები გამოვიარეთ, წყალბურთისთვის ვილას ეცალა.

და აი, ორი-სამი წელიწადია, „ლაგუნა ვერეში" შემონახული ქართული წყალბურთის ნანგრევებზე ტრადიციების აღორძინება დაიწყო. საკვალიფიკაციო ეტაპის შემდეგ კონტინენტის 18 საუკეთესო გუნდში მოხვედრა უკვე წარმატებაა, თუმცა უკეთეს შედეგზეც ვოცნებობდით, მაგრამ რუმინეთმა, რომელიც ფავორიტის რანგში ეწვია თბილისს, ჩვენი ადგილი მიგვიჩინა. არადა, შეხვედრის ორმა პერიოდმა დაგვანახვა, რომ საქართველოს ნაკრებთან იოლ გასეირნებას ნურავინ ელის.

მატჩი მასპინძელთა იერიშებით დაიწყო. უკვე მე-2 წუთზე ვეტერან წყალბურთელ **რევაზ ჩომახიძესთან** ორთაბრძოლაში სტუმართა მცველებმა აკრძალული ილეთი გამოიყენეს და **ტატო ნიკოლეიშვილმაც** ზუსტად შეასრულა ხუთმეტრიანი დარტყმა - 1:0. ორიოდე წუთში **რადუმ** წონასწორობა აღადგინა. მე-5 წუთზე **კორდიჩი-ბალათურიას** ორსვლიანი კომბინაცია ამ უკანასკნელის ეფექტური გოლით დამთავრდა. მასპინძლებმა პერიოდის მოგება მაინც ვერ შეძლეს - ჯორჯესკუმ ისევ გაათანაბრა ანგარიში. ბოლო წამებზე სტუმრებს დაწინაურებაც შეეძლოთ, მაგრამ მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა **ივან სტრუიჩი,** რომელმაც ზედიზედ ორჯერ იხსნა თანაგუნდელები. საერთოდაც, 16 წუთის განმავლობაში მან უშეცდომოდ ითამაშა და დროის ამ მონაკვეთში ჩომახიძესთან ერთად ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

შეხვედრის მე-2 რვაწუთიანი რაუნდი ქართველმა წყალბურთელებმა 2:1 მოიგეს - ბალათურიამ და ჩომახიძემ გამოიჩინეს თავი. სტუმრებმა ამ უკანასკნელის განეიტრალება ვერ მოახერხეს, არადა, სახელოვან წყალბურთელს გვერდით ყოველთვის ორი მცველი ედგა. მასპინძლებმა, სამწუხაროდ, ვერც ეს მომენტი და ვერც რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენეს. ცნობისთვის: მსაჯებმა რუმინელები 11-ჯერ გააძევეს, ქართველებს კი 7-ჯერ დაატოვებინეს სარბიელი.

დიდი შესვენების შემდეგ **ისელიძის** შეგირდებს აშკარად დაეტყოთ დაღლილობა, ხშირად ცოდავდნენ შეტევებისას, მოუმზადებელი დარტყმები მიზანს ვერ აღწევდა, იმატა შეცდომებმა დაცვაში, მეტოქის კონტრშეტევებისას ჩვენი მცველები გამოცურვას ვერ ასწრებდნენ. კარპატელები სტრუიჩის კართან რიცხობრივ უპირატესობას აღწევდნენ და ბურთებიც იოლად გაჰქონდათ. მას შემდეგ, რაც მესამე პერიოდის დასაწყისში ჩომახიძის გოლით ჩვენები 5:3 დაწინაურდნენ, ყველაფერი თავდაყირა დადგა. დარჩენილ თხუთმეტ წუთში მასპინძლებმა კარში ზუსტად მხოლოდ ორჯერ დაარტყეს, სტუმრებმა კი 14-ჯერ და რვა უპასუხო ბურთი გაგვიტანეს, მატჩიც მოიგეს - 11:5.

შეხვედრას თვალს ადევნებდა გასული საუკუნის 60-70-იანი წლების კიევის „დინამოს" ცნობილი წყალბურთელი, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი **ედუარდ სნასტიუკი,** რომელმაც შთაბეჭდილებები გაგვიზიარა:

*„ურიგო გუნდი არ გყავთ, მაგრამ ელიტაში შესასვლელად ჯერ კიდევ დიდი ჯაფა მოგიწევთ - რუმინელებმა დღეს ქართველებს აჯობეს ცურვით, გამძლეობით, თამაშის მკაცრი დისციპლინით, საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის მეტი გამოცდილებით".*

**იშტვან კოვაჩი,** რუმინელთა მთავარი მწვრთნელი: *„მატჩი დაცვის უკეთ ორგანიზებით მოვიგეთ. პირველი ორი პერიოდის შემდეგ მივხვდით, სად უნდა გაგვეძლიერებინა თამაში. ეს შევძელით და სასურველ შედეგსაც მივაღწიეთ".*

**ზვიად დავითიანი,** საქართველოს ნაკრების მწვრთნელი: *„სტუმრებს ტემპში არ უნდა ავყოლოდით, მათი თამაში არ უნდა გვეთამაშა. ისე, ობიექტურნი თუ ვიქნებით, რუმინეთის ნაკრები უფრო მაღალი კლასის გუნდია, რომელმაც ჩვენი ყველა შეცდომა გამოიყენა და დამსახურებულად მოგვიგო".*

**ვლადიმერ ისელიძე,** საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი: *„ელიტაში მოსახვედრად ჯერ კიდევ ბევრი ოფლის ღვრა მოგვიწევს. დღეს მხოლოდ ორი პერიოდის თამაში შევძელით სასურველ დონეზე. ფიზიკაში აშკარად მოვიკოჭლებთ, მესამე-მეოთხე რაუნდებში მეტოქის ტემპს ვერ გავუძელით. გუნდში ცენტრალური მცველის პრობლემაცაა. სხვა ბევრი ხარვეზიც გვაქვს გამოსასწორებელი. ყოველივეს მიუხედავად, ფარ-ხმალს არ ვყრით და განმეორებითი შეხვედრისთვის, რომელიც 29 ოქტომბერს გაიმართება ბუქარესტში, სათანადოდ მოვემზადებით. წყალბურთის სამყაროს დავანახვებთ, რომ ფავორიტებთან ბრძოლა შეგვიძლია".*

**1 ოქტომბერს პლეი ოფის დანარჩენი ორთაბრძოლები ასე დამთავრდა: რუსეთი-ესპანეთი 6:13, საფრანგეთი-მაკედონია 8:6, საბერძნეთი-სლოვაკეთი 13:7, გერმანია-მალტა 21:5, სლოვენია-თურქეთი 5:7.**

**ვაჟა დანელია**



ჭიდაობა

# საერთაშორისო ტურნირი ხაშურში

შვიდი წელიწადია ხაშურის სასპორტო სკოლის ჭიდაობის დარბაზში ვახტანგ კვინიკაძის სახელობის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ტარდება თავისუფალ ჭიდაობაში. ყოველ წელს ჩამოდიან სტუმრები აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან. ამჯერად ტურნირზე 350-მდე მოზარდმა მოიყარა თავი, რაც, როგორც ასპარეზობის ორგანიზატორებმა გვითხრეს, ამ შეჯიბრებისთვის სარეკორდოა. ამიტომ იყო, რომ დილით ადრე დაწყებული ასპარეზობა გვიან ღამით დასრულდა.

**ვახტანგ კვინიკაძე** ხაშურში თავისუფალი ჭიდაობის ერთ-ერთი ფუძემდებელია. იგი თითქმის 50 წელიწადია, ხალიჩაზე დგას, ორ ათეულ წელზე მეტი კი შვილთან - **გია კვინიკაძესთან** ერთად აფრთიანებს მოჭიდავეებს. ამ ტურნირზე არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში სწორედ მათმა გუნდმა აჩვენა საუკეთესო შედეგი. პირველობისათვის ორ ასაკობრივ კატეგორიაში იბრძოდნენ სპორტსმენები. 1998-2000-წლიანებში რვა, 1995-97-წლიანებში კი ათ წონით კატეგორიაში მიმდინარეობდა ასპარეზობა.

**გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს.**

**1998 - 2000 წწ დაბადებულები. 26 კგ** - თორნიკე ქათამაძე (ქობულეთი), **29 კგ** - ელშან ნიფტანოღლი (ქარელი), **32 კგ** - გიორგი ხაჩიძე, **35 კგ** - ალეკო ლომიძე (ორივე ხაშური), **38 კგ** - გორ აკოფიანი (სომხეთი), **42 კგ** - თორნიკე კვინიკაძე **47 კგ** - ვანო გოდელაშვილი (ორივე - ხაშური), **+ 47 კგ** - ზურა ურთაშვილი (მცხეთა).

**1995 - 1997 წწ დაბადებულები. 42 კგ** - რამაზ გონგლაძე (ხაშური), **46 კგ** - რამაზ ზოიძე (ბათუმი), **50 კგ** - გიორგი ყაზარაშვილი (კასპი), **54 კგ** - ოგანეს ღარიბიანი (სომხეთი), **58 კგ** - ბექა წიკლაური (ხაშური), **63 კგ** - ტარიელ გაფრინდაშვილი, **69 კგ** - ლევან მურადხანაშვილი, **76 კგ** - ბაქარ შამანაძე (სამივე - თბილისი), **85 კგ** - ლაშა ბოდაველი (დედოფლისწყარო), **100 კგ** - გიორგი მაჭარაშვილი (მცხეთა).

გამარჯვებულებს და პრიზიორებს გადაეცათ საჩუქრები. სპეციალური პრიზი გადაეცა 42 კგ-ში გამარჯვებულ თორნიკე კვინიკაძეს.

**ვასილ ბალახაძე**
ხაშურიდან

*დავით ასპანიძის ფოტო*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული სპორტი

ქართველი ევროლიგაზე

## შენგელია ბარსას და მონტეპასკის დაეჭიდება

### ახალგაზრდა ქართველმა ევროლიგის საგზური მოიპოვა

ევროლიგის 2011-12 წლების სეზონის საკვალიფიკაციო ეტაპი ახალი სისტემით გაიმართა: 16 გუნდი ორად გაიყო. ერთი ნაწილი ვილნიუსში (ლიტვა) გაემგზავრა, მეორე - შარლერუაში (ბელგია). ორივეგან გუნდებმა ბრძოლა მეოთხედფინალიდან დაიწყეს, ჩაატარეს ნახევარფინალი და ფინალი. შარლერუასა და ვილნიუსში გამარჯვებულმა თითო გუნდმა ევროლიგის ჯგუფური ეტაპის საგზური მოიპოვა.

ლიტვაში იყოჩაღა თურქულმა „გალათასარაიმ", რომელმაც ფინალში მასპინძელი „რიტასი" დაამარცხა. ბელგიაში კი გამარჯვება მასპინძელ „შარლერუას" დარჩა და ჩაჯდა გრანდებით სავსე D ჯგუფში: „ბარსელონა" (ესპანეთი), „მონტეპასკი" (იტალია), „უნიქსი" (რუსეთი), „ოლიმპია" (სლოვენია), „პროკომი" (პოლონეთი).

სასიამოვნოა, რომ „შარლერუას" მაისურით ასეთი გუნდების წინააღმდეგ ითამაშებს **თორნიკე შენგელია**, რომელსაც 5 ოქტომბერს 20 წელი შეუსრულდება. იგი ევროლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ბელგიური გუნდის სასტარტო ხუთეულის წევრი იყო, ფინალში ჩეხური „ნიმბურკის" წინააღმდეგ 15 წუთში 6 ქულა (5-დან 2 ორქულიანი, 3-დან 2 საჯარიმო), 4 მოხსნა და 1 დაფარება მოაგროვა. „შარლერუას" გამარჯვებაში 21-ქულიანი წვლილი შეიტანა და მატჩის ბომბარდირი გახდა **კრის ჰილი**.

ბელგიელებმა „ნიმბურკი" პირველივე ტაიმში გატეხეს და საბოლოოდ 79:53 იმარჯვეს. უნდა აღინიშნოს, რომ ჩეხურმა კლუბმა მთელი ენერგია წინა დღეს დახარჯა - რუსული „ხიმკი" 86:79 დაამარცხა.

მეორე ნახევარფინალში „შარლერუამ" გერმანულ „ალბას" აჯობა. ვერ ვიტყვით, იოლი თამაში ჰქონდა - თანაბარ ბრძოლაში გამარჯვებულის ვინაობა ბოლო პერიოდში გაირკვა, „შარლერუამ"



74:63 მოიგო. შენგელიამ გერმანელების წინააღმდეგ 9 წუთში 5 ქულა და თითო პასი-ჩაჭრა მოაგროვა.

ევროლიგის ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩს თორნიკე და მისი თანაგუნდელები 19 ოქტომბერს პოლონეთში „პროკომის" წინააღმდეგ ჩაატარებენ.

ვაჟა სიმონიშვილი

დადიანის მემორიალი

## სეზონი 6 ოქტომბერს გაიხსნება



საქართველოში საკალათბურთო სეზონი ტრადიციულად დუდუ დადიანის მემორიალით გაიხსნება. ცნობილი ქართველი კალათბურთელისა და ფედერაციის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ხსოვნის ტურნირი განახლებულ საკალათბურთო აკადემიის დარბაზში გაიმართება. სპორტის სამინისტროს შენობაში მდებარე დარბაზს გასულ ზაფხულს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა და იგი სრულფასოვნად კეთილმოეწყო. დუდუ დადიანის მემორიალი 6 ოქტომბერს დაიწყება, ხოლო 10 ოქტომბერს ფინალური შეხვედრა გაიმართება.

მემორიალში 7 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, რომლებიც 2 ჯგუფში იქნებიან განაწილებულნი. ტურნირში არ ითამაშებენ თავდაცვის სამინისტროს გუნდი „არმია" და „სოხუმი", რომლებიც ევროტურნირში მონაწილეობენ - „არმია" სლოვენიაში იქნება შეკრებაზე, ხოლო „სოხუმს" 4 და 11 ოქტომბერს ბელარუსის „მინსკთან" საკვალიფიკაციო რაუნდის მატჩები ელის.

დადიანის ხსოვნის ტურნირზე ჯგუფებში გუნდები გასული სუპერლიგის გასული სეზონის რეგულარული ჩემპიონატის შედეგების შესაბამისად განაწილდნენ.

6, 7 და 8 ოქტომბერს გაიმართება ჯგუფური ეტაპის მატჩები, ხოლო 9-ში დასვენების დღეა. 10 ოქტომბერს ჯგუფებში პირველ ადგილზე გასული გუნდები ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს დუდუ დადიანის თასისთვის გაეჯიბრებიან.

დადგინდა მემორიალის კალენდარიც, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ. მანამდე კი შეგახსენებთ, რომ ეს ტურნირი წლეულს მეათედ იმართება. მისი ბოლო 5 გათამაშება რუსთაველმა „ენერჯიმ" მოიგო.

**A ჯგუფი:** თსუ, შსს, სტუ, დინამო

**B ჯგუფი:** ქუთაისი, სამედიცინო, რუსთავი

**კალენდარი**

| | |
|---|---|
| **6 ოქტომბერი** | |
| 11:00 | შსს-დინამო |
| 12:45 | სამედიცინო-რუსთავი |
| 14:30 | თსუ-სტუ |
| **7 ოქტომბერი** | |
| 11:00 | დინამო-სტუ |
| 12:45 | რუსთავი-ქუთაისი |
| 14:30 | სტუ-შსს |
| **8 ოქტომბერი** | |
| 11:00 | სტუ-დინამო |
| 12:45 | შსს-თსუ |
| 14:30 | ქუთაისი-სამედიცინო |
| **10 ოქტომბერი** | |
| 18:00 | ფინალი |

www.gbf.ge

ქართველი იტალიაში

## კანტუს სუპერობამდე ცოტა დააკლდა

შაბათს იტალიაში სუპერთასის მატჩი გაიმართა, რომელშიც **მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუ" ჩემპიონ „მონტეპასკის" დაუპირისპირდა. ვიდრე ამ შეხვედრასა და მასში მანუჩარის მონაგარზე ვიტყოდეთ, ერთ საინტერესო ამბავს გავიხსენებთ.

2003 წელს იტალიის სუპერთასისთვის ერთმანეთის წინაშე წარდგნენ „კანტუ" და „ბენეტონი". მატჩი ამ უკანასკნელის მოედანზე, ტრევიზოში გაიმართა. მკითხველს მოეხსენება, რომ 2003-ში მარკოიშვილი არა „კანტუს", არამედ ფავორიტი „ბენეტონის" ღირსებას იცავდა. სუპერთასის მატჩის მეორე დილას შეხვედრის ანგარიში ინტერნეტში ვნახე, იმდენად დარწმუნებული ვიყავი ბენეტონელთა გამარჯვებაში, რომ ანგარიშს დავხედე, გუნდების თანმიმდევრობას არა და მეგონა, მეტი ქულა „ბენეტონისა" იყო (85:79). დავურეკე მანუჩარს და სუპერთასის მოგება მივულოცე. გაუკვირდა, ეგონა ვეხუმრებოდი...

*- დიდი მადლობა, მაგრამ რომ არ მომიგიაო?!* - თურმე, „ბენეტონს" „კანტუსთან" 79:85 წაეგო.

თითოეულ ქართველ გულშემატკივარს სურდა, იტალიის 2011 წლის სუპერთასიც კანტუელებს მოეგოთ, რადგან წლეულს „კანტუს" ღირსებას მანუჩარი იცავს. ისინი ამჯერედაც ფავორიტებს („მონტეპასკი") ხვდებოდნენ...

თავიდან ყველაფერი კარგად წარიმართა: მარკოიშვილის თანაგუნდელებმა „მონტეპასკის" პირველი პერიოდი 15:12 მოუგეს, ხოლო დიდ შესვენებაზე 8-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ (32:24). კანტუელები სახელოვან მეტოქეს მეოთხე რაუნდის წინაც უსწრებდნენ, მაგრამ ბოლო წუთებზე შედარებით გამოცდილმა სიენელებმა მაინც თავისი გაიტანეს და 73:70 გაიმარჯვეს. „მონტეპასკის" გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი მაკედონიის ნაკრების ამერიკელმა **ბო მაკალებმა** ითამაშა...

მანუჩარ მარკოიშვილმა სუპერთასზე 12 წუთი ითამაშა, 8 ქულა და 1 მოხსნა მოაგროვა. მან 5-დან 4 ორქულიანი ჩააგდო, სამქულიანი არ უსვრია. „კანტუში" ქულები 10 კალათბურთელზე გადანაწილდა. მატჩის ბომბარდირი კი „მონტეპასკის" ლიტველი მეფარე **კშიშტოფ ლავრინოვიჩი** გახდა, რომელმაც 24 წუთში 25 ქულა ჩააგდო.

ვაჟა სიმონიშვილი

რაგბი

**ლიდერის პირველი მარცხი**

უმაღლესი ლიგის XII ტურის შედეგები

ლელო-აია 18:16
არმია-ყოჩები 37:0
ლოკომოტივი-ხარები 20:3
არმაზი-აკადემია 18:12

**12 ტურის შემდეგ**

აია-22, არმია-17, ლელო-12, ლოკომოტივი-12, არმაზი-11, აკადემია-11, ხარები-8, ყოჩები-3 ქულა

# უცხოური ფეხბურთი

შოტლანდია. X ტური

## გლაზგო გლაზგოს შორდება

**აბერდინი-დანფერმლაინი 4:0**

**გოლები:** 1:0 ვერნონი (6), 2:0 ვერნონი (35), 3:0 ფაივი (45), 4:0 ვერნონი (80)

**რეინჯერსი-ჰიბერნიანი 1:0**

**გოლი:** 1:0 ლეფერტი (68)

**კილმარნოკი-სენტ ჯონსტონი 1:2**

**გოლები:** 0:1 სანდაზა (22), 1:1 პასკალი (36), 1:2 შერიდანი (73)

**ინვერნესი-სენტ მირენი 2:1**

**გოლები:** 0:1 მაკოსლენდი (23), 1:1 შინი (31), 2:1 ტეიდი (78)

**დანდი-მოზერუელი 1:3**

**გოლები:** 0:1 ლესლი (14), 0:2 ჰიგდონი (45), 0:3 ჰიგდონი (64-პენ), 1:3 დეილი (77)

**ჰართსი-სელტიკი 2:0**

**გოლები:** 1:0 სკაცელი (58), 2:0 სტივენსონი (81)

**გაძევება:** კომონსი (65-სელტიკი)

„ოლდ ფირმიო" კი გავიძახით და, შოტლანდიის პრემიერლიგა ორი გლაზგოური გუნდის, „რეინჯერსისა" და „სელტიკის" შეჯიბრებად მიგვაჩნია, მაგრამ ცხრილში მათ შორის სხვაობა იზრდება და იზრდება. გუშინ, „სელტიკმა" ედინბურგში „ჰართსთან" 2:0 წააგო. მასპინძელთაგან გოლები **რუდი სკაცელმა** და **რაიან სტივენსონმა** გაიტანეს. აქვე დავძენთ, რომ გლაზგოელები ბოლო 25 წუთის განმავლობაში მოედანზე ერთი კაცით ნაკლებნი იყვნენ - **კრის კომონსი ადრიან მროვეიჩის** წინააღმდეგ უხეშობის გამო გააძევეს. იყო კიდეც გასაძევებელი. აღსანიშნავია, რომ „ჰართსი" ამ გამარჯვების წყალობით მეოთხე ადგილზე გადაბარგდა.

„რეინჯერსმა" კი შაბათს **კაილი ლეფერტის** გოლით შინ „ჰიბერნიანი" დაამარცხა. სხვათა შორის, მასპინძლებმა ამ შეხვედრაში პენალტი ვერ გაიტანეს - **სტივენ უიტეკერმა** ბურთი ძელს გადააცილა. თერთმეტმეტრიანი გოლის ავტორმა ლეფერტიმ მოინადირა, ის სტუმართა მეკარე **გრემ სტეკმა** წააქცია საჯარიმოში. აღსანიშნავია, რომ სხვა მომენტებში სტეკი უბადლო იყო.

ილია ბაბუნაშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეინჯერსი | 10 | 9 | 1 | 0 | 22-3 | 28 |
| 2. მოზერუელი | 10 | 6 | 1 | 3 | 13-13 | 19 |
| 3. სელტიკი | 9 | 6 | 0 | 3 | 18-8 | 18 |
| 5. ჰართსი | 10 | 4 | 3 | 3 | 11-6 | 15 |
| 4. სტ. ჯონსტონი | 10 | 4 | 3 | 3 | 13-10 | 15 |
| 6. სტ. მირენი | 10 | 3 | 3 | 4 | 8-9 | 12 |
| 7. კილმარნოკი | 10 | 2 | 4 | 4 | 12-15 | 10 |
| 8. დანდი | 10 | 2 | 4 | 4 | 14-19 | 10 |
| 9. აბერდინი | 10 | 2 | 3 | 5 | 8-11 | 9 |
| 10. ჰიბერნიანი | 10 | 2 | 3 | 5 | 11-18 | 9 |
| 11. დანფერმლაინი | 9 | 2 | 3 | 4 | 11-20 | 9 |
| 12. ინვერნესი | 10 | 2 | 2 | 6 | 10-19 | 8 |

**ბომბერდირები:** 8 – ნეისმითი (რეინჯერსი); 7 - ო'კონორი (ჰიბერნიანი); 6 - დეილი (დანდი); 5 - ჰეფერნანი (კილმარნოკი); 4 - ფორესტი (სელტიკი), ჰიგდონი (მოზერუელი), ჰუპერი (სელტიკი), იელავიჩი (რეინჯერსი), ლეფერტი (რეინჯერსი), სანდაზა (სენტ ჯონსტონი), შერიდანი (სენტ ჯონსტონი), ვერნონი (აბერდინი), კრეიგი (სენტ ჯონსტონი), კი სუნგ-იენგი (სელტიკი), კირკი (დანფერმლაინი).

ბელგია. ჟუპილერლიგა. IX ტური

| | |
|---|---|
| ვესტერლო-ვარეგემი | 1:1 |
| მონსი-ლოკერენი | 3:3 |
| კორტრიიკი-მეხელენი | 1:0 |
| გენტი-ლეუვენი | 6:1 |
| სერკლი-სტ. ტრუიდენი | 2:2 |
| სტანდარდი-ლიერსი | 2:0 |
| ბეერსხოტი-ბრიუგე | 1:1 |
| გენკი-ანდერლეხტი | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 9 | 6 | 2 | 1 | 15-8 | 20 |
| 2. გენტი | 9 | 6 | 1 | 2 | 22-12 | 19 |
| 3. ბრიუგე | 9 | 5 | 4 | 0 | 18-9 | 19 |
| 4. სერკლი | 9 | 4 | 4 | 1 | 12-9 | 16 |
| 5. სტანდარდი | 9 | 4 | 3 | 2 | 12-10 | 15 |
| 6. კორტრიიკი | 9 | 4 | 2 | 3 | 11-7 | 14 |
| 7. მონსი | 9 | 3 | 4 | 2 | 21-16 | 13 |
| 8. გენკი | 9 | 3 | 4 | 2 | 15-11 | 13 |
| 9. ბეერსხოტი | 9 | 2 | 4 | 3 | 14-14 | 10 |
| 10. ვარეგემი | 9 | 2 | 4 | 3 | 9-13 | 10 |
| 11. ლეუვენი | 9 | 3 | 1 | 5 | 10-16 | 10 |
| 12. მახელენი | 9 | 3 | 1 | 5 | 9-16 | 10 |
| 13. ლოკერენი | 9 | 2 | 3 | 4 | 10-11 | 9 |
| 14. ლიერსი | 9 | 0 | 6 | 3 | 4-8 | 6 |
| 15. ვესტერლო | 9 | 1 | 3 | 5 | 7-16 | 6 |
| 16. სტ. ტრუიდენი | 9 | 0 | 2 | 7 | 14-27 | 2 |

საფრანგეთი. ლიგა 1. IX ტური

**კაენი-ნიცა 1:1**

**გოლები:** 1:0 ფრო (80), 1:1 მულუნგი (90)

**დიჟონი-აიაჩო 1:1**

**გოლები:** 0:1 მოსტეფა (18), 1:1 ბოტეკი (41)

**გაძევება:** პიერაცი (89. აიაჩო)

**ლორიანი-ვალანსიენი 2:0**

**გოლები:** 1:0 კემპბელი (22), 2:0 ჟუფრე (68)

**ნანსი-ევიანი 1:1**

**გოლები:** 1:0 კარაბე (53), 1:1 მონგონგუ (62. პენ.)

**სენტ ეტიენი-ოსერი 1:1**

**გოლები:** 0:1 საჰარი (5), 1:1 ჟილავოგი (38)

**სოშო-ტულუზი 3:0**

**გოლები:** 1:0 მაიგა (9), 2:0 მაიგა (87), 3:0 ბაკამბუ (89)



ხავიერ პასტორე

**ბორდო-მონპელიე 2:2**

**გოლები:** 1:0 დიაბეტე (18), 2:0 სიანი (50), 2:1 ბელჰანდა (88. პენ.), 2:2 ჰილტონი (90)

**გაძევება:** იანგა-მვიბა (80. მონპელიე)

**ლილი-რენი 2:0**

**გოლები:** 1:0 სოვი (7), 2:0 ბალმონი (32)

**მარსელი-ბრესტი 1:1**

**გოლები:** 0:1 პოიე (5), 1:1 ა. აიუ (19)

**პსჟ-ლიონი 2:0**

**გოლები:** 1:0 პასტორე (65), 2:0 ჟალე (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 9 | 6 | 2 | 1 | 16-7 | 20 |
| 2. მონპელიე | 9 | 5 | 2 | 2 | 17-11 | 17 |
| 3. ლიონი | 9 | 5 | 2 | 2 | 14-9 | 17 |
| 4. ტულუზი | 9 | 5 | 2 | 2 | 12-10 | 17 |
| 5. ლილი | 9 | 4 | 4 | 1 | 15-10 | 16 |
| 6. ლორიანი | 9 | 4 | 4 | 1 | 12-7 | 16 |
| 7. რენი | 9 | 4 | 3 | 2 | 18-14 | 15 |
| 8. კაენი | 9 | 4 | 2 | 3 | 13-11 | 14 |
| 9. ოსერი | 9 | 2 | 6 | 1 | 15-11 | 12 |
| 10. სოშო | 9 | 3 | 3 | 3 | 16-19 | 12 |
| 11. დიჟონი | 9 | 3 | 2 | 4 | 8-15 | 11 |
| 12. სტ. ეტიენი | 9 | 2 | 4 | 3 | 8-12 | 10 |
| 13. მარსელი | 9 | 1 | 5 | 3 | 10-12 | 8 |
| 14. ბორდო | 9 | 1 | 5 | 3 | 11-14 | 8 |
| 15. ევიანი | 9 | 1 | 5 | 3 | 9-13 | 8 |
| 16. ნიცა | 9 | 1 | 4 | 4 | 8-10 | 7 |
| 17. ბრესტი | 9 | 0 | 7 | 2 | 7-9 | 7 |
| 18. აიაჩო | 9 | 1 | 4 | 4 | 9-17 | 7 |
| 19. ვალანსიენი | 9 | 1 | 3 | 5 | 9-12 | 6 |
| 20. ნანსი | 9 | 0 | 5 | 4 | 6-10 | 5 |

**ბომბარდირები:** 6 – გომისი (ლიონი), ა. ტრაორე (ოსერი), 5 – გამეირო (პსჟ)

**მომდევნო ტური**

**15 ოქტომბერი:** ოსერი-ლილი, ბრესტი-კაენი, ევიანი-სენტ ეტიენი, ლიონი-ნანსი, მონპელიე-დიჟონი, ტულუზი-მარსელი, ნიცა-ბორდო. **16 ოქტომბერი:** აიაჩო-პსჟ, ვალანსიენი-სოშო, რენი-ლორიანი.

msy.gov.ge

# უცხოური ფეხბურთი

## გერმანია

### რეგიონალლიგა (ჩრ)

VIII ტური

| | |
|---|---|
| კილი-ჰერტა II | 6:0 |
| ჰალეშერი-ვილჰელმსჰაფენი | 2:0 |
| სტ. პაული II-ჰანოვერი II | 3:1 |
| ბერლინერი-მაგდებურგი | 4:2 |
| გერმანია-ლიუბეკი | 0:0 |
| ლაიპციგი-პლაუენი | 1:1 |
| მოისელვიცი-კოტბუსი II | 1:1 |
| მეპენი-ჰამბურგი II | 2:5 |
| ვოლფსბურგი II-ჰაველსე | 1:1 |

### რეგიონალლიგა (სამ)

X ტური

| | |
|---|---|
| მიუნხენი II-ნიურნბერგი II | 3:0 |
| ბაიერნი (ა)-ზონენჰოფი | 2:1 |
| აინტრახტი II-კარლსრუე II | 0:1 |
| ჰოფენჰაიმი II-შტ. კიკერსი | 0:1 |
| ვორმატია-ინგოლშტადტი II | 3:0 |
| კასელი-ჰფიულენდორფი | 1:0 |
| ფრაიბურგი II-მეცინგენი | 1:2 |
| ფრანკფურტი II-ვალდჰოფი | 1:4 |
| ფიურტი II-ბაიერნი II | გადაიდო |

### რეგიონალლიგა (დას)

X ტური

| | |
|---|---|
| ელვერსბერგი-ვიდენბრუკი | 0:0 |
| კიოლნი II-ობერჰაუზენი | 6:3 |
| მაინცი II-შალკე II | 2:3 |
| ფორტუნა (კ)-დორტმუნდი II | 1:1 |
| ბოხუმი II-ვუპერტალი | 4:1 |
| ესენი-კაიზერი II | 2:3 |
| გლადბახი II-ლევერკუზენი II | 1:1 |
| ვერლი-ლოტე | 1:3 |
| კობლენცი-ტრირი | 0:0 |

## საფრანგეთი

### II დივიზიონი

X ტური

| | |
|---|---|
| ამიენი-გინგამი | 0:0 |
| ანჟერსი-არლი | 2:0 |
| კლერმონი-მეცი | 1:0 |
| ისტრი-ლე მანი | 1:2 |
| ლანსი-ლავალი | 0:0 |
| მონაკო-სედანი | 2:2 |
| რეიმსი-შატორუ | 2:0 |
| ტრუა-ტური | 2:1 |
| ჰავრი-ნანტი | 1:1 |
| ბულონი-ბასტია | დღეს |

## ბელგია

### II დივიზიონი

VII ტური

| | |
|---|---|
| ბრიუსელი-აალსტი | 0:2 |
| რუზელარე-ანტვერპენი | 0:3 |
| ტუბიზე-სენტ ნიკლაასი | 1:1 |
| ვაასლანდი-ეუპენი | 0:1 |
| ჰაისტი-ლომელი | 1:1 |
| ოსტენდე-ვიზე | 1:2 |
| ბორინაჟი-შარლერუა | 0:3 |
| ტიენენი-დენდერი | 1:2 |
| ვოლუვე-სტანდარდი (ვ) | 2:0 |

## პორტუგალია

### II დივიზიონი

VI ტური

| | |
|---|---|
| ატლეტიკო-ნავალი | 1:0 |
| პენაფიელი-ესტორილი | 3:1 |
| ავეში-აროკა | 2:0 |
| ოლივეირენსე-მორეირენსე | 2:3 |
| კოვილია-სანტა კლარა | 1:0 |
| ფრეამუნდე-მადეირა | 2:0 |
| პორტიმონენსე-ლეიქსოესი | 2:1 |
| ტროფენსე-ბელენენსესი | 1:0 |

## შოტლანდია

### I დივიზიონი

VIII ტური

| | |
|---|---|
| ჰემილტონი-ფალკირკი | 0:1 |
| ლივინგსტონი-რეითი | 1:1 |
| პარტიკი-მორტონი | 5:0 |
| ქუინი-დანდი | 0:0 |
| როსი-აირი | 4:0 |

### II დივიზიონი

VIII ტური

| | |
|---|---|
| აირდრი-სტენჰაუსმუირი | 5:2 |
| არბროთი-კოუდენბითი | 1:1 |
| ისტ ფაიფი-ფორფარი | 4:3 |
| სტირლინგი-ბრეჩინი | 1:0 |
| დამბარტონი-ალბიონი | გადაიდო |

### III დივიზიონი

VIII ტური

| | |
|---|---|
| ბერვიკი-ანანი | 0:1 |
| ისტ სტირლინგი-ქუინზ პარკი | 1:3 |
| ელჯინი-ალოა | 5:0 |
| მონროუზი-პიტერჰედი | 2:1 |
| სტრანრაერი-კლაიდი | 0:0 |

## ბრაზილია

XXVII ტური

| | |
|---|---|
| ბაია-ავაი | 3:2 |
| ფლუმინენსე-სანტოსი | 3:2 |
| პალმეირასი-ამერიკა | 1:1 |
| ატ. მინეირო-სეარა | 1:1 |
| ატ. პარანაენსე-ინტერნასიონალი | 2:0 |
| ფიგეირენსე-კორიტიბა | 0:0 |
| სან პაულუ-ფლამენგო | 1:2 |
| ვასკო-კორინთიანსი | 2:2 |
| ატ. გოიან-ბოტაფოგო | გვ. დასრულდა |
| გრემიო-კრუზეირო | გვ. დასრულდა |

## ავსტრია

X ტური

| | |
|---|---|
| ვინერი-მატერსბურგი | 1:2 |
| ვაკერი-კაპფენბერგი | 3:1 |
| ადმირა-რაპიდი | 4:3 |
| აუსტრია-ზალცბურგი | 3:2 |
| შტურმი-რიდი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ადმირა | 10 | 6 | 3 | 1 | 23-15 | 21 |
| 2. აუსტრია | 10 | 6 | 2 | 2 | 22-13 | 20 |
| 3. ზალცბურგი | 10 | 5 | 3 | 2 | 16-8 | 18 |
| 4. რაპიდი | 10 | 4 | 3 | 3 | 16-10 | 15 |
| 5. რიდი | 10 | 3 | 4 | 3 | 15-12 | 13 |
| 6. შტურმი | 10 | 3 | 4 | 3 | 15-14 | 13 |
| 7. ტიროლი | 10 | 2 | 5 | 3 | 10-16 | 11 |
| 8. ვინერი | 10 | 2 | 3 | 5 | 8-19 | 9 |
| 9. მატერსბურგი | 10 | 1 | 4 | 5 | 12-17 | 7 |
| 10. კაპფენბერგი | 10 | 2 | 1 | 7 | 10-23 | 7 |

## კვიპროსი

V ტური

| | |
|---|---|
| არისი-აელ | 0:1 |
| ომონია-ერმისი | 2:0 |
| ენოსისი-ანაგენისი | 2:0 |
| ალკი-ანორთოსისი | 1:3 |
| აპოლონი-აპოელ | 0:2 |
| ეთნიკოსი (ა)-ოლიმპიაკოსი | დღეს |
| ნეა სალამისი-აეკ | დღეს |

## დანია

XI ტური

| | |
|---|---|
| სილკებორგი-ოლბორგი | 1:1 |
| ოდენსე-კიოგე | 2:1 |
| ბრონდბიუ-ლუნგბიუ | 1:0 |
| ნორდსილანდი-სონდერიისკი | 1:0 |
| კოპენჰაგენი-აგფ ორჰუსი | 1:1 |
| მიდტიულანდი-ჰორსენსი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოპენჰაგენი | 11 | 9 | 2 | 0 | 21-7 | 29 |
| 2. აგფ ორჰუსი | 11 | 5 | 4 | 2 | 18-12 | 19 |
| 3. ნორდსილანდ | 11 | 6 | 1 | 4 | 15-10 | 19 |
| 4. მიდტიულანდ | 10 | 6 | 0 | 4 | 18-15 | 18 |
| 5. ოდენსე | 11 | 5 | 2 | 4 | 23-22 | 17 |
| 6. ჰორსენსი | 10 | 4 | 4 | 2 | 20-15 | 16 |
| 7. ოლბორგი | 11 | 4 | 4 | 3 | 17-15 | 16 |
| 8. სონდერიისკი | 11 | 3 | 4 | 4 | 12-14 | 13 |
| 9. ბრონდბიუ | 11 | 3 | 3 | 5 | 15-16 | 12 |
| 10. სილკებორგი | 11 | 2 | 4 | 5 | 11-16 | 10 |
| 11. ლუნგბიუ | 11 | 2 | 1 | 8 | 9-19 | 7 |
| 12. კიოგე | 11 | 1 | 1 | 9 | 10-28 | 4 |

### II დივიზიონი

VIII ტური

ბრონსჰოი-ფრედერისია 0:0; ჰობროვიბორგი 1:1; როსკილდე-აკადემისკი 0:1; სკივე-ჰიორინგი 1:3; რანდერსი-ესბერგი 0:0; ნაესტვედი-ბლოხუსი 1:1; ვეილე-ვესტსიელანდი 1:1.

## ფინეთი

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| იუვიასკიულა-კუოპიო | 1:2 |
| იარო-ვაასა | 0:1 |
| ჰონკა-ტურკუ | 1:1 |
| მარიეჰამნი-ჰიკ | 0:2 |
| ინტერი-როვანიემი | დღეს |
| მიუპა-ჰაკა | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰიკ | 28 | 23 | 1 | 4 | 72-18 | 70 |
| 2. ინტერი | 27 | 14 | 7 | 6 | 58-35 | 49 |
| 3. იუვიასკიულა | 28 | 12 | 11 | 5 | 53-42 | 47 |
| 4. ტურკუ | 28 | 12 | 9 | 7 | 44-37 | 45 |
| 5. ჰონკა | 28 | 11 | 11 | 6 | 49-36 | 44 |
| 6. კუოპიო | 28 | 8 | 10 | 10 | 39-48 | 34 |
| 7. ჰაკა | 27 | 9 | 6 | 12 | 31-49 | 33 |
| 8. მარიეჰამნი | 28 | 8 | 6 | 14 | 31-41 | 30 |
| 9. მიუპა | 27 | 8 | 4 | 15 | 28-42 | 28 |
| 10. იარო | 28 | 6 | 9 | 13 | 39-49 | 27 |
| 11. ვაასა | 28 | 5 | 12 | 11 | 24-38 | 27 |
| 12. როვანიემი | 27 | 3 | 8 | 16 | 31-64 | 17 |

### II დივიზიონი

XXIII ტური

ჰამეენლინა-ჰიფკ 0:0; ოპს-ჰოპა 7:0; ვიიკინგიტი-კემი 2:0; ლაჰტი-კოტკეპე 2:0; იიპო-ოულუ 1:1; ჰკ35-კპვ 5:0.

## საბერძნეთი

V ტური

| | |
|---|---|
| ატრომიტოსი-პანაიტოლიკოსი | 2:1 |
| ოფი-ერგოტელისი | 1:0 |
| არისი-ქსანთი | 0:0 |
| იანინა-კერკირა | 2:1 |
| პანიონიოსი-აეკ | 0:1 |
| ოლიმპიაკოსი-პაოკ | 2:1 |
| კავალა-ასტერასი | გადაიდო |
| პანათინაიკ-ოლიმპიაკოსი (ვ) | გადაიდო |

## ისლანდია

XXII ტური

| | |
|---|---|
| ბრეიდაბლიკი-სტიარნანი | 4:3 |
| ფრამი-ვიკინგური | 2:1 |
| ფილკირი-ჰაფნარი | 3:5 |
| კეფლავიკი-ტორი | 2:1 |
| ვალური-რეიკიავიკი | 0:0 |
| ვესტმანაეიარი-გრინდავიკი | 0:2 |

## ბოსნია

VIII ტური

| | |
|---|---|
| ლეოტარი-სელიკი | 0:0 |
| რუდარი-სარაევო | 1:2 |
| ტრავნიკი-სლავია | 3:0 |
| ზვიეზდა-ბორაცი | 2:0 |
| ოლიმპიკი-გაბელა | 0:0 |
| ზრინსკი-ველეჟი | 1:0 |
| შიროკი ბრიეგი-კოზარა | 1:0 |
| ჟელეზნიჩარი-სლობოდა | 4:0 |

## ირლანდია

XXXII ტური

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი-სტ. პატრიკსი | 0:0 |
| დერი-ბრეი | 1:1 |
| უნივერსიტი-დანდალკი | 3:0 |
| სლიგო-გალვეი | 7:1 |
| შემროკი-დროგედა | 4:0 |

### II დივიზიონი

XXIX ტური

კორკი-ფინ ჰარპსი 5:2; მერვუ-ლიმერიკი 0:1; შელბურნი-მონეგანი 1:2; უექსფორდი-ეთლონი 3:3; ლონგფორდი-უოტერფორდი 2:1.

## ნორვეგია

XXV ტური

| | |
|---|---|
| ლილესტრიომი-რუსენბორგი | 2:5 |
| ვიკინგი-ჰაუგესუნდი | 1:1 |
| ბრანი-ვოლერენგა | 1:4 |
| ფრედრიქსტადი-სიოგნდალი | 2:2 |
| ოდ გრენლანდი-სტრიომსგოდსეტი | 1:0 |
| სტაბეკი-სარპსბორგი | 2:0 |
| ტრომსიო-მიოლდე | 0:2 |
| ოლესუნდი-სტარტი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მიოლდე | 24 | 15 | 4 | 5 | 45-32 | 49 |
| 2. რუსენბორგი | 24 | 12 | 6 | 6 | 57-28 | 42 |
| 3. ტრომსიო | 24 | 12 | 6 | 6 | 44-29 | 42 |
| 4. ვოლერენგა | 25 | 12 | 5 | 8 | 34-27 | 41 |
| 5. ბრანი | 25 | 11 | 6 | 8 | 40-40 | 39 |
| 6. ოდ გრენლანდ | 25 | 11 | 5 | 9 | 37-40 | 38 |
| 7. ჰაუგესუნდი | 25 | 11 | 4 | 10 | 44-37 | 37 |
| 8. სტრიომსგოდ | 25 | 10 | 7 | 8 | 35-33 | 37 |
| 9. სტაბეკი | 24 | 11 | 3 | 10 | 41-42 | 36 |
| 10. ვიკინგი | 25 | 8 | 8 | 9 | 27-32 | 32 |
| 11. ლილესტრიომ | 25 | 9 | 4 | 12 | 44-46 | 31 |
| 12. ოლესუნდი | 23 | 9 | 4 | 10 | 25-30 | 31 |
| 13. ფრედრიქსტ | 24 | 8 | 4 | 12 | 30-33 | 28 |
| 14. სიოგნდალი | 25 | 7 | 7 | 11 | 21-28 | 28 |
| 15. სტარტი | 24 | 6 | 2 | 16 | 32-49 | 20 |
| 16. სარპსბორგი | 25 | 4 | 5 | 16 | 26-56 | 17 |

### II დივიზიონი

XXVI ტური

ჰიონეფოსი-ჰამ კამი 1:1; ასკერი-სანდნესი 0:1; ჰიოდი-ბრინი 0:1; მიონდალენი-კონგსვინგერი 2:2; ნილი-რანდაბერგი 3:3; ბოდო გლიმტი-ალტა 0:0; ლოვ ჰამირანჰაიმი 2:5; სანდეფიორდი-სტრიომენი 2:1.

## შვედეთი

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| სირიანსკა-იურგორდენი | 0:0 |
| გიოტებორგი-მიალბიუ | 0:1 |
| აიკ-გაის | 2:1 |
| ელფსბორგი-გეფლე | 3:0 |
| ჰელსინგბორგი-ნორჩოპინგი | 1:1 |
| ჰაკენი-ტრელებორგი | 1:0 |
| კალმარი-მალმიო | 1:2 |
| ერებრო-ჰალმსტადი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰელსინგბორგ | 28 | 18 | 8 | 2 | 54-24 | 62 |
| 2. ელფსბორგი | 28 | 17 | 3 | 8 | 48-30 | 54 |
| 3. აიკ | 28 | 17 | 3 | 8 | 43-25 | 54 |
| 4. ჰაკენი | 27 | 14 | 7 | 6 | 50-27 | 49 |
| 5. გაის | 28 | 14 | 3 | 11 | 44-34 | 45 |
| 6. გიოტებორგი | 28 | 12 | 6 | 10 | 39-33 | 42 |
| 7. მალმიო | 26 | 11 | 9 | 6 | 32-29 | 42 |
| 8. კალმარი | 28 | 11 | 5 | 12 | 33-32 | 38 |
| 9. გეფლე | 28 | 9 | 10 | 9 | 28-38 | 37 |
| 10. ერებრუ | 28 | 11 | 3 | 14 | 34-39 | 36 |
| 11. მიალბიუ | 28 | 10 | 4 | 14 | 29-38 | 34 |
| 12. იურგორდენ | 27 | 9 | 5 | 13 | 32-37 | 32 |
| 13. ნორჩოპინგი | 28 | 8 | 7 | 13 | 30-45 | 31 |
| 14. სირიანსკა | 28 | 8 | 4 | 16 | 27-41 | 28 |
| 15. ტრელებორგ | 28 | 7 | 4 | 17 | 38-59 | 25 |
| 16. ჰალმსტადი | 28 | 3 | 5 | 20 | 23-53 | 14 |

### II დივიზიონი

XXVII ტური

სუნდსვალი-ანგელჰოლმი 6:0; დეგერფორსი-ვარნამო 2:0; ლიუნგსკილევასტერასი 5:0; ასირისკა-ატვიდაბერგი 2:0; ბრაგე-ბრომაპიოკარნა დღეს; ლანდსკრონა-კვიდინგი დღეს; ჰამარბიუ-ფალენბერგსი დღეს.

## შვეიცარია

XI ტური

| | |
|---|---|
| ბაზელი-სერვეტი | 3:0 |
| ქსამაქსი-თუნი | 4:0 |
| სიონი-ლოზანა | 1:0 |
| იანგ ბოიზი-ლუცერნი | 1:0 |
| გრასჰოპერსი-ციურიხი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლუცერნი | 11 | 7 | 3 | 1 | 17-5 | 24 |
| 2. იანგ ბოიზი | 11 | 6 | 3 | 2 | 20-11 | 21 |
| 3. სიონი | 11 | 6 | 2 | 3 | 17-12 | 20 |
| 4. ბაზელი | 11 | 5 | 4 | 2 | 26-13 | 19 |
| 5. თუნი | 11 | 4 | 4 | 3 | 14-13 | 16 |
| 6. ქსამაქსი | 11 | 4 | 3 | 4 | 12-14 | 15 |
| 7. სერვეტი | 11 | 3 | 3 | 5 | 16-20 | 12 |
| 8. ციურიხი | 10 | 3 | 1 | 6 | 16-16 | 10 |
| 9. გრასჰოპერსი | 10 | 2 | 1 | 7 | 8-23 | 7 |
| 10. ლოზანა | 11 | 1 | 2 | 8 | 8-27 | 5 |

### ჩელენჯლიგა

IX ტური

ბილი-ლოკარნო 1:1; ბრიული-ვადუცი 2:3; კიასო-ნიონე 1:0; ეტუალ კარუჟი-სტ. გალენი 1:5; კრინსი-ლუგანო 2:2; ვილი-არაუ 3:2; ვოლენი-დელემონი 1:1; ბელინცონა-ვინტერტური დღეს.

## ლატვია

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| ოლიმპსი-ვენტსპილსი | 1:6 |
| ფკ იურმალა-სკონტო | 1:1 |
| იეგლავა-დაუგავა | 1:2 |
| მეტალურგსი-იურმალა | 6:1 |

## თურქეთი

### II დივიზიონი

IV ტური

| | |
|---|---|
| ახისარი-გაზიანთეპი ბბ | 1:1 |
| გიონგურენი-ელაზიგი | 0:0 |
| რიზე-ქასიმფაშა | 4:2 |
| ბოლუ-ადანა | 1:0 |
| გირესუნი-გიოზთეპე | 0:0 |
| ქართალი-ბუკა | 1:0 |
| ქარსიაქა-ერჩიესი | 0:1 |
| საქარია-კონია | 0:2 |
| დენიზლი-თავსანლი | დღეს |

## უელსი

IX ტური

| | |
|---|---|
| კარმარტენი-ეირბასი | 3:1 |
| ნიუთაუნი-აფან ლიდო | 2:1 |
| პრესტატინი-ლანელი | 0:2 |
| ნიუ სეინტსი-ებერისტვითი | 3:2 |
| პორტ ტელბოტი-ნითი | 1:2 |
| ბალა-ბანგორი | 1:2 |

## ბელარუსი

XI ტური

| | |
|---|---|
| ვიტებსკი-ბელშინა | 0:3 |
| დინამო (ბრ)-დინამო (მნ) | 1:1 |
| მინსკი-ტორპედო | 0:0 |
| დნეპრი-შახტიორი | 0:4 |
| ნემანი-ნაფტანი | 1:0 |
| ბატე-გომელი | 0:0 |

## ბულგარეთი

VIII ტური

| | |
|---|---|
| ბოტევი-ლუდოგორეცი | 0:1 |
| ჩერნო მორე-ჩერნომორეცი | 0:2 |
| მინიორი-ლიტექსი | 2:2 |
| მონტანა-ბეროე | 0:0 |
| ვიდიმა-ლოკომოტივი (პ) | 0:3 |
| სვეტკავიცა-ცსკა | 0:3 |
| ლევსკი-ლოკომოტივი (ს) | 4:0 |
| სლავია-კალიაკრა | დღეს |

## ხორვატია

X ტური

| | |
|---|---|
| ინტერი-ისტრა | 1:1 |
| ზაგრები-რიეკა | 2:1 |
| სიბალია-ლოკომოტივა | 1:0 |
| ოსიეკი-ლუჩკო | 2:2 |
| სპლიტი-ზადარი | 3:1 |
| სლავენი-ვარაჟდინი | 1:0 |
| დინამო-შიბენიკი | 2:1 |
| კარლოვაცი-ჰაიდუკი | 1:1 |

## ჩეხეთი

IX ტური

| | |
|---|---|
| პრშიბრამი-სპარტა | 0:3 |
| ლიბერეცი-დუკლა | 1:2 |
| ვიქტორია-ბოჰემიანსი 1905 | 0:1 |
| სლავია-სიგმა | 1:0 |
| პრადეცი-ბუდეიოვიცე | 0:0 |
| ტეპლიცე-ბოლესლავი | 1:3 |
| პლზენი-ბანიკი | 1:1 |
| სლოვაცკო-იაბლონეცი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტა | 9 | 9 | 0 | 0 | 23-4 | 27 |
| 2. ბოჰემიანსი | 9 | 5 | 2 | 2 | 10-11 | 17 |
| 3. იაბლონეცი | 8 | 5 | 1 | 2 | 24-8 | 16 |
| 4. ლიბერეცი | 9 | 4 | 3 | 2 | 17-12 | 15 |
| 5. პლზენი | 9 | 4 | 3 | 2 | 17-13 | 15 |
| 6. ბოლესლავი | 9 | 4 | 3 | 2 | 13-10 | 15 |
| 7. დუკლა | 9 | 4 | 2 | 3 | 14-10 | 14 |
| 8. სიგმა | 9 | 3 | 4 | 2 | 12-9 | 13 |
| 9. ტეპლიცე | 9 | 4 | 1 | 4 | 10-13 | 13 |
| 10. პრშიბრამი | 9 | 4 | 0 | 5 | 13-16 | 12 |
| 11. სლოვაცკო | 8 | 3 | 2 | 3 | 8-8 | 11 |
| 12. პრადეცი | 9 | 3 | 2 | 4 | 7-10 | 11 |
| 13. სლავია | 9 | 2 | 3 | 4 | 6-13 | 9 |
| 14. ვიქტორია | 9 | 1 | 1 | 7 | 6-16 | 4 |
| 15. ბუდეიოვიცე | 9 | 0 | 3 | 6 | 7-19 | 3 |
| 16. ბანიკი | 9 | 0 | 2 | 7 | 5-20 | 2 |

### II დივიზიონი

IX ტური

იჰლავა-ოპავა 3:1; ბოჰემიანსი-ტრშინეცი 1:2; სოკოლოვი-ვლაშიმი 0:1; ბრნოუსტი 1:4; კარვინა-სლოვანი 0:1; სეზიმოვო-ულინი 2:0; ჩახლავი-ზნოიმო 1:1; მოსტი-სპარტა II 4:2.

## ესტონეთი

XXXII ტური

| | |
|---|---|
| კალიუ-ლევადია | 1:1 |
| ტრანსი-ტამეკა | 4:0 |
| ვილიანდი-კალევი | 3:2 |
| ფლორა-კურესაარე | 2:1 |
| პაიდე-აიაქსი | 4:0 |

## უნგრეთი

XI ტური

| | |
|---|---|
| დიორი-კეჩკემეტი | 4:0 |
| ჰონვედი-პაკსი | 2:3 |
| ვაშაში-უიპეშტი | 3:0 |
| ჰალადაში-შიოფოკი | 2:1 |
| პეჩი-კაპოშვარი | 1:1 |
| ზალაეგერსეგი-ლომბარდ პაპა | 1:1 |
| დებრეცენი-დიოშდიორი | 5:0 |
| ფერენცვაროში-ფეჰერვარი | 0:1 |

## სლოვენია

XIII ტური

| | |
|---|---|
| კოპერი-დომჟალე | 2:1 |
| ოლიმპია-ნაფტა | 1:1 |
| მურა-რუდარი | 0:0 |
| მარიბორი-ტრიგლავი | 2:0 |
| ცელიე-გორიცა | 1:2 |

## ისრაელი

VII ტური

| | |
|---|---|
| ჰაპოელი (ა)-ჰაპოელი (ბ-შ) | 0:2 |
| აშდოდი-ბეითარი | 3:0 |
| ჰაპოელი (ფ-თ)-ჰაპოელი (ა) | 0:0 |
| ირონი (რ-ა)-ირონი (ქ-შ) | 0:1 |
| ირონი (რ-ლ)-ბნეი იეჰუდა | 0:1 |
| ბნეი სახნინი-მაკაბი (ფ-თ) | 3:0 |
| მაკაბი (ნ)-ჰაპოელი (თ-ა) | დღეს |
| მაკაბი (თ-ა)-მაკაბი (ჰ) | დღეს |

## ლიტვა

XXIX ტური

| | |
|---|---|
| დაინავა-კრუოია | 2:2 |
| კაუნასი-კლაიპედა | 5:1 |
| ატლანტასი-მაჟეიკიაი | 2:3 |
| სუდუვა-შიაულიაი | 0:0 |
| ჟალგირისი-ტაურასი | 1:0 |
| ეკრანასი-ბანგა | 1:0 |

## მოლდოვა

XI ტური

| | |
|---|---|
| ცსკა-ოლიმპია | 0:0 |
| აკადემია-დაჩია | 0:3 |
| მილსამი-კოსტულენი | 5:1 |
| ნისტრუ-შერიფი | 0:3 |
| ტირასპოლი-ისკრა | 0:1 |
| ზიმბრუ-სფინტული | 2:0 |

## პოლონეთი

IX ტური

| | |
|---|---|
| ლკს-პოდბესკიძე | 2:1 |
| ლეჩია-ბელხატოვი | 0:0 |
| რუხი-ვიძევი | 3:1 |
| იაგელონია-ზაგლებე | 3:1 |
| კრაკოვია-ლეხი | 0:3 |
| შლიონსკი-პოლონია | 4:0 |
| ლეგია-ვისლა | 2:0 |
| კორონა-გურნიკი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შლიონსკი | 9 | 6 | 1 | 2 | 18-7 | 19 |
| 2. ლეხი | 9 | 5 | 1 | 3 | 21-8 | 16 |
| 3. კორონა | 8 | 4 | 4 | 0 | 11-7 | 16 |
| 4. რუხი | 9 | 5 | 1 | 3 | 13-12 | 16 |
| 5. ლეგია | 8 | 5 | 0 | 3 | 16-9 | 15 |
| 6. ვისლა | 9 | 4 | 3 | 2 | 9-7 | 15 |
| 7. ვიძევი | 9 | 3 | 5 | 1 | 10-8 | 14 |
| 8. იაგელონია | 9 | 4 | 2 | 3 | 16-17 | 14 |
| 9. პოლონია | 9 | 4 | 2 | 3 | 10-11 | 14 |
| 10. გურნიკი | 8 | 2 | 3 | 3 | 8-10 | 9 |
| 11. ლეჩია | 9 | 2 | 3 | 4 | 5-7 | 9 |
| 12. პოდბესკიძე | 9 | 2 | 3 | 4 | 8-15 | 9 |
| 13. ლკს | 9 | 2 | 2 | 5 | 6-18 | 8 |
| 14. ზაგლებე | 8 | 1 | 4 | 3 | 6-9 | 7 |
| 15. ბელხატოვი | 9 | 1 | 2 | 6 | 8-12 | 5 |
| 16. კრაკოვია | 9 | 1 | 2 | 6 | 6-14 | 5 |

## რუმინეთი

IX ტური

| | |
|---|---|
| ასტრა-სპორტული | 2:2 |
| ტარგუ-პანდური | 3:3 |
| გაზ მეთანი-უნივერსიტატეა | 2:5 |
| დინამო-კონკორდია | 2:0 |
| ვოინტა-რაპიდი | 0:1 |
| კლუჟი-პეტროლული | 1:1 |
| სტიაუა-ოცელული | 2:1 |
| ბრაშოვი-ჩახლაული | დღეს |
| მოივენი-ვასლუი | დღეს |

## რუსეთი

XXVI ტური

| | |
|---|---|
| ტერეკი-ნალჩიკი | 0:1 |
| როსტოვი-კრილია | 1:0 |
| ვოლგა-ამკარი | 0:0 |
| დინამო-კრასნოდარი | 2:1 |
| ტომი-რუბინი | 0:2 |
| სპარტაკი-ზენიტი | 2:2 |
| ყუბანი-ცსკა | 0:0 |
| ანჟი-ლოკომოტივი | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზენიტი | 26 | 15 | 8 | 3 | 52-23 | 53 |
| 2. ცსკა | 26 | 14 | 9 | 3 | 46-23 | 51 |
| 3. დინამო | 26 | 15 | 5 | 6 | 48-27 | 50 |
| 4. ლოკომოტივ | 26 | 13 | 7 | 6 | 43-25 | 46 |
| 5. სპარტაკი | 26 | 13 | 7 | 6 | 40-29 | 46 |
| 6. ყუბანი | 26 | 13 | 5 | 8 | 33-22 | 44 |
| 7. რუბინი | 26 | 11 | 9 | 6 | 34-25 | 42 |
| 8. ანჟი | 26 | 11 | 8 | 7 | 29-24 | 41 |
| 9. კრასნოდარი | 26 | 8 | 8 | 10 | 34-39 | 32 |
| 10. როსტოვი | 26 | 7 | 7 | 12 | 27-38 | 28 |
| 11. ვოლგა | 26 | 7 | 3 | 16 | 23-35 | 24 |
| 12. ტერეკი | 26 | 6 | 6 | 14 | 23-41 | 24 |
| 13. ამკარი | 26 | 5 | 9 | 12 | 15-33 | 24 |
| 14. კრილია | 26 | 5 | 7 | 14 | 17-38 | 22 |
| 15. ნალჩიკი | 26 | 4 | 8 | 14 | 19-32 | 20 |
| 16. ტომი | 26 | 4 | 8 | 14 | 18-47 | 20 |

## სერბეთი

VII ტური

| | |
|---|---|
| რადი-ჰაიდუკი | 3:0 |
| ბორაცი-მეტალაკი | 0:0 |
| ბორჩა-ბასკ | 2:2 |
| სპარტაკი-იაგოდინა | 0:4 |
| სმედერევო-სევოინო | 1:2 |
| ცრვენა ზვეზდა-რადნიჩკი | 1:1 |
| ვოივოდინა-პარტიზანი | 1:2 |
| იავორი-ოფკ | 0:0 |

## სლოვაკეთი

XI ტური

| | |
|---|---|
| ნიტრა-ტრნავა | 1:3 |
| კოშიცე-სენიცა | 0:1 |
| რუჟომბეროკი-ბისტრიცა | 2:0 |
| მორავცე-ტრენჩინი | 3:0 |
| დ. სტრედა-ჟილინა | 2:1 |
| ტატრანი-სლოვანი | 0:1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

XI ტური

| | |
|---|---|
| დნიპრო-ოლექსანდრია | 3:1 |
| კრივბასი-ობოლონი | 1:0 |
| ჩერნომორეცი-ტავრია | 1:0 |
| ვოლინი-კარპატი | 0:2 |
| ილიჩივეცი-მეტალისტი | 0:1 |
| შახტარი-ზორია | 4:1 |
| ვორსკლა-დინამო | 1:2 |
| არსენალი-მეტალურგი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შახტარი | 12 | 9 | 3 | 0 | 29-7 | 30 |
| 2. დინამო | 12 | 9 | 3 | 0 | 24-5 | 30 |
| 3. მეტალისტი | 12 | 8 | 4 | 0 | 19-8 | 28 |
| 4. კრივბასი | 12 | 6 | 2 | 4 | 11-10 | 20 |
| 5. არსენალი | 12 | 5 | 5 | 2 | 16-9 | 20 |
| 6. ვორსკლა | 12 | 5 | 2 | 5 | 15-14 | 17 |
| 7. ტავრია | 12 | 4 | 5 | 3 | 17-14 | 17 |
| 8. მეტალურგი | 12 | 5 | 1 | 6 | 12-15 | 16 |
| 9. დნიპრო | 12 | 4 | 3 | 5 | 18-18 | 15 |
| 10. ვოლინი | 12 | 3 | 3 | 6 | 12-22 | 12 |
| 11. ზორია | 12 | 3 | 2 | 7 | 12-20 | 11 |
| 12. ჩერნომორეცი | 12 | 2 | 5 | 5 | 10-15 | 11 |
| 13. კარპატი | 12 | 2 | 4 | 6 | 10-15 | 10 |
| 14. ოლექსანდრია | 12 | 2 | 4 | 6 | 9-20 | 10 |
| 15. ილიჩივეცი | 12 | 2 | 3 | 7 | 12-21 | 9 |
| 16. ობოლონი | 12 | 0 | 5 | 7 | 4-17 | 5 |

## ჩრ. ირლანდია

X ტური

| | |
|---|---|
| ბალიმენა-დუნგანონი | 1:1 |
| კოლრეინი-დონეგალი | 2:0 |
| გლენავონი-გლენტორანი | 1:3 |
| ლინფილდი-კლიფტონვილი | 4:1 |
| ლისბურნი-კრუზეიდერსი | 1:2 |
| პორტდაუნი-კერიკი | 3:0 |

## არგენტინა

X ტური

| | |
|---|---|
| ბელგრანო-არგ. ხუნიორსი | 1:2 |
| ატლ. რაფაელა-ლანუსი | 2:1 |
| ველესი-სან მარტინი | 1:0 |
| ოლ ბოისი-ოლიმპო | 1:2 |
| რასინგი-ინდეპენდიენტე | 1:1 |
| ბოკა-ტიგრე | გვ. დასრულდა |
| კოლონი-ესტუდიანტესი | გვ. დასრულდა |
| ბანფილდი-ნიუელსი | დღეს |
| გოდოი-სან ლორენსო | დღეს |
| არსენალი-უნიონი | დღეს |

## ჩილე

XI ტური

| | |
|---|---|
| კობრელოა-უნ. კატოლიკა | 2:0 |
| უნ. კონსეპსიონი-კობრესალი | 0:0 |
| უნ. დე ჩილე-დეპორტესი | 2:2 |
| ლა სერენა-კოლო კოლო | 4:0 |
| ს. მორნინგი-ატ. ნუბლენსე | 1:3 |
| სან ფელიპე-ს. უონდერერსი | 0:2 |
| ლა კალერა-პალესტინო | 3:2 |
| ესპანიოლა-ო'ჰიგინსი | გვ. დასრულდა |
| აუდაქსი-უაჩიპატო | დღეს |

## ეკვადორი

XII ტური

| | |
|---|---|
| ლიგა დე ლოხა-მანტა | 2:0 |
| დეპ. კუენკა-ბარსელონა | 0:0 |
| ესპოლი-ნასიონალი | 2:1 |
| ემელეკი-ინდეპენდიენტე | 2:0 |
| დეპ. კიტო-ლიგა დე კიტო | 1:1 |
| ოლმედო-იმბაბურა | 2:1 |

## ურუგვაი

VIII ტური

| | |
|---|---|
| ფენიქსი-მონტევიდეო | 3:3 |
| ლივერპული-რამპლა | 0:1 |
| სერიტო-ნასიონალი | 0:3 |
| ელ ტანკე-დანუბიო | 1:1 |
| სერო ლარგო-ბელა ვისტა | 1:0 |
| სერო-რივერ პლეიტი | 2:0 |
| რასინგი-დეფენსორი | 0:3 |
| რენტისტასი-პენიაროლი | 0:2 |

## მექსიკა

XI ტური

| | |
|---|---|
| ხაგუარესი-ატლასი | 1:1 |
| პუმასი-ამერიკა | 1:0 |
| მორელია-ტეკოსი | 0:2 |
| გვადალახარა-კერეტარო | 0:1 |
| მონტერეი-ტოლუკა | 0:0 |
| სანტოსი-კრუს ასული | 1:0 |
| სან ლუისი-პუებლა | 2:1 |
| ატლანტე-პაჩუკა | 0:1 |
| ტიხუანა-ტიგრესი | 1:1 |

## აშშ

| | |
|---|---|
| ჰიუსტონი-ჩიკაგო | 1:1 |
| ნიუ ინგლენდი-სიეტლი | 1:2 |
| ტორონტო-ნიუ იორკი | 1:1 |
| კოლორადო-დალასი | 1:0 |
| ლოს ანჯელესი-სოლტ ლეიკი | 2:1 |
| სან ხოსე-კანზასი | 1:1 |
| კოლამბუსი-დი სი იუნაიტედი | 2:1 |
| ვანკუვერი-პორტლენდი | გვ. დასრულდა |
| ჩივასი-ფილადელფია | გვ. დასრულდა |

## იაპონია

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| კოფუ-კავასაკი | 0:1 |
| იამაგატა-ივატა | 1:1 |
| ჰიროშიმა-კობე | 1:0 |
| ნიიგატა-იოკოჰამა | 4:2 |
| ომიია-ფუკუოკა | 0:2 |
| კაშიმა-კაშივა | 0:1 |
| შიმიცუ-ნაგოია | 2:0 |
| ვეგალტა-სერეზო | 2:1 |
| გამბა-ურავა | 1:0 |

გერმანია. ბუნდესლიგა. VIII ტური

# ბაიერნი დამუხრუჭდა!

## დორტმუნდმა მარსელის ჯავრი აუგსბურგზე ამოიყარა

„ბაიერნი“ „ჰოფენჰაიმთან“ დამუხრუჭდა, მაგრამ ეს მიუნხენში არავის სწყენია - ამდენი კარგი მატჩისა და გამარჯვებების შემდეგ, „ჰოფესთან“ 0:0 ბავარიელთათვის მისაღები შედეგი აღმოჩნდა. მატჩის შემდეგ და მეორე დღეს, გერმანელი ექსპერტები და მიმომხილველები „ბაიერნის“ ვერმოგებაზე მეტად, ყურადღებას **არიენ რობენზე** ამახვილებდნენ. 27 წლის ჰოლანდიელი გარემარბი საფინალო სასტვენის შემდეგ პირველი ფეხბურთელი იყო, რომელიც გასახდელისკენ გაიქცა, კომენტარზე კი ყველას უარი უთხრა. რეკორდმაისტერის პრესმდივანმა **მარკუს ჰიორვიკმა** რობენი ვერაფრით დაიყოლია სატელევიზიო ინტერვიუზე – არიენს „ჰოფენჰაიმთან“ მატჩის შემდეგ სიტყვაც არ უთქვამს.

თამაშის დროს რობენი 45 წუთის მანძილზე სათადარიგოთა სკამზე იჯდა, მოედანზე შესასვლელად მზადება კი 35-ე წუთიდან დაიწყო. მოგვიანებით **იუპ ჰაინკესმა** ის მართლაც შეუშვა მოედანზე, ოღონდ იმის გამო, რომ **ფრანკ რიბერი** დაშავდა. ჰოლანდიელის განრისხების მიზეზიც სწორედ ეს იყო: ჰაინკესი მას არ ათამაშებს და თუ ათამაშებს, მხოლოდ რამდენიმე წუთით, „ჰოფესთან“ კი მთელი მეორე ტაიმი მარტო იმიტომ მისცა, რომ რიბერიმ ტრავმა მიიღო. ალბათ ამიტომაც იყო, რომ არიენს მოედანზე სახეირო არაფერი გაუკეთებია - მონდომება საერთოდ არ ეტყობოდა. თვითონ განსაჯეთ: სხვა დროს ძალიან აქტიური რობენი ბურთს მხოლოდ 19-ჯერ (!) შეეხო, არც ერთი ორთაბრძოლა არ მოუგია და კარისკენაც მხოლოდ ერთხელ დაარტყა. და ეს ყველაფერი მთელი 45 წუთის მანძილზე!

შუა კვირაში „ბაიერნმა“ „მანჩესტერ სიტის“ რობენის გარეშე მოუგო (2:0) – იმ შეხვედრაში „დონ იუპმა“ არიენი მოედანზე მხოლოდ 90-ე წუთზეღა შეუშვა. ჰაინკესი წინა ხაზში **მიულერ კროოს**-რიბერის ტრიოს ანიჭებს უპირატესობას: კროოსი და მიულერი შესანიშნავ ტანდემს ქმნიან, რიბერი კი სულაც გრანდიოზულ ფორმაშია. „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** ამბობს, ვინ ითამაშებს ძირითად შემადგენლობაში, ეს მხოლოდ მწვრთნელის გადასაწყვეტია და ფეხბურთელებმა ჰაინკესის გადაწყვეტილებები უსიტყვოდ უნდა მიიღონო. რობენმა „ჰოფენჰაიმთან“ სკამზე ჯდომაც უსიტყვოდ მიიღო, მაგრამ ეტყობა, რომ ამ ყველაფერს დიდხანს აღარ მოითმენს.

მიუხედავად რობენის უხასიათობისა და ორი ქულის დაკარგვისა, ბავარიელებს მაინც საზეიმოდ ჰქონდათ საქმე: პირველ ადგილზე ხომ დარჩნენ და დარჩნენ, ამასთან, **მანუელ ნოიერმა** კარი ისევ მშრალად შეინახა და ბუნდესლიგაში ახლა უკვე 658-წუთიანი უგოლო სერია აქვს, რითაც რეკორდსმენთა რეიტინგში მე-4 ადგილზე ალზევდა (ეს იყო „ბაიერნის“ ზედიზედ მე-11 ოფიციალური მატჩი გაშვებული გოლის გარეშე) და რაც მთავარია, კვირას ბაიერნელებს ოქტობერფესტზე მაგრად უნდა ექეიფათ. რაც შეეხება „ჰოფენჰაიმს“ - „სოფლელების გუნდი“ მეორეა ამ სეზონში, რომელმაც რეკორდმაისტერს ქულები წაართვა. პირველი, მიონხენგლადბახის „ბორუსია“ იყო...

...რომელიც შაბათს, ფრაიბურგში მოგების შემთხვევაში სულაც მეორე ადგილზე გადაინაცვლებდა და „ბაიერნს“ ქულებით გაუთანაბრდებოდა, მაგრამ **ლუსიენ ფავრის** ბიჭებს თავს ზემოთ ძალა აღარ ეყოთ და ბრაისგაუში 0:1 დამარცხდნენ. არადა, „ფრაიბურგი“ ის გუნდია, რომელსაც განვლილ 10 ტურში ყველაზე მეტი, 22 გოლი აქვს გაშვებული. მიონხენგლადბახელთაგან ყველაზე მეტი საგოლე მომენტი გუნდის ახალგაზრდა ლიდერ **მარკო როისს** ჰქონდა, რომელმაც **იოახიმ ლიოვის** თვალწინ გოლის გატანა ვერაფრით შეძლო.

სამაგიეროდ, მოიგო დორტმუნდის „ბორუსიამ“ - მარსელში შერცხვენილმა ჩემპიონებმა ბუნდესლიგის დებიუტანტ „აუგსბურგს“ „კუდით ქვა ასროლინეს“ - 4:0. იყო თუ არა ეს გამარჯვება „დორტმუნდისთვის“ წნეხისგან განმათავისუფლებელი, ამას დრო გვიჩვენებს, დღეს კი უნდა ვთქვათ, რომ ჩემპიონმა შვებით ამოისუნთქა. აუგსბურგელებმა დორტმუნდში ნორმალურად თამაში მხოლოდ პირველ 25 წუთში შეძლეს, მერე კი ფეხბურთი აღარ (ველარ) უთამაშიათ. **რობერტ ლევანდოვსკიმ** ჰეთ-თრიკი შეასრულა, ერთი გოლი კი **მარიო გიოტცეს** ანგარიშზეა. *„ეს იყო ჩემი პირველი ჰეთ-თრიკი ბუნდესლიგაში და ცხადია, ბედნიერი ვარ. ბოლო დროს გოლები ვერ გამქონდა და მიხარია, რომ ბოლოს და ბოლოს ნავსი გავტეხე. ეს გამარჯვება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია,“* - განაცხადა პოლონელმა თავდამსხმელმა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოგებით „დორტმუნდმა“ საუკეთესო ექვსეულში შეაღწია, BVB-ს ბოსი **ჰანს-იოახიმ ვატცკე** ჩემპიონობის შენარჩუნებაზე აღარ ფიქრობს – „ვერცხლის სინი“ წელს „ბაიერნს“ დარჩება, ამას წყალი არ გაუვაო.

ფეხბურთი შვეიცარიელებს არ მოუგონიათ, მაგრამ ვინც „ლევერკუზენისა“ და „ვოლფსბურგის“ მატჩს უყურა, ფეხბურთის კი მანამდე არაფერი გაეგებოდა, აუცილებლად იფიქრებდა, რომ სწორედ შვეიცარიელებმა მოიგონეს, რადგან **ერენ დერდიოკმა** „მგლებს“ ისეთი გოლი გაუტანა, ავ თვალს არ დაენახვებოდა. „ვოლფსბურგის“ მთავარმა მწვრთნელმა **ფელიქს მაგათმა** თქვა, ასეთ გოლს 10 წელიწადში ერთხელ ვნახულობთ ხოლმეო. „ფარმაცევტების“ შვეიცარიელმა თავდამსხმელმა ბურთი 65-ე წუთზე ჰაერიდან ჩამოხსნა, სწრაფად მოტრიალდა და თანამემამულე **დიეგო ბენალიო** ულამაზესი მაკრატელა დარტყმით დაამწუხრა. *„მატჩის შემდეგ ბენალიომ მითხრა, ასეთი გოლი პარასკევს უელსთან მატჩშიც უნდა გაიტანო, თორემ მოგკლავო. შევეცდები!“* - ბედნიერი იყო დერდიოკი.



ნიურნბერგში უხვგოლიანი, ძალიან საინტერესო მატჩი შედგა. ფრანკები „მაინცს“ 2:0-ს უგებდნენ და ანგარიშის შენარჩუნებაზე ზრუნვა რომ დაიწყეს, **თომას ტუხელის** გუნდმა **დიტერ ჰეკინგის** სამწყსო სამაგალითოდ დასაჯა: მაინცელებმა სამი გოლი გაიტანეს და წინ გავიდნენ. თუმცა ტუხელის გუნდს გამარჯვება მაინც არ დასცალდა: შეხვედრის მიწურულს **ტომას პეკჰარტმა** წონასწორობა აღადგინა და ტაბლოზე ნაომარი 3:3 დააფიქსირა. **ლევან კობიაშვილის** „ჰერტამ“ კი ბოლო დროს ძალიან კარგ ფორმაში მყოფი „კიოლნი“ 3:0 დაამარცხა, რითაც ბერლინელები გასავარდნ ზონას უკვე რვაქულიან დისტანციაზე მოშორდნენ. „თხების“ მთავარ გმირ **ლუკას პოდოლსკის** ამ შეხვედრაში სახეირო არაფერი გაუკეთებია და ჩვენი გერმანელი კოლეგებისგან შეფასებაც შესაბამისი დაიმსახურა – 5-იანი „ბილდისგან“. პარასკევს კი, „შტუტგარტმა“ კაიზერსლაუტერნიდან სამი ქულა წაიღო – შვაბებმა „ეშმაკები“ **კაკაუსა და ხალიდ ბულარუზის** გოლებით დაამარცხეს და კაიზერსლაუტერნელები გადარჩენაზე ბრძოლის შესახებ სერიოზულად აალაპარაკეს.

„ბაიერნის“ წაფორხილებით სარგებლის ნახვა, „გლადბახთან“ ერთად „ვერდერსაც“ შეეძლო, მაგრამ რეკორდმაისტერთან გათანაბრება ვერც ბრემენელებმა მოახერხეს. „ჰანოვერი“-„ვერდერი“ კვირას **მოჰამედ აბდელაუს** გოლით დაიწყო, რომელმაც **ბარგფრედეს** ბრალეულობით დანიშნული პენალტი გაიტანა და ანგარიში უკვე მეორე წუთზე გახსნა. გაშვებული გოლის შემდეგ ბრემენელები „წითლების“ საჯარიმოს მიასკდნენ, მაგრამ გაიტანეს კი არა, მალე მეორე მიიღეს: აბდელაუმ ორთაბრძოლაში **პრიოდლი** დაჯაბნა და **მილიტცს** შანსი არც ამჯერად დაუტოვა – 2:0. რამდენიმე წამში „ჰანოვერს“ მესამედ შეეძლო ბრემენელთა დამწუხრება, მაგრამ **იან შლაუდრაფმა** მილიტცის კარს ახლო მანძილიდან ააცილა – „ვერდერს“ გაუმართლა. პირველი ტაიმის მიწურულს ბრემენელები თამაშში მაინც დაბრუნდნენ – **მარკო არნაუტოვიჩის** გოლით. მეორე ნახევარი „ვერდერის“ იდეალური შანსით დაიწყო: **ჰანტის** შესანიშნავი პასით **პისარო ცილერთან** პირისპირ დარჩა, მოატყუა, ბურთი კი ძელს მოარტყა, თუმცა ზუსტად სამ წამში „ვერდერის“ კარის ძელიც შეზანზარდა: **პანდერის** საჯარიმო დარტყმით. ბრემენელები მედგრად უტევდნენ და ანგარიშის გასათანაბრებლად ყველა ღონეს ხმარობდნენ, გოლი კი ისევ ჰანოვერელებმა გაიტანეს და თანაც, ისევ აბდელაუმ: ბარგფრედე მსაჯს თამაშგარე მდგომარეობაზე ანიშნებდა, მაგრამ ოფსაიტი არ ყოფილა და „წითლების“ ნორვეგიელმა გოლეადორმა ამით ისარგებლა. 78-ე წუთზე მსაჯმა არნაუტოვიჩი მოედნიდან გააძევა – ავსტრიელი **პინტუს** განგებ ეუხეშა და იმიტომ და მიუხედავად კაცნაკლულობისა, „ვერდერმა“ მაინც შეძლო ერთი გოლის გატანა (პისარო), მაგრამ ეს იყო და ეს, ჰანოვერელებმა ბრემენელებს მეტი აღარაფერი გააბედინეს.

კვირის მეორე მატჩში, რომელიც მთლიანად ტურის ცენტრალური შეხვედრა იყო, „შალკემ“ „ჰამბურგი“ მისსავე მოედანზე 2:1 დაამარცხა. ამრიგად, გელზენკირხენული კლუბის ახალი მწვრთნელის, **ჰუუბ სტევენსის** ბუნდესლიგური დებიუტიც წარმატებული გამოდგა და ჰოლანდიელი სპეციალისტი ამისათვის თანამემამულე თავდამსხმელ **კლაას-იან ჰუნტელაარს** უნდა უმადლოდეს, რომელმაც „ჰამბურგს“ დუბლი შეუსრულა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

### მომდევნო ტური

14 ოქტომბერი. ვერდერი-ბორუსია (დ)

15 ოქტომბერი. ბაიერნი-ჰერტა, მაინცი-აუგსბურგი, შტუტგარტი-ჰოფენჰაიმი, ვოლფსბურგი-ნიურნბერგი, ბორუსია (მ)-ლევერკუზენი, შალკე-კაიზერსლაუტერნი.

16 ოქტომბერი. ფრაიბურგი-ჰამბურგი, კიოლნი-ჰანოვერი.

## თურქეთი. სუპერლიგა

V ტური

**ბურსა–გენჩლერბირლიგი 4:0**

გოლები: 1:0 იპეკი (44), 2:0 იპეკი (68), 3:0 სტეპანოვი (72), 4:0 ბაჰადირი (83)

**ქარაბიუქი–ორდუ 1:2**

გოლები: 0:1 სტანჩუ (21), 0:2 თექე (24), 1:2 ბატდალი (89)

**ფენერბაჰჩე–ბუიუქშეჰირი 4:2**

გოლები: 1:0 შტოხი (47), 2:0 ალექსი (59), 3:0 გიონიული (70), 3:1 ვებო (79), 3:2 ვებო (87), 4:2 კრისტიანი (90)

**ანთალია–სივასი 2:2**

გოლები: 0:1 გროსიცკი (6), 1:1 ათესი (29), 2:1 ათესი (60), 2:2 ენერამო (79)

**სამსუნი–მანისა 1:2**

გოლები: 0:1 მ. ერდოღანი (8-პენ), 0:2 ბარისი (28), 1:2 ხუბუტია (39)

**ანკარაგიუჯუ–გალათასარაი 0:3**

გოლები: 0:1 რაინოხი (12-საკ. კარში), 0:2 კაზიმ-რიჩარდსი (20), 0:3 ბაროში (85-პენ)

**ესქიშეჰირი–ტრაბზონი 0:2**

გოლები: 0:1 ბ. ილმაზი (55), 0:2 ბ. ილმაზი (57)

**ქაისერი–მერსინი 2:2**

გოლები: 1:0 უნალი (22), 1:1 ნობრე (23), 1:2 ნობრე (43), 2:2 უნალი (73)

**გაზიანთეპი-ბეშიქთაში** დღეს

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფენერბაჰჩე | 5 | 4 | 1 | 0 | 10-4 | 13 |
| 2. გალათასარაი | 5 | 3 | 1 | 1 | 9-4 | 10 |
| 3. ბუიუქშეჰირი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-5 | 10 |
| 4. მერსინი | 5 | 3 | 1 | 1 | 9-7 | 10 |
| 5. ბურსა | 5 | 3 | 0 | 2 | 11-6 | 9 |
| 6. ბეშიქთაში | 4 | 3 | 0 | 1 | 7-4 | 9 |
| 7. ტრაბზონი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-4 | 8 |
| 8. ორდუ | 5 | 2 | 2 | 1 | 4-3 | 8 |
| 9. ესქიშეჰირი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-5 | 7 |
| 10. ანთალია | 5 | 2 | 1 | 2 | 5-5 | 7 |
| 11. სივასი | 5 | 2 | 1 | 2 | 8-9 | 7 |
| 12. სამსუნი | 5 | 1 | 2 | 2 | 6-8 | 5 |
| 13. მანისა | 5 | 1 | 2 | 2 | 4-6 | 5 |
| 14. გენჩლერბ. | 5 | 1 | 2 | 2 | 5-9 | 5 |
| 15. ქარაბიუქი | 5 | 1 | 1 | 3 | 6-9 | 4 |
| 16. ქაისერი | 5 | 1 | 1 | 3 | 4-8 | 4 |
| 17. ანკარაგიუჯუ | 5 | 0 | 1 | 4 | 4-11 | 1 |
| 18. გაზიანთეპი | 4 | 0 | 0 | 4 | 2-8 | 0 |

**ბომბარდირები:** 5 – ვებო (ბუიუქშეჰირი), ბ. ილმაზი (ტრაბზონი); 3 – ათესი (ანთალია), ალექსი (ფენერბაჰჩე), ნობრე (მერსინი), იპეკი (ბურსა), ფელიპე მელო (გალათასარაი), რასმუსენი (სივასი).

**კაიზერსლაუტ.-შტუტგარტი 0:2**

**კაიზერსლაუტერნი (4-2-2-2):** ტრაპი – დიკი, ამედიკი, როდნი, იესენი – კირხი (77. ვერმუთი), პეცოსი (61. ფორტუნისი) – სუკუტა-პასუ, ტიფერტი – კუემაა, შეხტერი.

**შტუტგარტი (4-2-2-2):** ულრაიხი – ბულარუზი, ტასკი, მასა, ბოკა – კვისტი, ჰაინალი (89. გენტნერი) – ჰარნიკი, ოკაზაკი (72. გებჰარტი) – პოგრებნიაკი, კაკაუ (91. ტრაორე).

**გოლები:** 0:1 კაკაუ (52), 0:2 ბულარუზი (69)

**გაფრთხილება:** დიკი, შეხტერი - გებჰარტი

**კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 16-16; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 22(3)-11(5); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 46 186

**ბორუსია (დ)–აუგსბურგი 4:0**

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი – პიშჩეკი, ფელიპე სანტანა, ჰუმელსი, ლიოვე – ს. ბენდერი, გიუნდოგანი (68. და სილვა) – ბლაშჩიკოვსკი (62. ბარიოსი), გიოტცე (79. გროსკროიტცი), პერიშიჩი – ლევანდოვსკი.

**აუგსბურგი (4-1-4-1):** იენტცში – კალსენ-ბრაკერი, მიორლე, სანკო, დე იონგი (23. ვერნერი) – ჰოსოგაი (82. რაინჰარდტი) – ბრინკმანი, ბაიერი (71. ს. ლანგკამპი), დავიდსი, ბელინგჰაუზენი – მიოლდერსი.

*48-ე წუთზე სანკომ (აუგსბურგი) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გოლები:** 1:0 ლევანდოვსკი (30), 2:0 ლევანდოვსკი (44), 3:0 გიოტცე (75), 4:0 ლევანდოვსკი (78)

**გაფრთხილება:** ს. ბენდერი, გიოტცე – ბაიერი, ჰოსოგაი

**კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 12-14; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 19(9)-8(3); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 80 720

**ლევერკუზენი–ვოლფსბურგი 3:1**

**ლევერკუზენი (4-2-2-2):** ლენო – ბალიტში, რაინარტცი, ტოპრაკი, კადლეცი – ლ. ბენდერი (67. როლფესი), ბალაკი (88. მ. ფრიდრიხი) – კასტრო, სემი – დერდიოკი (72. შვააბი), კისლინგი.

**ვოლფსბურგი (4-2-2-2):** ბენალიო – ოხსი, მადლუნგი, რუსი, მ. შეფერი – ტრეში, ჟოსუე (69. კოო) – იონსონი (46. ჰასებე), დეჟაგა – ლაკიჩი (46. ჰელმესი), მანჯუკიჩი.

**გოლები:** 1:0 კასტრო (14), 1:1 მანჯუკიჩი (59), 2:1 დერდიოკი (65), 3:1 კისლინგი (85)

**გაფრთხილება:** დერდიოკი – ჟოსუე, რუსი

**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 17-20; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 20(9)-7(1); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 28 195

**ნიურნბერგი–მაინცი 3:3**

**ნიურნბერგი (4-2-3-1):** შტეფანი – ჩანდლერი, ვოლშაიდი, კლოზე, პინოლა – სიმონსი, კოენი (62. ფრანტცი) – მაკი, ფოილნერი (84. კამავუაკა), ბუნიაკუ (65. ესვაინი) – პეკჰარტი.

**მაინცი (4-2-3-1):** ჰ. მიულერი – პოსპეხი, ბუნგერტი, ნოვესკი, ფათი – ბაუმგარტლინგერი, კირხჰოფი – რისსე (68. კალიჯური), ივანშიტცი, ნ. მიულერი (83. ალაგუი) – ჩუპო-მოტინგი.

**გოლები:** 1:0 ფოილნერი (5), 2:0 მაკი (19), 2:1 ბუნგერტი (32), 2:2 ჩუპო-მოტინგი (45), 2:3 ივანშიტცი (52), 3:3 პეკჰარტი (82)

**გაფრთხილება:** ვოლშაიდი, კლოზე

**კუთხური:** 2-4; **ჯარიმა:** 14-19; **თამაშგარე:** 1-5; **კარში დარტყმა:** 9(5)-16(7); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 38 107

**ფრაიბურგი–ბორუსია (მ) 1:0**

**ფრაიბურგი (4-2-3-1):** ბაუმანი – მუიჯა, ბართი (46. ბუტშერი), კრმასი, ბასტიანსი (81. ნიკუ) – ფლუმი, შუსტერი – პუცილა, მაკიადი, აბდესადკი (91. კალიჯური) – სისე.

**ბორუსია მ (4-2-2-2):** ტერ შტეგენი – იანტშკე (82. ჰერმანი), შტრანცლი, დანტე, ვენდტი – მარქსი (69. ნორდტვეიტი), ნოიშტედტერი – როისი, არანგო – ჰანკე (62. ბობადილია), დე კამარგო.

**გოლი:** 1:0 ფლუმი (19)

**გაფრთხილება:** კრმასი, ფლუმი – მარქსი, ბობადილია

**კუთხური:** 5-7; **ჯარიმა:** 23-17; **თამაშგარე:** 8-1; **კარში დარტყმა:** 8(3)-19(6); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 24 000

**ჰოფენჰაიმი–ბაიერნი 0:0**

**ჰოფენჰაიმი (4-2-3-1):** შტარკე – ბეკი, ვორსა, კომპერი, ბრააფჰაიდი – რუდი, ვილიამსი (69. კაიზერი) – ბაბელი, რობერტო ფირმინიო (73. მუსონა), ობასი – სიგურდსონი (85. შიპლოკი).

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი – ბოატენგი, ვან ბუიტენი (75. ლუის გუსტავო), ბადშტუბერი, ლამი – ტიმოშჩუკი, შვაინშტაიგერი – თ. მიულერი, კროოსი, რიბერი (46. რობენი) – გომესი (58. ალაბა).

**გაფრთხილება:** მუსონა – ტიმოშჩუკი, შვაინშტაიგერი, ლამი, კროოსი

**კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 19-26; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 17(5)-5(2); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 30 150

**ჰერტა–კიოლნი 3:0**

**ჰერტა (4-2-3-1):** კრაფტი – იანკერი (72. ფრანცი), ჰუბნიკი, მიატოვიჩი, კობიაშვილი – ოტლი, ნიმაიერი – ევერტი, რაფაელი, ბენ-ჰატირა (64. რუკავიტსა) – ლასოგა (78. ლუსტენბერგერი).

**კიოლნი (4-2-3-1):** რენზინგი – ანდრეზინიო (46. მატუშიკი), მაკენა, სერენო, აიხნერი – რიტერი, ჟაჟალო (67. ლანიგი) – ჩიჰი (46. კლემენსი), პოდოლსკი, პეუკო – ნოვაკოვიჩი.

**გოლები:** 1:0 ლასოგა (14), 2:0 ლასოგა (26), 3:0 რაფაელი (34)

**გაფრთხილება:** ლასოგა, ფრანცი – პეუკო, ლანიგი

**კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 15-19; **თამაშგარე:** 7-2; **კარში დარტყმა:** 10(3)-4(2); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 59 491

**ჰანოვერი–ვერდერი 3:2**

**ჰანოვერი (4-2-2-2):** ცილერი – ჩერუნდოლო, ჰაგი, პოგატეცი, კ. შულცი – შმიდებახი, პინტუ – შტინდლი, პანდერი (76. რაუში) – შლაუდრაფი (86. ეგიმანი), აბდელაუ (61. ია კონანი).

**ვერდერი (4-1-2-1-2):** მილიტცი – სოკრატისი, პრიოდლი, ვოლფი, იგნიოვსკი (86. ნალდო) – ბარგფრედე (60. როზენბერგი) – ფრიტცი, ჰანტი – მარინი (67. ექიჩი) – პისარო, არნაუტოვიჩი.

**გოლები:** 1:0 აბდელაუ (2-პენ), 2:0 აბდელაუ (38), 2:1 არნაუტოვიჩი (45+1), 3:1 აბდელაუ (60), 3:2 პისარო (83)

**გაძევება:** არნაუტოვიჩი (78. ვერდერი)

**გაფრთხილება:** [illegible] – ჩერუნდოლო, შმიდებახი – ვოლფი, მარინი, ბარგფრედე

**კუთხური:** 3-1; **ჯარიმა:** 22-12; **თამაშგარე:** 9-6; **კარში დარტყმა:** 13(5)-17(3); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 49 000

**ჰამბურგი–შალკე 1:2**

**ჰამბურგი (4-2-2-2):** დრობნი – ვესტერმანი, ბრუმა, რაიკოვიჩი, აოგო – ტეშე (84. ბერგი), რინკონი – ჟ. ლამი (74. კასტელენი), ტიორე – გერერო (65. სონი), პეტრიჩი.

**შალკე (4-2-3-1):** ფერმანი – ჰიოგერი, ჰიოვედესი, მეტცელდერი, ფუხსი – პაპადოპულოსი, ჰოლტბი (55. ჯონსი) – ფარფანი (46. დრაქსლერი), რაული, ხურადო (89. მარიკა) – ჰუნტელაარი.

**გოლები:** 0:1 ჰუნტელაარი (13), 1L1 პეტრიჩი (37), 1:2 ჰუნტელაარი (73)

**გაფრთხილება:** ტეშე, რინკონი - ჰიოვედესი

**კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 18-16; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 17(6)-9(4); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 55 000

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 8 | 6 | 1 | 1 | 21-1 | 19 |
| 2. ვერდერი | 8 | 5 | 1 | 2 | 16-10 | 16 |
| 3. ბორუსია (მ) | 8 | 5 | 1 | 2 | 9-4 | 16 |
| 4. შალკე | 8 | 5 | 0 | 3 | 17-13 | 15 |
| 5. ჰანოვერი | 8 | 4 | 3 | 1 | 11-10 | 15 |
| 6. ბორუსია (დ) | 8 | 4 | 1 | 3 | 13-7 | 13 |
| 7. შტუტგარტი | 8 | 4 | 1 | 3 | 12-6 | 13 |
| 8. ჰოფენჰაიმი | 8 | 4 | 1 | 3 | 12-7 | 13 |
| 9. ლევერკუზენი | 8 | 4 | 1 | 3 | 10-11 | 13 |
| 10. ჰერტა | 8 | 3 | 3 | 2 | 12-9 | 12 |
| 11. ნიურნბერგი | 8 | 3 | 2 | 3 | 9-10 | 11 |
| 12. კიოლნი | 8 | 3 | 1 | 4 | 13-18 | 10 |
| 13. ვოლფსბურგი | 8 | 3 | 0 | 5 | 9-15 | 9 |
| 14. მაინცი | 8 | 2 | 2 | 4 | 12-18 | 8 |
| 15. ფრაიბურგი | 8 | 2 | 1 | 5 | 13-22 | 7 |
| 16. კაიზერსლ. | 8 | 1 | 2 | 5 | 5-12 | 5 |
| 17. აუგსბურგი | 8 | 0 | 4 | 4 | 6-16 | 4 |
| 18. ჰამბურგი | 8 | 1 | 1 | 6 | 9-20 | 4 |

**ბომბარდირები:** 8 – გომესი (ბაიერნი); 7 – ჰუნტელაარი (შალკე); 6 – აბდელაუ (ჰანოვერი), სისე (ფრაიბურგი), პისარო (ვერდერი); 5 – ლევანდოვსკი (ბორუსია დ); 4 – ბაბელი (ჰოფენჰაიმი), ჰარნიკი (შტუტგარტი), პოდოლსკი (კიოლნი), რაული (შალკე), რობერტო ფირმინიო (ჰოფენჰაიმი).

### II ბუნდესლიგა

X ტური

**აინტრახტი-უნიონი 3:1**

გოლები: 1:0 გეკასი (30), 2:0 ა. მაიერი (38), 2:1 კუირინგი (75), 3:1 ჰოფერი (90)

**აუე-ჰანზა 1:0**

გოლი: 1:0 კიონიგი (49)

**ალემანია-ფრანკფურტი 1:3**

გოლები: 1:0 ფაისტჰამელი (32), 1:1 ხრიზანტუსი (53), 1:2 ხრიზანტუსი (69), 1:3 ხრიზანტუსი (86)

**კოტბუსი-ზანქტ პაული 1:4**

გოლები: 0:1 შახტენი (17), 0:2 მ. კრუსე (43), 0:3 ებერსი (76), 1:3 ლუდვიგი (81), 1:4 ებერსი (86)

**ინგოლშტადტი-ბოხუმი 3:5**

გოლები: 1:0 ბუდლე (9), 2:0 ბუდლე (20), 2:1 ჩონგი (37), 3:1 ბუხნერი (43), 3:2 ჩონგი (61), 3:3 გინჩეკი (79), 3:4 ჩონგი (88), 3:5 ინუი (91)

**დუისბურგი-პადერბორნი 0:1**

გოლი: 0:1 პროშვიტცი (77)

**მიუნხენ 1860-დინამო (დ) 2:4**

გოლები: 0:1 პოტე (13), 0:2 პოტე (16), 0:3 ბრეგერიე (59), 0:4 პოტე (60), 1:4 ბიროფკა (65), 2:4 ბიროფკა (91)

**კარლსრუე-ფიურტი 2:2**

გოლები: 0:1 შმიდტგალი (19), 1:1 კრებსი (69), 2:1 აკუარო (85), 2:2 მავრაი (92)

**ბრაუნშვაიგი-ფორტუნა** დღეს

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფიურტი | 10 | 7 | 2 | 1 | 21-7 | 23 |
| 2. აინტრახტი | 10 | 6 | 4 | 0 | 26-10 | 22 |
| 3. ზანქტ პაული | 10 | 7 | 1 | 2 | 22-11 | 22 |
| 4. ფორტუნა | 9 | 6 | 3 | 0 | 23-10 | 21 |
| 5. ბრაუნშვაიგი | 9 | 5 | 3 | 1 | 14-8 | 18 |
| 6. პადერბორნი | 10 | 5 | 3 | 2 | 14-8 | 18 |
| 7. მიუნხენ 1860 | 10 | 5 | 0 | 5 | 24-18 | 15 |
| 8. უნიონი | 10 | 4 | 2 | 4 | 15-18 | 14 |
| 9. კოტბუსი | 10 | 4 | 2 | 4 | 15-21 | 14 |
| 10. აუე | 10 | 3 | 4 | 3 | 9-14 | 13 |
| 11. ფრანკფურტი | 10 | 2 | 5 | 3 | 11-14 | 11 |
| 12. დინამო (დ) | 10 | 3 | 1 | 6 | 16-20 | 10 |
| 13. ბოხუმი | 10 | 3 | 1 | 6 | 12-20 | 10 |
| 14. კარლსრუე | 10 | 2 | 2 | 6 | 12-22 | 8 |
| 15. ინგოლშტადტი | 10 | 2 | 2 | 6 | 14-26 | 8 |
| 16. დუისბურგი | 10 | 1 | 3 | 6 | 10-13 | 6 |
| 17. ჰანზა | 10 | 0 | 6 | 4 | 5-12 | 6 |
| 18. ალემანია | 10 | 0 | 4 | 6 | 2-13 | 4 |

**ბომბარდირები:** 7 – ა. მაიერი (აინტრახტი), ნიოთე (ფიურტი), რანგელოვი (კოტბუსი); 6 – მ. კრუსე (ზანქტ პაული), რიოსლერი (ფორტუნა), ფოლანდი (მიუნხენ 1860).

### III ბუნდესლიგა

ვერდერი II-კარლ ცაისი 2:2, ოსნაბრიუკი-ხემნიტცი 1:0, შტუტგარტი II-ობერჰაუზენი 1:1, ბაბელსბერგი-ზანდჰაუზენი 4:1, ერფურტი-ბურგჰაუზენი 3:3, რეგენსბურგი-ზაარბრიუკენი 4:1, ვეენი-პროისენ მიუნსტერი 3:0, არმინია-ჰაიდენჰაიმი 0:1, აალენი-უნტერჰახინგი 1:0, დარმშტადტი-ოფენბახი 0:0.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები


ნავარო აქაც საუკეთესოა

კალათბურთი

## ბარსას პირველი ტიტული

ესპანეთში პირველი ტიტული ისევ „ბარსელონამ" მოიგო. კატალონურმა გრანდმა ესპანეთის სუპერთასზე ნახევარფინალში „რეალის" დამარცხების შემდეგ ფინალში „კახა ლაბორალს" არ დაუტოვა შანსი.

ისევე როგორც ევრობასკეტზე, აქაც ტურნირის საუკეთესო მოთამაშის ტიტული **ხუან კარლოს ნავარომ** მოიპოვა.

**ბარსელონა-კ. ლაბორალი 82:73**

**25:20, 13:22, 20:17, 24:14**

ბ: ნავარო (24), ლორბეკი (12+5 მოხსნა), ნდონგი (12+10 მოხსნა), მარსელინიო უერტასი (11), ეიდსონი (9).

კ-ლ: ტელეტოვიჩი (15), პრიჯიონი (14), სერაფინი (9+7 მოხსნა), რიბასი (8), ერტელი (8+5 პასი).

კრივი

## ხანი 10 დეკემბერს იბრძოლებს

პროფესიული კრივის ვარსკვლავი, ნახევრადსაშუალო წონაში WBA-სა და IBF-ის ჩემპიონი **ამირ ხანი** მორიგ ბრძოლას 10 დეკემბერს ჩაატარებს.

ვაშინგტონში ბრიტანელი ამერიკელ **ლამონტ პეტერსონს** (29-1-1, 15KO) შეხვდება. ეს უკანასკნელი IBF-ის ტიტულზე ოფიციალურ პრეტენდენტად მიიჩნევა.

მძლეოსნობა

## ჩემპიონი პოლიტიკაში წავიდა

ჩინური მძლეოსნობის ვარსკვლავმა **ლიუ სიანმა** პოლიტიკური კარიერა დაიწყო. 2004 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ახალგაზრდულ ორგანიზაციაში დაიკავა თანამდებობა და უკვე გამოვიდა სიტყვით შანხაიში ერთ-ერთ სპორტულ ფორუმზე.

კომუნისტურ პარტიას იმედი აქვს, რომ გამოიყენებს 28 წლის ათლეტის უდიდეს პოპულარობას. ალსანიშნავია, რომ კომპარტიის ახალგაზრდული ორგანიზაცია ერთგვარი ტრამპლინია ჩინეთში წარმატებული პოლიტიკური კარიერისთვის. სწორედ ეს გზა გაიარა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ამჟამინდელმა თავმჯდომარემ **ჰუ ძინტაომ**.

თუმცა 110 მეტრზე თარჯრბენში მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენი ჯერჯერობით პოლიტიკას მეორეხარისხოვნად მიიჩნევს. ლუ სიანს ლონდონის ოლიმპიადაზე ოქროს მედლის მოპოვება აქვს დაგეგმილი.

ფორმულა 1

## ფეტელი 2012-ის ფავორიტია

ფორმულა 1-ში ჯერ არ დასრულებულა მიმდინარე სეზონი, ბრიტანული საბუკმეიკერო კანტორა William Hill კი უკვე იღებს ფსონებს მსოფლიოს 2012 წლის ჩემპიონატში გამარჯვებაზე. რეიტინგს სათავეში უდგას გერმანელი **სებასტიან ფეტელი** - ამ სეზონის ლიდერი ორჯერ მეტით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ ესპანელს **ფერნანდო ალონსოს**, მესამეზეა - ბრიტანელი **ლუის ჰემილტონი**.

ბუკმეიკერებმა გასულ წელსაც პირველ ადგილზე დააყენეს ფეტელი და არ შემცდარან, თუმცა ორი წლის წინ ვერ გამოიცნეს ჩემპიონი.

2012 წლის ფავორიტთა სია ასე გამოიყურება:

სებასტიან ფეტელი - 2.00; ფერნანდო ალონსო - 4.50; ლუის ჰემილტონი - 6.00; ჯენსონ ბატონი - 10.00; ჯენსონ ბატონი - 11.00; ფელიპე მასა - 34.00; ნიკო როსბერგი - 34.00; მიხაელ შუმახერი - 34.00...

ჩოგბურთი

## სამუდამო დისკვალიფიკაცია მატჩების ჩაწყობისთვის

სერბი ჩოგბურთელი **დავიდ სავიჩი** სამუდამო დისკვალიფიკაციით დაისაჯა ჩაწყობილი თამაშების ორგანიზებისა და ანტიკორუფციული წესების დარღვევისთვის. გარდა ამისა, სავიჩს ჯარიმის სახით 100 ათასი დოლარის გადახდა მოუწევს. როგორც სააგენტო AP იუწყება, დისკვალიფიკაცია გადაწყვეტილების გამოტანისთანავე შევიდა ძალაში.

ამ მომენტისთვის სავიჩი 659-ე ადგილს იკავებს რეიტინგში, მისი საუკეთესო მაჩვენებელი კი 363-ე ადგილია. ალსანიშნავია, რომ სერბს არასოდეს მიუღია მონაწილეობა ATP-ის ტურნირებში და მხოლოდ „ჩელენჯერის" კატეგორიის შეჯიბრებებში გამოდიოდა.

ალსანიშნავია, რომ ამა წლის მაისში ანალოგიური დარღვევისთვის სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცეს მსოფლიოს 55-ე ჩოგანს, ავსტრიელ **დანიელ კოლერერს**. ახლა ეს სპორტსმენი ამ სასჯელის გასაჩივრებას ცდილობს.

## კვიტოვა და აზარენკა სტამბოლში მიდიან

გაირკვა კიდევ ორი ჩოგბურთელის ვინაობა, რომლებიც 25-30 ოქტომბერს, სტამბოლში წლის შემაჯამებელ ტურნირზე ითამაშებენ. ესენი არიან: ჩეხი **პეტრა კვიტოვა** და ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა**. ამ ინფორმაციას WTA-ის ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს. ასევე თურქეთში წყვილთა ტურნირში თამაში გაინაღდა **ლიზელ ჰუბერისა** და **ლიზა რეიმონდის** დუეტმა.

უფრო ადრე, წლის დასკვნით ტურნირში თამაშის უფლება მოიპოვეს დანიელმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ** და რუსმა **მარია შარაპოვამ**, აგრეთვე **კვეტა პეშკესა** და **კატარინა სრებოტნიკის** წყვილმა.

კალათბურთი

# მხარეებს შორის დიდი უფსკრულია

გასულ უქმეებზე გამართულმა ორდღიანმა მოლაპარაკებებმა შედეგი ვერ გამოიღო. NBA-ის კლუბების მფლობელებმა და მოთამაშეთა პროფკავშირმა ვერ მიაღწიეს კომპრომისს. შაბათის შეხვედრის შემდეგ პროფკავშირების პრეზიდენტმა **დერეკ ფიშერმა** ასეთი კომენტარი გააკეთა.

*„დღეს ჩვენ განვიხილეთ ბევრი სხვადასხვა იდეა, კონცეფცია, ეკონომიკური საკითხები... საბოლოო ხელშეკრულებით დარბაზიდან ვერ გამოვედით, მაგრამ ამ საკითხის განხილვას კვირას დავუბრუნდებით და შევეცდებით არსებული ხვრელების ამოვსებას. გავაგრძელებთ მუშაობას, მაგრამ არ ვიცი, მივაღწევთ თუ არა შეთანხმებას ამ უქმეებზე".*

ასე რომ, კვირის შეხვედრას ყველა დიდი იმედით ელოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, შვიდსაათიანმა მოლაპარაკებებმა შედეგი ისევ ვერ მოიტანა. მხარეებმა მორიგი შეხვედრა ორშაბათისთვის დათქვეს. შეგახსენებთ, რომ რეგულარული ჩემპიონატის სტარტი პირველ ნოემბერს არის დანიშნული.

*„ჯერჯერობით ჩვენ შორის დიდი უფსკრულია,* - განაცხადა მოთამაშეთა პროფკავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა **ბილ ჰანტერმა**. *- არ ვიცი, შევძლებთ თუ არა კომპრომისის მიღწევას".*

*„იმედი გვქონდა, რომ ამ უქმეებზე საკამათო საკითხებს მოვაგვარებდით. მოთამაშეებმა შემოგვთავაზეს ორშაბათის შეხვედრა და ჩვენც დავთანხმდით"*, - აღნიშნა NBA-ის კომისარმა **დევიდ სტერნმა**.

■ ■ ■

ალსანიშნავია, რომ პროფკავშირმა ამ შეხვედრებში ჩართო ლიგის რამდენიმე ვარსკვლავი, მათ შორის „მაიამი ჰიტის" ერთ-ერთი ლიდერი **დუეინ უეიდი**, რომელმაც ჟურნალისტებთან გამოხატა საკუთარი პოზიცია.

ფლორიდელი მცველი მიიჩნევს, რომ სახელფასო ბიუჯეტზე მკაცრი ლიმიტი ძალიან ზღუდავს წამყვან მოთამაშეებს. უეიდის თქმით, მას უნდა მინიმუმ 50 მილიონ დოლარს იღებდეს სეზონში.

*„სახელფასო ლიმიტი რომ არ არსებობდეს, ლიგაში ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა. მაგალითად, ბეისბოლში მოთამაშეები სავსე ტრიბუნებს უზრუნველყოფენ და სხვებზე გაცილებით მეტს იღებენ. როცა ბიუჯეტზე ლიმიტი მოქმედებს, რთულია მაიკლ ჯორდანის, შაკილ ო'ნილის, კობი ბრაიანტის ან ლებრონ ჯეიმსის მსგავსი მოთამაშეების ფასის დადგენა. მაგალითად, მე სეზონში მინიმუმ 50 მილიონი დოლარის მიღება მინდა"*, - განაცხადა უეიდმა.


პროფკავშირის წარმომადგენლები


პარკერი და გასოლი

## შეთქმულება კობის წინააღმდეგ

როგორც წინა ნომერში ვწერდით, პრაქტიკულად გადაწყვეტილი გახლდათ **კობი ბრაიანტის** ბოლონიას "ვირტუსში" თამაში, მაგრამ ახლა ეს გარიგება შესაძლოა დასანანი მიზეზის გამო ჩაიშალოს.

"ვირტუსი" 40 დღით აპირებდა "ლეიკერსის" ლიდერის გაფორმებას და ამ დროის განმავლობაში მაქსიმალურად მეტი მატჩის ჩატარება სურდა იტალიის ყველაზე დიდ არენებზე, რათა ამ გარიგებისთვის დახარჯული ფული ამოეღო. მაგრამ სხვა იტალიურმა კლუბებმა უარი თქვეს კალენდარში ასეთ მასშტაბურ ცვლილებებზე. ამ შემთხვევაში კი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელი "ვირტუსს" ფინანსურ მოგებას ვერ მოუტანს, ამიტომაც ბოლონიელებმა ჯერჯერობით შეაჩერეს კონტრაქტის გაფორმების პროცესი.

სხვათა შორის ამ კონფლიქტში ჩარევას აპირებს თავად ბრაიანტი. მასთან დაახლოებული ერთ-ერთი წყაროს ინფორმაციით, კობის ძალიან უნდა ლოკაუტის პერიოდში იტალიაში თამაში. ამიტომაც კალათბურთელი თანამშრომლობას აპირებს იტალიის ლიგის ხელმძღვანელობასთან ოპტიმალური ვარიანტის შესამუშავებლად. კალიფორნიელს სურს, მისი იტალიაში თამაში ეკონომიკურად მომგებიანი იყოს არა მარტო „ვირტუსისთვის", არამედ მთლიანად ლიგისთვის.

■ ■ ■

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მეორე ლიდერს **პაუ გასოლს** მშვიდი ცხოვრება ურჩევნია. ის დაელოდება ლოკაუტის დასრულებას და კარიერას NBA-ში გააგრძელებს. ესპანელი ვარსკვლავი არ არის დაინტერესებული ევროპულ კლუბებთან მოკლევადიანი ხელშეკრულების გაფორმებით.

როგორც გახსოვთ, ჟურნალისტები გასოლს „ბარსელონაში" აგზავნიდნენ, მაგრამ „ლეიკერსის" ცენტრმა ერთ-ერთ ესპანურ რადიოში განაცხადა, რომ ლოკაუტის დროს ევროპაში სათამაშოდ არ გადავა.

*„ეს ჩემი გადაწყვეტილებაა. ვერ ვხედავ რომელიმე გუნდთან ერთი ან ორი თვით კონტრაქტის გაფორმების აზრს. მაინც მომიწევს ყველაფრის მიტოვება და NBA-ში დაბრუნება. ჩემი აზრით, ეს არასწორია"*, - განაცხადა გასოლმა.

გარდა ამისა, პაუმ დაადასტურა, რომ გაისად ლონდონის ოლიმპიადაზე ითამაშებს.

*„ერთადერთი, რაც ოლიმპიადაზე თამაშში ხელს შემიშლის - ტრავმაა"*, - ამბობს ესპანელი კალათბურთელი.

■ ■ ■

საფრანგეთის ნაკრებისა და "სან ანტონიო სპურსის" გამთამაშებელი **ტონი პარკერი** მომავალ კვირას გამოაცხადებს – ითამაშებს თუ არა მომავალ სეზონში საფრანგეთის "ვილერბანის" შემადგენლობაში. როგორც ჩანს, ფრანგი ვარსკვლავი ელოდება კლუბების მფლობელთა და პროფკავშირს შორის მოლაპარაკებების გადამწყვეტ რაუნდს და ამის შემდეგ გადაწყვეტს სამშობლოში დაბრუნების საკითხს. გარდა ამისა, ევროლიგის საკვალიფიკაციო ტურნირზე უნდა გადაწყდეს - ითამაშებს თუ არა ახალ სეზონში "ვილერბანი" ევროლიგაზე.

## ილგაუსკასმა წასვლა არჩია

ცნობილმა ლიტველმა კალათბურთელმა **ჟიდრუნას ილგაუსკასმა** კარიერის დასრულება გადაწყვიტა. ბალტიისპირელმა ცენტრმა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში 13 წელი ითამაშა და ორი კლუბის – "კლივლენდ კავალიერზისა" და "მაიამი ჰიტის" რიგებში ირიცხებოდა. გარდა ამისა, ილგაუსკასმა ორჯერ მიიღო მონაწილეობა "ყველა ვარსკვლავის მატჩში" და ორჯერ მიაღწია NBA-ის ფინალს.

*"საკმარისია. სხეული მუდმივად მტკივა, გამოფიტული ვარ და ფიზიკურად მოვიკოჭლებ. პროფესიონალი სპორტსმენებისთვის არანაირი ასაკობრივი შეზღუდვა არ არსებობს და თითოეული თავად ხვდება, როდის უნდა დაასრულოს კარიერა. მინდა უფრო მეტი დრო გავატარო ჩემს ოჯახთან, რადგან ბოლო 15 წელი მუდმივად ჩემოდნებზე ვიჯექი"*, - ამბობს ილგაუსკასი.

ლიტველი კალათბურთელის კარიერული მონაგარი 13.0 ქულასა და 7.3 მოხსნას შეადგენს. "კლივლენდის" ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს, საკუთარი არენის თაღზე დაკიდოს ილგაუსკასის სათამაშო მაისურა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**


ჟიდრუნას ილგაუსკასი

## კრივი

# სერხიომ ტიტული დაიცვა


შეტევაზე სერხიო მარტინესი

გასულ უქმეებზე რამდენიმე საინტერესო ბრძოლა გაიმართა, რომელთაგანაც გამორჩეული იყო საშუალო წონაში The Ring-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის, არგენტინელი **სერხიო მარტინესის** შეხვედრა ევროპის ჩემპიონთან, ბრიტანელ **დარენ ბარკერთან**.

29 წლის ბარკერმა სერიოზული წინაალმდეგობა გაუწია 36 წლის მარტინესს, მაგრამ მაინც ნოკაუტით წააგო.

ბრძოლა მეტ-ნაკლებად თანაბარი მეათე რაუნდამდე იყო, მაგრამ ისიც შეიმჩნეოდა, რომ მარტინესი თანდათან ზრდიდა უპირატესობას. არგენტინელმა მეათე რაუნდში ორი უძლიერესი დარტყმა შეასრულა, რის გამოც ბარკერი ყრუ დაცვაში გადავიდა, თუმცა ამან არ უშველა. მე-11 რაუნდში მარტინესმა დარტყმების სერია განახორციელა, რომელთაგანაც ბოლო ძლიერად მოხვდა თავში ბარკერს და ნოკაუტში აღმოჩნდა. ბრიტანელი ათ თვლაში ვერ წამოდგა და შემდეგ გამარჯვება მიულოცა მეტოქეს.

■ ■ ■

ლას ვეგასში გაიმართა საკრივო შოუ, რომლის მთავარ ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ ორ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, 36 წლის მექსიკელი **რაფაელ მარკესი** და WBC-ის ვერსიით პირველ ნახევრადმჩატე წონაში მსოფლიოს ჩემპიონი, იაპონელი **ტოშიაკი ნიშიოკი**.

აქაც თავდაპირველად თანაბარი ბრძოლა იყო, მაგრამ ბოლო რაუნდებში იაპონელ მოკრივეს უფრო მეტი ძალა შერჩა და უკეთ გამოიყურებოდა. შესაბამისად, 12 რაუნდის შემდეგ სამივე მსაჯმა უპირატესობა ნიშიოკის მიანიჭა - 117:111, 116:112 და 115:113.

■ ■ ■

პუერტო რიკოშიც ერთი საინტერესო ორთაბრძოლა გაიმართა, რომელშიც ორ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, 28 წლის პუერტორიკოელი **ხუან მანუელ ლოპესი** 31 წლის ამერიკელ **მაიკ ოლივერს** ხვდებოდა.

უკვე პირველივე რაუნდში მასპინძელმა ორჯერ გაგზავნა მოწინააღმდეგე ნოკაუტში, ხოლო მეორე სამწუთეულში კიდევ ერთი ნოკდაუნის შემდეგ რეფერიმ შეხვედრა შეაჩერა და ლოპესს ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვება მიანიჭა.

ასე რომ, ხუან მანუელ ლოპესი წარმატებით დაბრუნდა რინგზე მას შემდეგ, რაც წელს აპრილში ნახევრადმჩატე წონაში WBO-ის ტიტული დაკარგა მექსიკელ **ორლანდო სოლისთან** ბრძოლაში. ეს მისი პირველი მარცხი იყო კარიერაში.

## ავტოსპორტი

# ჩემპიონი გარკვეულია



ახალი ჩემპიონი

ვალენსიაში **რიკარდო ტორმოს** სახელობის ავტოდრომზე გაირკვა DTM-ის გერმანული სერიის ჩემპიონი.

სტარტი პოულიდან 2007 წლის ჩემპიონმა, ცნობილმა შვედმა **მატიას ექსტრიომმა** აიღო და საბოლოოდ, პირველი მივიდა ფინიშზე, ვადაზე ადრე კი ჩემპიონის ტიტული გერმანელმა **მარტინ ტომჩიკმა** მოიპოვა, რომელიც „აუდის" მანქანით გამოდის. 29 წლის მრბოლელი მესამე ადგილზე გავიდა, ხოლო საერთო ჩათვლაში მისი ერთადერთი კონკურენტი - **ბრუნო შპენგლერი** თავისი „მერსედესით" მეშვიდე პოზიციაზე აღმოჩნდა.

ძალთა საბოლოო გადანაწილება სამი კვირის შემდეგ გაირკვევა, როცა ფინალურ ეტაპს „ჰოკენჰაიმრინგი" უმასპინძლებს.

■ ■ ■

ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში შოტლანდიელმა **დევიდ კულტჰარდმა** კრიტიკულად შეაფასა საკუთარი კარიერა DTM-ის ჩემპიონატში, სადაც ბრიტანელი მეორე წელია გამოდის.

*„ზოგიერთი პილოტი უკეთ მართავს „ტურინგის" კლასის მანქანას, ვიდრე ფორმულა 1-ის ბოლიდს, ჩემზე კი შეიძლება ითქვას, რომ უკეთ გამომდის ფორმულა 1-ში რბოლა, - მიიჩნევს დევიდი. - თუმცა მე მომწონს DTM-ში მიღებული შთაბეჭდილება".*

მართლაც, წლევანდელ სეზონში რვა ეტაპის შემდეგ კულტჰარდი საერთო ჩათვლაში მხოლოდ მე-14 ადგილს იკავებს - მას ერთადერთი ქულა „ნორისრინგზე" აქვს მოპოვებული. თუმცა ასეთი დაბალი შედეგები იმით აიხსნება, რომ დევიდის განკარგულებაში არ არის საუკეთესო მანქანა. DTM-ის ჩემპიონატში სტარტზე ერთდროულად გამოდის სხვადასხვა წელს გამოშვებული მანქანა. კულტჰარდს 2008 წლის AMG Mercedes C-Klasse მისცეს, ლიდერები კი უფრო თანამედროვე ტექნიკით მოძრაობენ.

მაგრამ ვალენსიას ეტაპზე კულტჰარდმა წარმატების შანსი მიიღო. ესპანეთში შოტლანდიელმა თავისი ძველი „მერსედესით" კვალიფიკაციისას მეოთხე ადგილი დაიკავა და მეორე რიგიდან სტარტის უფლება მოიპოვა. ეს საუკეთესო სასტარტო პოზიციაა მისთვის გერმანიის ჩემპიონატში.

თუმცა ბრიტანელს ამჯერადაც არ გაუმართლა - ის მესამე წრეზე ტექნიკური პრობლემების გამო ჩამოშორდა დისტანციას.

## ჰოკეი

# შვედეთმა ლეგენდა დაკარგა

სტოკჰოლმში გარდაიცვალა ლეგენდარული შვედი ჰოკეისტი **სვენ „ტუმბა" იუჰანსონი**. მოთამაშე, რომელსაც შვედეთის ისტორიაში საუკეთესო ჰოკეისტად აღიარებდნენ, 80 წლის იყო.

სპორტსმენი შვედეთის ქალაქ ტუმბაში დაიბადა და სწორედ ამ სახელით შეცვალა მოგვიანებით თავისი ნამდვილი გვარი - იუჰანსონი. ის თანამედროვე ჰოკეის ერთ-ერთი პიონერი იყო, კერძოდ, პირველი ევროპელი გახლდათ, რომელიც ჰოკეის ეროვნული ლიგის გუნდის საწვრთნელ ბანაკში მიიწვიეს.

კარიერის დიდი ნაწილი სვენ ტუმბამ სამშობლოში გაატარა და რვაჯერ მოიგო ეროვნული ჩემპიონატი. შვედეთის ნაკრების რიგებში ჰოკეისტმა მსოფლიოს 14 ჩემპიონატი და ოთხი ოლიმპიადა ითამაშა.

ჰოკეის გარდა ტუმბა ფეხბურთსაც თამაშობდა და 1959 წელს „იურგორდენის" რიგებში შვედეთის ჩემპიონიც გახდა. ჰოკეისტის კარიერის დასრულების შემდეგ სვენ ტუმბა შვედეთში გოლფის პოპულარიზაციაზე ზრუნავდა და გოლფ-კლუბების დიზაინერად მუშაობდა.

1997 წელს სვენ ტუმბა ჰოკეის საერთაშორისო დიდების დარბაზში შეიყვანეს. ორი წლის შემდეგ კი შვედეთის ჰოკეის ისტორიაში საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. გამოკითხვაში მან **პეტერ ფორსბერგსა** და **მატს სუნდინს** აჯობა.


სვენ ტუმბა

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### კოლუმბია

| | |
|---|---|
| ატ. უილა-ამერიკა დე კალი | 1:2 |
| იტაგუი-რეალ კარტახენა | 3:1 |
| ინდეპენდიენტე-ატ. ნასიონალი | 0:2 |
| მილიონარიოსი-ტოლიმა | 2:1 |
| ონსე კალდასი-ენვიგადო | 3:2 |
| კუკუტა-ლა ეკვიდადი | 0:0 |
| დეპ. კალი-დეპ. კინდიო | 1:0 |

#### პარაგვაი

| | |
|---|---|
| ინდეპენდიენტე-ლიბერტადი | 1:1 |
| ლუკენო-ხენერალი | 1:4 |
| ნასიონალი-3 დე ფებრერო | 2:0 |
| ტაკუარი-გუარანი | 1:2 |

### კალათბურთი

#### ევროლიგა

| | |
|---|---|
| ციბონა-ლ. რიტასი | 71:88 |
| ალბა-შარლერუა | 63:74 |
| გალათასარაი-ვილერბანი | 93:83 |
| ხიმკი-ნიმბურკი | 79:86 |
| ლ. რიტასი-გალათასარაი | 63:71 |
| შარლერუა-ნიმბურკი | 79:53 |

#### გერმანია. სუპერთასი

| | |
|---|---|
| ბამბერკი-ბრაუნშვაიგი | 86:66 |

#### ესპანეთი. სუპერთასი

| | |
|---|---|
| კახა ლაბორალი-ბარსელონა | 73:82 |

#### იტალია. სუპერთასი

| | |
|---|---|
| სიენა-კანტუ | 73:70 |

#### საფრანგეთი. სუპერთასი

| | |
|---|---|
| ნანსი-შალონი | 89:83 |

### ფრენბურთი

#### ევ. ჩემპიონატი

**ქალები. 1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| გერმანია-იტალია | 3:0 |
| სერბეთი-თურქეთი | 3:2 |

**მე-3 ადგილისთვის**

| | |
|---|---|
| იტალია-თურქეთი | 2:3 |

**ფინალი**

| | |
|---|---|
| სერბეთი-გერმანია | 3:2 |

### ჰოკეი

#### კჰლ

| | |
|---|---|
| დინამო (მ)-ატლანტი | 2:3 (ო) |
| ავტომობილისტი-ბარისი | 1:3 |
| ტრაქტორი-ავანგარდი | 2:0 |
| ს. იულიაევი-მეტალურგი (ნ) | 2:3 |
| ცსკა-სიბირი | 3:1 |
| ვიტიაზი-ტორპედო | 4:3 (ო) |
| აკ ბარსი-იუგრა | 1:2 (ო) |
| ნეფტეხიმიკი-მეტალურგი (მ) | 3:1 |
| ლევ პოპრადი-ამური | 2:4 |

#### ავსტრია

| | |
|---|---|
| ოლიმპია-ვენა | 2:1 (ბ) |
| ფეჰერვარი-ზაგრები | 3:2 (ო) |
| ლინცი-ზალცბურგი | 6:4 |
| კლაგენფიურტი-ზნოიმო | 5:1 |
| გრაცი-აკრონი | 3:2 |

#### გერმანია

| | |
|---|---|
| აისბარენი-შტრაუბინგი | 5:1 |
| იზერლონი-ვოლფსბურგი | 0:7 |
| აუგსბურგი-კრეფელდი | 3:2 (ო) |
| დიუსელდორფი-ნიურნბერგი | 4:1 |
| ინგოლშტადტი-ჰანოვერი | 3:0 |
| მანჰაიმი-მიუნხენი | 4:3 |

#### დანია

| | |
|---|---|
| სენდერიისკი-ჰერლევი | 0:1 |
| ოდენსე-ოლბორგი | 4:0 |

| | |
|---|---|
| ფრედრიკშავნი-როდოვრე | 2:3 (ბ) |
| ჰერნინგი-კოპენჰაგენი | 3:2 (ბ) |

#### ნორვეგია

| | |
|---|---|
| სტავანგერი-ლილეჰამერი | 5:3 |
| ვოლერენგა-ლორენსკოგი | 8:2 |
| სპარტა-სტიორნენი | 4:2 |
| ფრისკ ასკერი-სტორჰამარი | 3:5 |
| რუსენბორგი-მანგლერუდი | 4:3 (ბ) |

#### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| სკალიცა-ჟილინა | 5:1 |
| ნიტრა-ზვოლენი | 2:3 |
| მარტინი-კოშიცე | 1:6 |
| ბისტრიცა-პოპრადი | 1:3 |

#### ფინეთი

| | |
|---|---|
| იოკერიტი-კალპა | 4:0 |
| ლუკო-პელიკანსი | 2:3 |
| სეიპა-ტპს | 1:2 (ბ) |
| ტაპარა-ბლუზი | 3:1 |
| ესეტი-ჰიფკ | 3:2 |

#### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| ბრნო-პარდუბიცე | 1:4 |
| ბოჰემიანსი-სპარტა | 1:3 |
| ტრშინეცი-კლადნო | 1:4 |
| კარლოვი ვარი-ვიტკოვიცე | 2:3 (ბ) |
| ბოლესლავი-ლიტვინოვი | 2:1 |
| სლავია-პლზენი | 3:5 |
| ზლინი-ლიბერეცი | 4:2 |

#### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ბილი-კლოტენი | 1:4 |
| დავოსი-ამბრი | 4:1 |
| ლანგნაუ-რაპერსვილი | 2:1 |
| სერვეტი-ლუგანო | 5:4 (ბ) |
| ცუგი-ბერნი | 4:0 |
| ციურიხი-ფრიბურგი | 1:2 |

#### შვედეთი

| | |
|---|---|
| ბრიუნესი-აიკ | 4:3 |
| იურგორდენი-ვექსიო | 2:1 |
| ლულეო-ტიმრა | 1:4 |
| მოდო-ფერიესტადი | 3:2 (ბ) |
| შელეფტეო-ფრიოლუნდა | 3:2 |

### ჩოგბურთი

#### ATP. ბანგკოკი

| | |
|---|---|
| იანგი-მონფილსი | 4:6, 7:6, 7:6 |
| მიურეი-სიმონი | 6:2, 3:6, 6:2 |
| მიურეი-იანგი | 6:2, 6:0 |

#### ATP. კუალა ლუმპური

| | |
|---|---|
| ბაღდატისი-ტროიცკი | 6:3, 6:1 |
| ტიპსარევიჩი-ნიშიკორი | 6:4, 6:3 |
| ბაღდატისი-**ტიპსარევიჩი** | 4:6, 5:7 |

#### WTA. ტოკიო

| | |
|---|---|
| ა. რადვანსკა-ზვონარევა | 6:3, 6:2 |

#### WTA. პეკინი

| | |
|---|---|
| ერანი-**ჩეტკოვსკა** | 6:4, 6:7, 4:6 |
| იოვანოვსკი-**სკიავონე** | 1:6, 3:6 |
| **კუზნეცოვა**-დულგერუ | 6:2, 4:1 უარი |
| მედინა გარიგესი-**გაიდოშოვა** | 3:6, 0:6 |
| **არვიდსონი**-ა. ბონდარენკო | 6:2, 5:7, 7:5 |
| **პაჩეკი**-იანკოვიჩი | 7:5, 6:4 |
| **ვინჩი**-მარინო | 6:4, 6:3 |
| საფაროვა-**პეტკოვიჩი** | 6:7, 4:6 |
| **ლისიცკი**-ბეგუ | 6:2 უარი |
| ჟანგი-**ციბულკოვა** | 0:6, 2:6 |
| დატე-**ივანოვიჩი** | 1:6, 1:6 |
| პეერი-**მარტინეს სანჩესი** | 1:6, 5:7 |
| მორიტა-**მაკჰეილი** | 2:6, 6:0, 3:6 |
| **კანეპი**-საი საი ჟენგი | 6:0, 6:3 |
| **სუარეს ნავარო**-მაკაროვა | 7:5, 6:1 |
| **ნიკულესკუ**-ნა ლი | 6:4, 6:0 |
| **პავლიუჩენკოვა**-ბ. ზახვალოვა | 7:5, 6:4 |
| **ბარტოლი**-ბენეშოვა | 3:6, 6:4, 7:5 |
| **ჰერცოგი**-რობსონი | 6:4, 6:3 |
| **ჰანტუხოვა**-დანილიდუ | 6:4, 6:2 |
| **სტოსური**-პირონკოვა | 6:4, 6:0 |

## TV პროგრამა

### 3 ოქტომბერი. ორშაბათი

#### GMG-ფეხბურთი

**10:00** არგენტინის ჩემპიონატი. X ტური. რასინგი-ინდეპედიენტე.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. VIII ტური. ჰამბურგი-შალკე.
**14:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. VIII ტური. ნაიმეგენი-ეინდჰოვენი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. IX ტური. ბორდო-მონპელიე.
**18:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. IX ტურის მიმოხილვა.
**19:00** იტალიის ჩემპიონატი. VI ტური. ფიორენტინა-ლაციო.
**21:00** გერმანიის ჩემპიონატი. VIII ტურის მიმოხილვა.
**22:00** არგენტინის ჩემპიონატი. X ტური. ბოკა ხუნიორსი-ტიგრე.
**00:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXVIII ტური. ფლუმინენსე-სანტოსი.

#### GMG-სპორტი 1

**10:00** ფეხბურთი.ბრაზილიის ჩემპიონატი. ვასკო და გამა-კორინთიანსი.
**12:00** კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. ოკლაჰომა-მემფისი.
**14:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**15:00** ფეხბურთი.ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი — ლივერპული
**17:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალები. მასტერსი. მაიამი. აშშ.
**22:50** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**23:25** კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. ოკლაჰომა-მემფისი.

#### GMG-სპორტი 2

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. I წრე. მონტე კარლო.
**13:00** ფეხბურთი.ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ნორვიჩი.
**15:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. I წრე. მონტე კარლო.
**21:20** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
**21:45** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სპორტინგი-ბარსელონა
**23:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.

#### НТВ-პლუსი (სპორტი)

**04:30** ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. ტამპა-ინდიანაპოლისი (LIVE).

#### EUROSPORT

**11:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. I დღე. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
**17:30** ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრანპრი. კლიგენტალი. გერმანია (LIVE).

#### EUROSPORT-2

**18:30** კრიკეტი. ჩემპიონთა ლიგა. Twenty20. ჯგუფური რაუნდი. ინდოეთი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი


სამპრასი და საფინი საჩვენებელი მატჩის წინ

# საფინას კარიერა დაუსრულებია

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **მარატ საფინმა** განაცხადა, რომ მისი და - **დინარა საფინა** აღარ გააგრძელებს პროფესიულ ტურში გამოსვლას.

რუსმა ვეტერანმა ეს განცხადება პეკინში პრესკონფერენციაზე გამოაცხადა.

*"ორი წლის წინ მან პეკინში მიიღო ტრავმა და ჩოგბურთიდან დროებით წავიდა, მაგრამ ბოლომდე გამოჯანმრთელება მაინც ვერ შეძლო. ცდილობდა დაბრუნებას, თუმცა კიდევ უფრო გაირთულა საქმე. ახლა ის ზურგს უნდა გაუფრთხილდეს, რათა ნორმალურად იმოძრაოს და იცხოვროს. ის მკურნალობას გააგრძელებს, მაგრამ თამაში გამორიცხულია. დინარა თავად გააკეთებს ოფიციალურ განცხადებას, მაგრამ მე, როგორც მის ძმას, მიმაჩნია, რომ მისი დაბრუნების შანსი არ არსებობს"*, - ამბობს საფინი.

რუსი პეკინში ლეგენდარულ ამერიკელ ჩოგბურთელთან **პიტ სამპრასთან** საჩვენებელი მატჩის ჩასატარებლად იყო ჩასული. 31 წლის საფინმა ორ სეტში - 6:3, 6:4 მოუგო 40 წლის სამპრასს.

პროფესიულ ტურში ეს ჩოგბურთელები ექვსჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და მათ შორის გამარჯვებული ვერ გამოვლინდა - 3:3. პიტსა და მარატს შორის ყველაზე ცნობილი მატჩი 2001 წელს ამერიკის ღია პირველობაზე გაიმართა, როცა რუსმა სამ სეტში მოიგო და პირველად დაეუფლა "დიდი სლემის" ტიტულს.

## სერენა პეკინში არ მიდის

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **სერენა უილიამსი** არ გამოვა პეკინში ჩინეთის ღია პირველობაზე, რომელმაც გუშინ აიღო სტარტი, - წერს ტურნირის ოფიციალური ვებგვერდი.

სერენას უთამაშებლობის ზუსტი მიზეზი ცნობილი არ არის. უფრო ადრე ორგანიზატორები იტყობინებოდნენ, რომ უმცროს უილიამსს შეტანილი ჰქონდა ჩინეთის ღია პირველობაზე მონაწილეობის განაცხადი, მაგრამ საბოლოოდ, უარი განაცხადა პეკინში გამგზავრებაზე. სხვათა შორის სერენა ზედიზედ მეორედ ტოვებს ამ ტურნირს.

უკანასკნელად უმცროსი უილიამსი კორტზე 11 სექტემბერს გავიდა, როცა ამერიკის ღია პირველობის ფინალი წააგო ავსტრალიელი **სამანტა სტოსურის** წინააღმდეგ.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე ჩინეთში თამაშზე უარი განაცხადა რუსმა **მარია შარაპოვამ**, რომელმაც ფეხი დაიზიანა ტოკიოს ტურნირის მეოთხედფინალში.

## მონფილსს ლეკონტი მოამზადებს

წარსულში ცნობილი ფრანგი ჩოგბურთელი **ანრი ლეკონტი** ორ ტურნირზე ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი ჩოგბურთელის **გაელ მონფილსის** მწვრთნელი იქნება. კერძოდ, მათი თანამშრომლობა სეზონის ბოლოს ვალენსიასა და პარიზის ტურნირებზე შედგება.

თავის წინა მწვრთნელთან **როჯერ რაშიდთან** განშორების შემდეგ მონფილსი დღემდე მწვრთნელის გარეშე თამაშობს.

*"გაელი არის მოთამაშე, რომელიც მე ძალიან მომწონს. მას ძალიან კარგი სათამაშო პოტენციალი და დაუჯერებელი ქარიზმა აქვს"*, - ამბობს ლეკონტი "ეკიპისთვის" მიცემულ ინტერვიუში. - *ეს დიდი პასუხისმგებლობაა ჩემთვის, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ მონფილსთან ვიმუშავებ"*.

გაელმა გასულ კვირას ტაილანდის ტურნირში ითამაშა და იქ ნახევარფინალამდე მიაღწია, სადაც ამერიკელ **დონალდ იანგთან** წააგო.

## რაფა და როჯერი სამხრეთ ამერიკაში მიდიან

მსოფლიოს პირველი და მესამე ნომრები - **რაფაელ ნადალი** და **როჯერ ფედერერი** სეზონის დასრულების შემდეგ ლათინურ ამერიკაში აპირებენ საგამოფენო მატჩების ჩატარებას.

ნადალის მეტოქე იქნება მისი თანამემამულე **დავიდ ფერერი**. ამ შეხვედრას 5 დეკემბერს მექსიკის დედაქალაქი მეხიკო უმასპინძლებს. მატჩი ესპანეთში გასამართი დევისის თასის ფინალის მეორე დღეს არის დანიშნული. როგორც ამბობენ, ამ საჩვენებელი შეხვედრისთვის ნადალი ერთ მილიონ დოლარს მიიღებს.

თავის მხრივ, როჯერ ფედერერს სამხრეთ ამერიკაში საჩვენებელი შეხვედრების სერია აქვს დაგეგმილი. ეს ტურნე წლის შემაჯამებელი ტურნირის შემდეგ დაიწყება. უკვე მიღწეულია შეთანხმება კოლუმბიასთან და ბრაზილიასთან. ასევე შესაძლებელია შვეიცარიელი ჩოგბურთელის ჩასვლა არგენტინასა და ჩილეში. ბრაზილიაში ფედერერი ორჯერ ითამაშებს და ჰონორარის სახით 2 მილიონ დოლარს მიიღებს. როჯერის მეტოქეების ვინაობა ჯერ არ არის ცნობილი.

## აგასიმ ბოსტონში მოიგო

ლეგენდარული ამერიკელი ჩოგბურთელი, 41 წლის **ანდრე აგასი** ვეტერანთა სერიის - Champions Cup-2011-ის ტურნირის გამარჯვებული გახდა. შეჯიბრებას ამერიკის ქალაქმა ბოსტონმა უმასპინძლა.

ფინალში აგასიმ დაამარცხა თანამემამულე და თანატოლი **ჯიმ კურიე** - 8:5. გზად ფინალამდე ანდრე **ივან ლენდლს** გაუსწორდა - 7:5. თავის მხრივ, კურიემ ნახევარფინალში კიდევ ერთ ამერიკელს **მაიკლ ჩანგს** სძლია - 6:3.

*„ჯიმის დამარცხება არასოდეს ყოფილა იოლი. მატჩის დასაწყისი კარგი გამოვიდა, რამაც, საბოლოოდ, წარმატება მომიტანა. ცხოვრების დიდი ნაწილი მე და ჯიმი მეტოქეები ვიყავით, ამიტომაც ჩვენთვის სასიამოვნო იყო გულშემატკივრების წინაშე ისეთ კორტზე გასვლა. აქ გამარჯვება ჩემთვის სიურპრიზი აღმოჩნდა"*, - განაცხადა სააგენტო AP-სთან კომენტარში აგასიმ.

# რადვანსკას კომპლექსი

რუსმა **ვერა ზვონარევამ** ვერ შეძლო ტოკიოს სუპერტურნირის მოგება და შესაბამისად, ვერ დაიბრუნა WTA-ის რეიტინგში მეორე ადგილი. პოლონელმა **აგნიეშკა რადვანსკამ** ბოლო ორი თვის განმავლობაში მესამედ მოუგო ზვონარევას.

რუსი და პოლონელი წელს უკვე მეოთხედ შეხვდნენ ერთმანეთს. წლის დასაწყისში ვერამ მაიამიში მოიგო, მაგრამ სეზონის მეორე ნახევარში რადვანსკამ რამდენიმე დღის განმავლობაში ორჯერ აჯობა მეტოქეს. მიუხედავად ამისა, ფინალში გამარჯვებულის პროგნოზირება რთული იყო, რადგან ზვონარევამ ისე მიაღწია გადამწყვეტ მატჩამდე, რომ არც ერთი სეტი არ ჰქონდა წაგებული.

აგნიეშკა ტრადიციულად კარგად მოქმედებდა დაცვაში, მაგრამ, როგორც კი შესაძლებლობა ეძლეოდა, მაშინვე კონტრშეტევაზე გადადიოდა. ზვონარევამ მეტოქის ასეთ ტაქტიკას აქტიური თამაში და ბადესთან ხშირი გასვლები დაუპირისპირა. პირველი ორი გეიმის განმავლობაში რუსი ექვსჯერ წარმატებით გავიდა ბადესთან და ბრეიკით დაწინაურდა. ზვონარევას მეორე ბრეიკის შანსიც ჰქონდა, მაგრამ გეიმის ბოლოს უზუსტოდ ითამაშა, ამის შემდეგ კი მის თამაშში ჩავარდნის პერიოდი დადგა. მან ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა და ინიციატივა მეტოქეს გადააბარა. სეტის შუაში ვერასთან მწვრთნელი გავიდა და შეგირდის დამშვიდება სცადა. მაგრამ დამრიგებელთან გასაუბრებამ ჩოგბურთელს ვერ უშველა - შეცდომების რიცხვმა არ იკლო, იმ დროს, როცა აგნიეშკა თითქმის არ ცდებოდა. პარტიის ბოლოს ზვონარევამ გაიბრძოლა, სამი სეტბოლი მოიგერია, მაგრამ მეოთხეზე ისევ შეცდომა დაუშვა.

მეორე პარტიაში ბევრი არაფერი შეცვლილა. ზვონარევას უკანა ხაზზე სტაბილურობა არ ჰყოფნიდა. პოლონელი ბრწყინვალედ მოძრაობდა და ყველაზე რთულ ბურთებსაც აგდებდა კორტის მეორე მხარეს. სეტის შუაში ვერას თამაში ოდნავ გამოსწორდა, რამაც რუსს ბრეიკი მოუტანა (მეტოქის გეიმი „მშრალი" ანგარიშით მოიგო), მაგრამ მომდევნო გეიმში რადვანსკამ იგივეთი უპასუხა მეტოქეს, შემდეგ კი პირველივე ცდაზე ჩაანოდა მატჩზე - 6:3, 6:2. მთელი მატჩის განმავლობაში პოლონელს მხოლოდ ექვსი უნებლიე შეცდომა ჰქონდა, იმ დროს, როცა ზვონარევამ 35 შეცდომა დაუშვა.

ასე რომ, რეიტინგის მეორე ადგილზე **მარია შარაპოვა** დარჩება, ზვონარევა კი მესამე იქნება. ამასთან, მომდევნო კვირას ვერა შეიძლება დაქვეითდეს კლასიფიკაციაში, რადგან პეკინის ტურნირზე 700 სარეიტინგო ქულა აქვს დასაცავი. რაც შეეხება რადვანსკას, მან მხოლოდ ერთი ნაბიჯით წაიწია წინ, თუმცა შესამჩნევად მიუახლოვდა პირველ ათეულს.

ამ კვირას კი პეკინში გაიმართება Premier 5-ის სერიის ბოლო ტურნირი. აქ მეორე წრიდან დაიწყებენ ბრძოლას ტოკიოს ტურნირის ნახევარფინალისტები - **აზარენკა**, **კვიტოვა**, ზვონარევა და რადვანსკა, დანარჩენები პირველი წრიდან იღებენ სტარტს. ჩინეთის დედაქალაქში ყველა უძლიერესი შეიკრიბა დები **უილიამსებისა** და **მარია შარაპოვას** გარდა.

**WTA**

**Pan Pacific Open**

ტოკიო (იაპონია). ჰარდი

**საპრიზო ფონდი**: 2 050 000 დოლარი

**ფინალი**

**აგნიეშკა რადვანსკა** (პოლ, 9)-ვერა ზვონარევა (რუს, 4) 6:3, 6:2.


რადვანსკა მთავარი პრიზით

მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ინტრიგა შენარჩუნებულია

მოტოგრანპრიში მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგ ეტაპზე ჩემპიონის ვინაობა ჯერ ვერ ირკვეოდა, მაგრამ პირველობის ლიდერს **კეისი სტოუნერს** შანსი ჰქონდა ისე გაეზარდა უპირატესობა მთავარ კონკურენტ **ხორხე ლორენსოსთან**, რომ მშვიდად ჩაეტარებინა სეზონის დარჩენილი რბოლები.

ავსტრალიელის შანსი კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც შაბათს პოული მოიგო, ხოლო მეორე დღეს სტარტზე წინ არავინ გაუშვა.

რბოლის დასაწყისში მთავარი ბრძოლა კეისის უკან მიმდინარეობდა. მეოთხედან მეორე პოზიციაზე გადაინაცვლა **დანი პედროსამ**, ლორენსო კი პირიქით - მეორედან მეოთხემდე ჩამოქვეითდა. წარუმატებლად დასრულდა იაპონური რბოლა **ვალენტინო როსისთვის**, რომელმაც ნახევარ წრეზე ოდნავ მეტი გაიარა და დისტანციას ჩამოშორდა.

საწყისი წრეების შემდეგ პირველი სამეული ასე გამოიყურებოდა - სტოუნერი, პედროსა და **ანდრეა დოვიციოზო**. კეისი თანდათან დაშორდა პედროსასა და დოვიციოზოს დუეტს. ეს უკანასკნელი მესამე ადგილით არ დაკმაყოფილდა და ლამაზად ჩამოიტოვა უკან პედროსა. სტოუნერმა იმ მომენტისთვის ვერ მოასწრო კომფორტული უპირატესობის მოპოვება და დოვიციოზომ თანდათან შეამცირა ჩამორჩენა. სწორედ ამ დროს მეხის გავარდნასავით იყო რბოლის სტიუარდების განცხადება იმის შესახებ, რომ დოვიციოზოს სტარტზე ფალსტარტი ჰქონდა, ამიტომაც იტალიელი პიტლეინზე შესვლით დაისაჯა.

ამის შემდეგ ისე ჩანდა, რომ გამარჯვებისთვის ბრძოლაში ინტრიგა აღარ არსებობდა, მაგრამ სიურპრიზი შესთავაზა მაყურებელს კეისი სტოუნერმა. ავსტრალიელმა დამუხრუჭებისას შეცდომა დაუშვა და ტრასის მიღმა გადავიდა. ეს უზუსტობა მას რამდენიმე პოზიციის დაკარგვად დაუჯდა.

დოვიციოზოს ჯარიმისა და სტოუნერის შეცდომის შემდეგ პირველი ხუთეული ასე გამოიყურებოდა: პედროსა, ლორენსო, **ალვარო ბაუტისტა**, **ნიკი ჰეიდენი** და სტოუნერი. მოქმედი ჩემპიონისთვის ხორხე ლორენსოსთვის სამწუხაროდ, მისი მოტოციკლი იმდენად სწრაფი არ იყო, რომ პედროსას წინააღმდეგ გამარჯვებისთვის ებრძოლა. ამიტომაც, ასეთ სიტუაციაში მთავარი ინტერესი შემდეგში მდგომარეობდა - შეძლებდა თუ არა კეისი პოზიციის გაუმჯობესებას.

სტოუნერმა თანდათან შეამცირა ჰეიდენთან ჩამორჩენა და ამერიკელს მეოთხე ადგილისთვის შეუტია. ნიკი მაქსიმალურად ცდილობდა „ჰონდას" პილოტის შეტევების მოგერიებას, მაგრამ „დუკატი" უფრო ნელი იყო და კეისიმ ჰეიდენი უკან ჩამოიტოვა, მომდევნო წრეზე კი ბაუტისტას დაეწია და მასაც გაუსწრო, რამაც ჩემპიონატის ლიდერს მესამე ადგილი მოუტანა.

ამ მომენტისთვის ლიდერთა შორის ასეთი მდგომარეობა იყო: პედროსა თითქმის ორ წამს უგებდა ლორენსოს, რომელიც, თავის მხრივ 10 წამით უსწრებდა სტოუნერს. რბოლის ბოლომდე ვერც ერთმა პილოტმა ვერ შეძლო შეტევისთვის საჭირო მანძილზე კონკურენტთან მიახლოება.

ასე რომ, ლორენსომ ოდნავ შეამცირა სხვაობა სტოუნერთან საერთო ჩათვლაში, მაგრამ ბოლომდე ვერ იხეირა ავსტრალიელის შეცდომით.

**იაპონიის გრან-პრი**

1. **დანიელ პედროსა** (ესპ, „ჰონდა") - 42:47.481; 2. **ხორხე ლორენსო** (ესპ, „იამაჰა") - +7.299; 3. **კეისი სტოუნერი** (ავსტრა, „ჰონდა") - +18.380; 4. **მარკო სიმონჩელი** (იტა, „ჰონდა") - +23.550; 5. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, „ჰონდა") - +23.691; 6. **ბენ სპისი** (აშშ, „იამაჰა") - +37.604; 7. **ნიკი ჰეიდენი** (აშშ, „დუკატი") - +39.167; 8. **კოლინ ედვარდსი** (აშშ, „იამაჰა") - +45.023...

**საერთო ჩათვლა**

1. **კეისი სტოუნერი** (ავსტრა, „დუკატი") - 300 ქულა; 2. **ხორხე ლორენსო** (ესპ, „იამაჰა") - 260; 3. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, „ჰონდა") - 196; 4. **დანიელ პედროსა** (ესპ, „ჰონდა") - 195; 5. **ბენ სპისი** (აშშ, „იამაჰა") - 156; 6. **ვალენტინო როსი** (იტა, „იამაჰა") - 139; 7. **ნიკი ჰეიდენი** (აშშ, „დუკატი") - 123...


დანი პედროსა

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**